ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „ახალი თაობა“ + „ჩერჩილი“ 8 ლარი

18 აპრილიდან 2 მაისამდე




ხუთშაბათი, 21 აპრილი, 2011 | №94 (5475) | ფასი: 30 თეთრი

# პარლამენტის ახალი შენობის საძირკველში წყალი ჩადგა



გვ.3

## რატომ არის კრემლის ბიზნესმენი შარანგია სააკაშვილის პარტნიორი საქართველოში?



გვ.2

## ხელისუფლება იძულებული გახდება, რომ ოპოზიციას დაელაპარაკოს



გვ.5

## ბესარიონ აპლია შეიძლება თანამდებობიდან გადააყენონ



გვ.7

რატომ გადასცეს აფხაზებმა რუსებს 42 ეკლესია

## საქართველოში მხოლოდ ავანტურისტი ინვესტორები შემოდიან



გვ.6

## შალვა ნათელაშვილი დავით კეზერაშვილს ქონების ჩამორთმევით ემუქრება



გვ.4

## ხვდება თუ არა ევროპაში საქართველოდან ნარკოტიკები



გვ.4

## საქართველოს მილიტარიზაცია არ ემუქრება



გვ.8

## ხელისუფლებაზე ზეწოლა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით უნდა განვახორციელოთ



გვ.9

## 3090

### sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

3 დღეს პატრიარქი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ფეხბანვის რიტუალს შეასრულებს და მირონს აკურთხებს

12 „შავი ლომის“ გარშემო სკანდალი გრძელდება

4 21 აპრილი უქმე დღედ გამოცხადდა

13 „დინამო“ ლიდერის დევნაშია

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი

# რატომ არის კრემლის ბიზნესმენი შარანგია სააკაშვილის პარტნიორი საქართველოში?

ქეთი ხოშერიკი

**„ერევანში გამართულ შეხვედრაზე მერაბიშვილსა და რუსეთის შს მინისტრს შორის საუბარი მიდიოდა მომავალი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დათმობაზე, საკუთარი სკამებისა და ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ. იქ შეიძლება საუბარი ყოფილიყო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებაზე, ან საქართველოს რკინიგზის რუსებისთვის გადაცემაზე. თუ ამ ვიზიტის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას არ გამოაქვეყნებენ, მერაბიშვილს მივუვარდებით“, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბრისას „ლეიბორისტული“ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, გიორგი გუგავამ.**

***— თქვენ ვანო მერაბიშვილს რუსეთის შსს მინისტრთან ფარულ გარიგებაში ადანაშაულებთ და ხელისუფლებისგან მერაბიშვილისა და რუსეთის შსს მინისტრის ერევანში შემდგარი შეხვედრის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას ითხოვთ, რა მოხდა და რა გარიგება შედგა ამ შეხვედრაზე მერაბიშვილსა და ნურგალიევს შორის, ბატონო გიორგი?***

— ე.წ. რუსეთის აგენტების, „კოჭოიების“ რისხვა ერევანში მის და სააკაშვილის მიერ ოკუპანტად გამოცხადებული სახელმწიფოს შსს მინისტრს, რაშიდ ნურგალიევს ფარულად შეხვდა. ინფორმაცია ამ შეხვედრის შესახებ კი საგულდაგულოდ დაიფარა. არადა, მოგეხსენებათ, ესენი სადმე რომ ჩადიან, ჟურნალისტების ჯარი მიჰყვებათ, თითოეული მათი გადაადგილება გადაღებულია და მაყურებელს თავიანთი პროპაგანდისტული მანქანების საშუალებით თავს ახვევენ ხოლმე, თუ რა საოცრად წარმატებული ვიზიტები ჰქონდათ და ა.შ.

***— და ეს შეხვედრა, რადგან დაიფარა, იმიტომ გაგიჩნდათ გარკვეული ეჭვი, თუ რაიმე კონკრეტულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ ამ შეხვედრაზე მერაბიშვილს და მურდალიევს შორის ფარული გარიგება შედგა?***

— რატომ ეჭვები, მე შემიძლია არაერთი არგუმენტები მოვიყვანო იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედაც რომ ამ ხელისუფლების ღალატობრივი პოლიტიკის შედეგად დაზარალდა. მოდით, გავიხსენოთ 2008 წლის ომის შემდეგ როგორ დაკარგა საქართველომ ტერიტორიები, როგორ მოხდა ქართული სახელმწიფოებრივი სივრცის სამ ნაწილად გახლეჩვა და დღეს, ამათი ღალატობრივი ქმედების გამო ცხინვალსა და აფხაზეთში უცხო ქვეყნების ელჩები სხედან. ასევე, გავითვალისწინოთ ის გარემოება, თუ ვისი ბრძანებით დაიცალა კოდორი, ეს ბრძანება მერაბიშვილის მიერ იქნა გაცემული ხომ. უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ფორპოსტი რუსეთს თოფის გაუსროლელად ჩააბარეს ხომ.

***— ანუ ხელისუფლებამ ამ ქმედებით მაშინ, ასე ვთქვათ, რუსეთის საქმე გააკეთა?***

— რა თქმა უნდა, ამით რუსეთის საქმე გაკეთდა. მეტსაც გეტყვით, საქართველოს ეკონომიკის ნახევარზე მეტი, ყოველ შემთხვევაში ძირითადი სტრატეგიული ობიექტები ჩაბარდა რუსეთს, როგორც ომამდე, ასევე ომის შემდეგაც. მაგ: რუსეთის უშიშროების გენერლის, გენერალოვის ხელში გადავიდა მადნეული. ხრამჰესი, ხრამი ერთი, ხრამიორი, ეიეს თელასი და ენერგოპრო ჯორჯიაც რუსების ხელშია. რუსეთის ინტერესია გარდაბნის გრესშიც, მანდ თბოელექტრო სადგურია და ისიც რუსების ხელშია და ა.შ. ეს ყველაფერი განხორციელდა სწორედაც რომ სააკაშვილის რეჟიმის მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად. გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ რუსულ პრესაში დადებითად გაპიარებულ იქნა და არაერთი სტატია მიეძღვნა მერაბიშვილს და მის მიერ გატარებულ ე.წ. რეფორმებს. აი, ამის შემდეგ აღმოვჩნდით ჩვენ ამ ფარული შეხვედრის, რომელსაც ჩვენ ფიგულარულად, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ერევნის შეთქმულება ვუწოდეთ, შემსწრე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე საუბარი მიდიოდა მომავალი ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დათმობაზე, იმის სანაცვლოდ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ საკუთარი სკამი და



ძალაუფლება შეინარჩუნოს. აქ შეიძლება საუბარი ყოფილიყო რუსეთის მსო-ში გაწევრიანებაზე, ან საქართველოს რკინიგზის, იმ ერთ-ერთი უკანასკნელი სტრატეგიული ობიექტის, რომელიც ჯერჯერობით, სახელმწიფოს ხელშია რუსებისთვის გადაცემაზე და ა.შ. მათ შეუძლიათ გამოაქვეყნონ შეხვედრის დეტალები და დაამტკიცონ საპირისპირო. ეს არ იყო ტურისტული მოგზაურობა, ეს იყო შსს მინისტრის ოფიციალური ვიზიტი და კეთილი ინებონ და ამ ვიზიტის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია გამოაქვეყნონ.

***— ეს გარიგება პრეზიდენტთან შეუთანხმებლად და მისი ნებართვის გარეშე შედგებოდა?***

— რა თქმა უნდა, არა. იცით, რა ხდება, რუსეთის სივრცე და ბაზარი მხოლოდ ქართველი ხალხისთვის გადაიკეტა, თორემ სააკაშვილის ოჯახს რუსეთთან მშვენიერი ეკონომიკური ურთიერთობა აქვს აწყობილი. გავიხსენოთ რუსული კომპანია ბილაინი, რომლის 40 % სააკაშვილი ფლობს. როგორ ხდება ეს, თუ რუსეთი ოკუპანტია? ანდაც, თუ ნებისმიერი ოპოზიციონერის მხრიდან რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის რომელიმე წარმომადგენლებთან შეხვედრა ღალატად ითვლება, მაშინ ეს სახელმწიფოებრივ ქმედებად რატომ უნდა ითვლებოდეს?

***— ანუ თქვენ თვლით, რომ ხელისუფლება რეალურად რუსეთთან ჩახუტებულია და მეტიც, კრემლის მიერ იმართება, რასთან გვაქვს საქმე, ბატონო გიორგი?***

— ფაქტია, რომ ხელისუფლების ქმედებებით მხოლოდ ჩვენი ქვეყანა ზარალდება, სარგებელს მხოლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ღებულობს, ხელშეუხებლობის გარანტიებს კი — სააკაშვილის რეჟიმი. რუსულ „ინტერრაოს“, „ხრამ ერთი“ და „ხრამ ორი“ ხომ გადასცეს, ახლა კი საუბარია იმაზე, რომ „თელასის“, რომლის 75%-ის მფლობელი ისედაც „ინტერრაოა“, ის 25%, გადასცენ, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ფლობს. მე მაინტერესებს, თუ რუსეთი ოკუპანტია, მაშინ რატომ და როგორ ხდება ასეთი გარიგებები და სახელმწიფო ინტერესების დათმობა? ალოგიკურია ხომ? მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით და გავაანალიზებთ ხელისუფლების დამოკიდებულებას რუსეთთან მიმართებაში, აღმოჩნდება, რომ კონკრეტულ სიტუაციებში შეხების საერთო წერტილებს მშვენივრად ძებნიან, თანამშრომლობენ კიდეც და ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესში გამოიხატება. როგორ და რატომ არის კრემლის ბიზნესმენი შარანგია, სააკაშვილის პარტნიორი საქართველოში? როგორ ხდება ის, რომ სააკაშვილის ბიძა გაეროში, განიარაღების საკითხებთან დაკავშირებით რუსეთის კვოტით მუშაობს? როგორ მოხდა თავის დროზე, 2003 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სააკაშვილთან ერთად მიტინგზე? რომში გამოძიება როგორ იწყებოდა, იცით, ისმებოდა კითხვა, თუ ვის აწყობდა ამა თუ იმ ბოროტმოქმედების ჩადენა, და ჩვენთან ვის აწყობს? აი, როდესაც ლოგიკურ ჯაჭვს ვაბამთ, ვხვდებით, რომ სინამდვილეში ამ რეჟიმს არანაირი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესი არ ამოძრავებს. ამ რეჟიმს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს — ძალაუფლების და სკამების შენარჩუნება. და ამისთვის მზად არიან, რომ გაყიდონ სახელმწიფო ინტერესები, გინდ ჩრდილოეთის და გინდ დასავლეთის მიმართულებით. განვლილმა წლებმა დაადასტურა, რომ ისინი სახელმწიფო ინტერესებს თავიანთ მდგომარეობაზე ცვლიდნენ. სხვათა შორის, ამ შეხვედრას დაემთხვა რუსეთისა და საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნები შავი ზღვის აკვატორიუმში. შემთხვევითობა კი პოლიტიკაში გამორიცხულია. ამიხსენით ერთი ოკუპანტის ჯართან ერთად როგორ ახორციელებს საქართველო საერთო წვრთნებს? მეორე დღეს კი ამას დაემთხვა თავდაცვის მინისტრის, ბაჩო ახალაის ვიზიტი ერევანში და განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია სომხეთმა და საქართველომ სამხედრო სფეროში ითანამშრომლონ. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გიურის ბაზა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უდიდესი ბაზაა და ეს ბაზა რუსებს ეკუთვნის, მაშინ როგორ უნდა მოხდეს ეს? ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამდენი დამთხვევა შემთხვევითობა ნამდვილად ვერ იქნება. ვიმეორებ, ხელისუფლება ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ ეროვნულ ინტერესებს ყიდის. დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრაზე მერაბიშვილი ეტყოდა რუსეთის შსს მინისტრს, არანაირი საფრთხე არ შეგვიქმნათ, არ დაუშვათ, რომ ოპოზიცია რუსეთში მოღვაწე ქართველებმა დააფინანსონ და ჩვენ მზად ვართ, რასაც გვიბრძანებთ, შევასრულოთ, ყველაფერს მოგყიდით, რაც გინდათ, ოღონდ ჩვენ, ხელისუფლების წარმომადგენლებს თქვენთან მდგომარეობა არ დაგვეძაბოსო. დიახ, მათ, თორემ ხალხი და ქვეყანა მათ სულ არ აღელვებთ.

***— და თუ თქვენი მოთხოვნის მიუხედავად ხელისუფლება ერევანში გამართული შეხვედრის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ გამოაქვეყნებს, შსს-თან აქციებს გამართავთ, არა?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ შევპირდით ხელისუფლებას, რომ ვანო მერაბიშვილს მივუვარდებით და ამას აუცილებლად გავაკეთებთ. რადგან ჩვენ ვიცით, რომ ჩვენმა ქვეყანამ და ხალხმა ასეთი გარიგებების შედეგები მწვავედ იწვნია. სამწუხაროდ, ამ გარიგების შედეგიც ჩვენს კისერზე გადავა, მერაბიშვილებს და სააკაშვილებს კი არაფერი დააკლდებათ.

***— კეთილი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა 2010 წლის მწვავე ანგარიში რომ გამოაქვეყნა, ეს თქვენც იცით, მიიღო თუ არა სააკაშვილმა აშშ-ს მხრიდან გაფრთხილება, როგორია თქვენეული შეფასება?***

— სამწუხაროდ, საზოგადოებას გარკვეული მოვლენების მიმართ ზოგჯერ ზერელე შეხედულება აქვს ხოლმე. არიქა, იმან რაღაც თქვა და გამოდის, რომ სააკაშვილმა დასაყრდენი დაკარგაო, ასე თვლიან ხოლმე ხშირ შემთხვევაში. ეს კი ასე არ არის. თუ ერთის მხრივ, ჯონ ბასის მიერ, რაღაც დოზით კრიტიკული განცხადებები გაკეთდა, მეორეს მხრივ, აქ ჩამოვიდა რესპუბლიკელ სენატორთა ჯგუფი და ხომ ნახეთ სააკაშვილის რეჟიმის მისამართით რა მხარდამჭერი განცხადებებიც გაკეთდა არა? ასე რომ, ნურავის ჰგონია, რომ სააკაშვილმა რაიმე დასაყრდენი დაკარგა. დამერწმუნეთ, დღეს, ჩვენი ქვეყანა სამწუხაროდ, უუფლებო კოლონიად არის ქცეული. საქართველოს ტერიტორიების ნაწილი რუსეთს ძალისმიერი გზით აქვს ოკუპირებული, დანარჩენი ტერიტორია კი უუფლებო კოლონიურ მდგომარეობაში იმყოფება, აქ გოგოლის რევიზორივით ჩამოსული სენატორების, თუ სხვა ჩინოვნიკების მხრიდან და ამ ქვეყნის ბედს სწორედაც რომ ისინი წყვეტენ.

***— თქვენ თვლით, რომ ჩვენი ქვეყნის ბედს რეალურად ჩრდილოეთი და დასავლეთი წყვეტს, გავლენებს იყოფენ?***

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გავლენის სფეროებად არის გაყოფილი. ხელისუფლება იგივე პოლიტიკას ახორციელებს აშშ-ს მიმართულებითაც, ანუ ეუბნებიან ამერიკელებს, რომ ოღონდ მე, ხელისუფალს რაიმე პრობლემა არ შემექმნას და მზად ვარ, ამ რეგიონში თქვენი ინტერესები გავატაროო. ამიტომაც არის, რომ დღეს, ჩვენ, სუვერენიტეტდაკარგულ და უუფლებო კოლონიად ვართ ქცეული. აი, სწორედაც, რომ ასეთი სტატუსი გვაქვს. დააკვირდით, იგივე არჩევნების დროს ჩვენი ქვეყნის ბედს ვინ წყვეტს ხოლმე, რომელი ორგანიზაციების მხრიდან გააჩნია ხოლმე მხარდაჭერა საქართველოს? ყველა არჩევნების დამთავრების შემდეგ აშშ-ს გარკვეული წრეებიდან დაფინანსებული ეს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები დადებით დასკვნას უდებენ ხელისუფლებას და ამბობენ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ტარდება ხომ? რატომ ხდება ასე? არადა, ყველამ მშვენივრად იცის როგორ სამართლიანად და დემოკრატიულადაც ტარდება ხოლმე ეს არჩევნები ხომ? ნუ გვექნება იმის ილუზია, რომ ვილაცამ რაღაც განცხადება გააკეთა და არიქა, მორჩა, ახლა, ჩაავლებენ სააკაშვილს ქეჩოში ხელს და წაათრევენ აქედან. გამოსავალი ერთია, ეს რეჟიმი სასწრაფოდ უნდა გავაძევოთ ქვეყნიდან. და სანამ ჩვენ, ჩვენი თავის პატრონები არ ვიქნებით და ამ ქვეყნის ბედს არ გადაწყვეტს ხალხი, მანამდე არაფერი გვეშველება. დასავლეთთან და ჩრდილოეთთან კი კარგი ურთიერთობები უნდა დავამყაროთ, ოღონდ ჩვენი ეროვნული ინტერესები უნდა დავიცვათ.

***— ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როდის და რა გზით აპირებთ ხელისუფლების შინ გასტუმრებას, ბატონო გიორგი?***

— ამ რეჟიმის მესაფლავე, ადრე თუ გვიან, ხალხთან ერთად სწორედაც რომ „ლეიბორისტული“ პარტია იქნება. და ჩვენ, ამას ჩვენი ყოველდღიური ბრძოლით ვამტკიცებთ. ხელისუფლების მისამართით საბოლოო, სასიკვდილო დარტყმა მაშინ უნდა განხორციელდეს, როდესაც ყველაფერი, მათ შორის, შიდა და გარე პირობები მომზადებული იქნება. ჩვენ, ჩვენი ყოველდღიური ბრძოლით ვცდილობთ საზოგადოების შემზადებას ხელისუფლების წინააღმდეგ მთავარი, გადამწყვეტი, საბოლოო დარტყმის მისაყენებლად. და ამისთვის თავადაც ვემზადებით. ვიმეორებ, ამისთვის ბევრი პირობაა საჭირო, ამას მარტო ხალხის გარეთ გამოსვლა არ ყოფნის. ხალხს რომ ქუჩაში გამოიყვან სახლში აღარ უნდა გაუშვა. ამ ბოლო ბრძოლისთვის კი, როგორც გითხარით, ხალხი უნდა შეამზადო და გადამწყვეტი დარტყმა ხელისუფლებას მხოლოდ, ამის შემდეგ უნდა მიაყენო.

***— „ოპოზიციური რვიანის“ და ხელისუფლების მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, თვლით თუ არა, რომ „რვიანი“ დროს ფუჭად კარგავს და უნდა დატოვოს, თუ არა მოლაპარაკების მაგიდა?***

— იცით, ერთის მხრივ, შეხედავ და იტყვი, კაცო, ამ ხალხს ეს გზა აქვს არჩეული და შენ რა გინდა, რა შენი საქმეა ფუჭად კარგავს დროს, თუ არა, ასეთია მისი არჩევანიო, ხომ? არადა, ეს საერთო საქმე საზარალებს. ასეთი მოლაპარაკებებით, მხოლოდ და მხოლოდ, რეჟიმი იგებს და მე, ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტს გაგახსენებთ. ე.წ. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის პროექტს, რომელიც სააკაშვილის მუდმივ მართველობას უზრუნველყოფს. მთელი საოცრება რა იყო იცით? როდესაც ამის განხილვა მიმდინარეობდა უმწვავესად აკრიტიკებდნენ და კენჭის ყრაზე ადგნენ და ამას ხმა მისცეს. წარმოგიდგენიათ, ხმა მისცეს, არადა, ამ კონსტიტუციაში პირდაპირ წერია, რომ სააკაშვილი იგივე უფლებებით პრემიერ-მინისტრის სკამზე გადაბრძანდება და იქნება მუდმივ მმართველობაში. არანაირი შეზღუდვა არ ექნება მას და შენ, ოპოზიცია ამას ხმას აძლევ. შემდეგ გამოვიდა სააკაშვილი და თქვა: მე, მთავარ სახელმწიფოებრივ მნიშვნელოვან ეროვნულ გადაწყვეტილებას ოპოზიციასთან თანხმობით ვიღებო. ასეა ახლაც, იტყვის, ნახეთ, ოპოზიციასთან ვთანამშრომლობ, ჩვენ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ერთად ვმსჯელობთ, დანარჩენი კი, ახლა, რაღაცაზე შეთანხმდებით, რაღაცაზე კი ვერაო. ვიმეორებ, როგორც წესი, ასეთი მოლაპარაკებების და ურთიერთობების დროს მოგებული ხელისუფლება გამოდის. და რა მოაახლოვებს ამ რეჟიმის დასასრულის, იცით?

***— და რა მოაახლოვებს რეჟიმის დასასრულს, ბატონო გიორგი?***

— რა და, თუ „ოპოზიციური რვიანი“ დატოვებს მოლაპარაკების მაგიდას და განუცხადებს მთელ მსოფლიოს, რომ ეს არის რეჟიმი და მასთან მოლაპარაკება არის შეუძლებელი, აი, დღეს, რეჟიმის დასასრულს ყველაზე მეტად ეს დააახლოვებს. ამით ავტომატურად დაფიქსირდება, რომ ქვეყანაში რეჟიმია დამყარებული. ეს ხალხსაც იმედს მისცემს და მსოფლიოც დაინახავს, რომ ხალხს ქვეყანაში რეჟიმის არსებობა კი არ უნდა, არამედ, ცვლილებები და სამართლიანი არჩევნების ჩატარება სურს. და აი, შემდეგ ნახავთ, როგორ მოიქცევიან, როგორ დათმობენ ყველაფერს და როგორ მოახლოვდება ამ რეჟიმის დასასრული. დიახ, საკაშვილის პოლიტიკური დასასრული მოახლოვდება. და თუ „რვიანს“ გონიერება არ ეყოფა და ასე არ მოიქცევა ამ მოლაპარაკებების შედეგს ჩვენ ძალიან მწარედ ვიგრძნობთ. მერე კი, ფრაზა ცნობილი კინოფილმიდან „მეც მწარედ მომატყუესო“ აღარ გამოდგება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# დღეს პატრიარქი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ფერხთბანვის რიტუალს შეასრულებს და მირონს აკურთხებს



დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ფერხთბანვის რიტუალს შეასრულებს და მირონს აკურთხებს.

როგორც „მედიანიუსს" საპატრიარქოდან აცნობეს, დიდი ხუთშაბათის წირვას ხვალ 9 საათიდან ილია მეორე სვეტიცხოვლის ტაძარში აღავლენს, შემდეგ გაიმართება მირონის კურთხევა და შემდეგ, როგორც მაცხოვრმა დაბანა ფეხები 12 მოწაფეს, ილია მეორეც 12 მღვდელმსახურს ფეხებს დაბანს. 19:00 საათზე კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 12 ვნების სახარებას წაიკითხავს.

ვნების შვიდეულის ხუთშაბათი დღე, ე.წ. დიდი ხუთშაბათი„, ზეთით ხსნილია. დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსამანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას ვიხსენებთ. უფალმა ზიარების საიდუმლო სწორედ ამ დღეს, სერობის ჟამს, დაადგინა. ყველა ქრისტიანი უნდა ეცადოს, რომ დიდ ხუთშაბათს უზიარებელი არ დარჩეს.

დიდი ხუთშაბათი იმითაცაა გამორჩეული, რომ ეს ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება.

დიდი ხუთშაბათის საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. „თორმეტი სახარება" ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა. „თორმეტი სახარების" კითხვისას მორწმუნენი ანთებული სანთლებით ხელში დგანან. ყოველი სახარების წაკითხვის შემდეგ სამრეკლოს ზარი იმდენჯერ ჩამოჰკრავს, რიგით მერამდენე სახარებაც იკითხება.

არსებობს ძველი ტრადიცია, რომლის თანახმადაც სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ სახლში და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალისგან წარმოქმნილი კვამლით ჯვარი გამოვსახოთ.

დიდი ხუთშაბათის შემდგომი დღეა დიდი პარასკევი მას მეორენაირად წითელი პარასკევიც ეწოდება და ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში. ამ დღეს მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მთელი დღის განმავლობაში არაფერს ჭამს, ზოგი კი პურსა და წყალზეა. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

**მედიანიუსი**

# პარლამენტის ახალი შენობის საძირკველში წყალი ჩადგა

**ნანა მიშელაშვილი**



**ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა 2012 წელს უნდა დასრულდეს. ახალი პარლამენტი ქუთაისში დაიდებს ბინას, პარლამენტის ძველ შენობას თბილისში კი, სავარაუდოდ, გაყიდიან.**

**როგორც ქუთაისელები ამბობენ, პარლამენტის მშენებარე შენობის საძირკველში წყალი ამოვიდა. რამდენად მართალია ეს ინფორმაცია და შეექმნება თუ არა საფრთხე ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობას?**

**ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მიწისქვეშა წყლების გამო მშენებლობა გართულდა, მაგრამ არ შეჩერებულა.**

— ეს არ არის ახალი პრობლემა, ეს არის პრობლემა, რომელიც დაძლეულია, — აღნიშნა აკაკი ბობოხიძემ.

ასევე ამბობენ იმასაც, რომ ქუთაისში პარლამენტის საძირკველში ამოსული წყლების გამო ალტერნატიულ ადგილს ეძებენ, რათა იქ დაიწყონ მშენებლობა. ამ ინფორმაციას ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი კატეგორიულად უარყოფს.

— რა სისულელეა, არანაირ ალტერნატიულ ადგილს არავინ არ ეძებს. წლის ბოლომდე შენობის ჩონჩხი მზად იქნება, — განუცხადა ჟურნალისტებს აკაკი ბობოხიძემ.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ შეიტყო ინფორმაცია, რომ ქუთაისში პარლამენტის საძირკველში წყალი ამოვიდა, ზოგიერთი ხუმრობის ხასიათზე დადგა და ვენეცია გაახსენდა.

გიორგი ცაგარეიშვილი ამბობს, რომ გამორიცხული არ არის პარლამენტის მომავალი შენობა ვენეციის დოჟების სასახლეს დაემსგავსოს.

— პარლამენტის მომავალი შენობის სამშენებლო მოედნამდე სულ პალიასტომის ტბას რომ მოეწია, ნაციონალური მოძრაობა მაინც გააგრძელებდა მშენებლობას, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

დეპუტატს მიაჩნია, რომ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს იმდენად უყვარს შადრევნები, რომ გამორიცხული არ არის პარლამენტის მომავალი შენობა ერთგვარად ვენეციაში სანმარკოს მოედანზე მედიდურად აღმართულ დოჟების სასახლეს დაემსგავსოს. — ყველაფერში იგრძნობა, რომ ნაციონალურ მოძრაობას თავის ბელადიანად, წყალი შეუდგა, — უთხრა ჟურნალისტებს გიორგი ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის ახალი შენობა ამჟამინდელი შენობისგან ვიზუალურად განსხვავებული იქნება. პარლამენტის ახალი შენობის მაკეტი თბილისში, პარლამენტის სხდომათა დარბაზის წინ არის გამოტანილი და მისი ნახვა ყველა დეპუტატს შეუძლია.

პარლამენტის ახალი შენობა ექვსსართულიანი იქნება. იქ ოთახებისა და საკონფერენციო დარბაზების განლაგება ძველ შენობაში არსებული დარბაზებისგანგანსხვავებული იქნება.

როგორც ამბობენ, დეპუტატებს, ქუთაისში საცხოვრებელ სახლსაც აუშენებენ, სადაც ოპოზიცია და უმრავლესობა ერთად იცხოვრებს. ასე რომ, ჟურნალისტებს დეპუტატების პოვნა გაუადვილდებათ. იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატები პარლამენტში არ იქნებიან, მათი პოვნა ერთად იმ შენობაში მარტივად შეეძლებათ.

ამ ეტაპზე გაურკვეველია, ახალ პარლამენტში რამდენი დეპუტატი იქნება. შესაძლოა დეპუტატების რიცხვი გაიზარდოს. საბოლოო გადაწყვეტილება, სავარადოდ, მას შემდეგ იქნება მიღებული, რაც ოპოზიცია და უმრავლესობა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეთანხმდება.

მოსახლეობამ რეფერენდუმით გადაწყვიტა, რომ პარლამენტი 150 წევრიანი იყოს. ეს გადაწყვეტილება ამ პარლამენტმა უკვე შეასრულა, რადგან დეპუტატების რიცხვი 235-დან 150-მდე შემცირდა. მომავალ პარლამენტში კი შესაძლოა დეპუტატთა რაოდენობა გაიზარდოს.

კარგა ხანია არაოფიციალურად საუბარი მიდის იმაზე, რომ მომავალ პარლამენტში დეპუტატების რიცხვი გაიზრდება. საუბარია სხვადასხვა რაოდენობაზე, კერძოდ, 100 პარტიული სიით არჩეულ და 75 — მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატზე. ასევე ამბობენ, რომ დეპუტატების რიცხვი 183-მდე გაიზრდება.

როგორ გადანაწილდება პროპორციული და მაჟორიტარული წესით დეპუტატების რაოდენობა, ეს ჯერ გაურკვეველია. გარკვეული მხოლოდ ის არის, რომ 2012 წელს პარლამენტის ახალი შენობა ქუთაისში მზად იქნება.

# ებრაელი ბიზნესმენების ოჯახებმა საქართველოს პრეზიდენტს დაკავებულთა შეწყალების თხოვნით მიმართეს

ებრაელი ბიზნესმენების — რონი ფუქსისა და ზევ ფრენკელის ოჯახის წევრებმა საქართველოს პრეზიდენტს დაკავებულთა შეწყალების მოთხოვნით მიმართეს.

როგორც „მედიანიუსს" ბიზნესმენების ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, შესაბამისი განცხადება მან პრეზიდენტის ადმინისტრაციის კანცელარიაში დღეს შეიტანა.

ცნობისთვის: ქართულმა მართლმსაჯულებამ ებრაელი ბიზნესმენებს 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალი ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძის მოსყიდვის მცდელობაში დასდო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილმა საქართველოში დაკავებულ რონი ფუქსს შვიდი წლით, ხოლო ზეევ ფრენკელს ექვსი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთამიუსაჯა . ამასთან, მოსამართლემ ფუქსს 500 ათასი ლარის ჯარიმის სახით გადახდა დააკირსა, ხოლო ფრენკელს ჯარიმის სახით 100 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

**მედიანიუსი**

# ირაკლი ალასანია: ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არჩევნებია



თბილისი.20.04.11.მედიანიუსი. პარტია „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატების" ლიდერის ირაკლი ალასანია თქმით, აშშ-ს ფინანსური მხარდაჭერა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ეს არის გრძელვადიანი, პარტნიორული ხელი, რომელიც აშშ-მ გაუწოდა საქართველოს.

— ეს არის ორი ერის, ორი ხალხის მტკიცე თანამშრომლობა. თუ ჩვენ გვინდა ევროპული და ევროატლანტიკური ოჯახის ნაწილი გავხდეთ, ამისთვის უნდა შევცვალოთ პოლიტიკის ის მეთოდი, რაც გვქონდა უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში. შესაბამისად, სწორედ იდება ამხელა ფული და რესურსი საარჩევნო გარემოს შესაცვლელად, დემოკრატიული ინსტიტუტების განსამტკიცებლად, სამოქალაქო საზოგადოების განსავითარებად. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როდესაც ერთმანეთს ვუპირისპირდებოდით და საზოგადოებაც გახლეჩილი იყო. არსებული სიტუაციის შეცვლის შანსი არის ჩვენი პოლიტიკური სიმწიფე, რომელიც უნდა გამოვლინდეს შემდეგ არჩევნებში, — განაცხადა ალასანიამ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკაში აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოში განხორციელებულ დემოკრატიისა და სამართლიანი მმართველობის მხარდამჭერ პროგრამების შემაჯამებელ პრეზენტაციაზე, რომელიც აშშ ელჩმა ჯონ ბასმა გამართა.

ალასანიამ ასევე ხაზი გაუსვა საქართველოში საარჩევნო გარემოს შეცვლისა და დახვეწის აუცილებლობაზე და დასძინა, რომ ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არჩევნებია.

შეგახსენებთ, გუშინ აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა საქართველოში განხორციელებული დემოკრატიის განვითარების პროგრამები შეაფასა. მან აღნიშნა, რომ აშშ-ს მთავრობა საქართველოში გააგრძელებს ისეთი პროგრამების დაფინანსებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს დამოუკიდებლობის, კანონის უზენაესობის, სამართლიან არჩევნების, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარებას.

**მედიანიუსი**

# ნინო ბურჯანაძე პირობას დებს



„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე ბათუმის მერიას პრემიებში მილიონების დახარჯვის გამო აკრიტიკებს და პირობას სდებს, რომ მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მსგავსი რამ არ მოხდება.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბათუმის მერიამ თანამშრომელთა პრემიებში 3 მლნ 700 ათას ლარზე მეტი გასცა.

მისი თქმით, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მის მთავრობას სულ სხვა პრიორიტეტები ექნება და არც კონცერტებში და არც სხვა გასართობ ღონისძიებებში ფულს არ დახარჯავენ.

— ჩვენი პრიორიტეტები ხელფასები და პენსიები იქნება. მალე მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდება წავიდეს და ჩატარდება ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. მე ამაში დარწმუნებული ვარ. ის ხალხი, ვინც დღეს პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს და დანაშაული არ აქვთ ჩადენილი, პასუხი არ მოეთხოვებათ, რადგან მათ უბარლოდ, სჯერათ „ნაციონალური მოძრაობის" და ამის გამო არიან სახელმწიფო სტრუქტურებში, — განაცხადა ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# ჩვენ მხარს ვუჭერთ ისეთ საქართველოს, სადაც მოსახლეობას ექნება ხელისუფლებისადმი მზარდი ნდობა

გუშინ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა აშშ-ს მთავრობის მიერ საქართველოში განხორციელებული დემოკრატიისა და სამართლიანი მმართველობის მხარდამჭერი პროგრამები შეაჯამა. სიტყვით გამოსვლისას მან კიდევ ერთხელ გამოხატა აშშ-ს მთავრობის მტკიცე მხარდაჭერა საქართველოსადმი.

ჯონ ბასის განცხადებით, აშშ დემოკრატიის გასაძლიერებლად საქართველოს მთავრობასთან ერთად იმუშავებს და დააფინანსებს პროგრამებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ სასამართლოს დამოუკიდებლობას, კანონის უზენაესობას, სამართლიან მმართველობას, პოლიტიკურ პაექრობას, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განვითარებას.

— ჩვენ ვუჭერთ მხარს ისეთ საქართველოს, სადაც მოსახლეობას ხელისუფლებისადმი მზარდი ნდობა ექნება. ქართველი მოქალაქისთვის ხელმისაწვომი იქნება სანდო ინფორმაცია. ასევე, აშშ მტკიცედ დაუჭერს მხარს საქართველოში ძლიერი, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის არსებობას, — განაცხადა ჯონ ბასმა.



ჯონ ბასმა ასევე ხაზი გაუსვა აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილ თანხებს საქართველოში დემოკრატიის მხარდასაჭერად.

მისი თქმით, აშშ საქართველოში სამართლიანი მმართველობის მხარდასაჭერად 2007 წლიდან 2015 წლამდე 200 მილიონ დოლარზე მეტს დახარჯავს. შემდგომ ოთხ წელიწადში კი 90 მილიონი დოლარი გამოიყოფა იმის საილუსტრაციოდ, რომ აშშ და საქართველო მჭიდროდ ითანამშრომლებენ დემოკრატიის განმტკიცებისა და რეფორმების განხორციელების გზაზე.

სიტყვით ასევე გამოვიდა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია. მან მადლობა გადაუხადა აშშ-ს მთავრობას გაწეული ფინანსური დახმარებისთვის და აღნიშნა, რომ ამ დახმარების გარეშე უკეთეს შემთხვევაში, ბევრად უფრო გაუჭირდებოდა ქართულ საზოგადოებას.

— თუკი ამ საკითხზე თანხმობაა, ეს არის თავისუფალი, დემოკრატიული ქართული საზოგადოება, რომელიც უნდა დაუბრუნდეს დიდ ევროპულ ოჯახს. ღრმად მწამს, რომ ეს არჩევანი არის ურყევი. ამ გზაზე მრავალი დაბრკოლება შეგვხვდა, მაგრამ პარტნიორებთან ერთად ჩვენ შევძლებთ დასახული მიზნის მიღწევას, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლები.

**მედიანიუსი**

# ხვდება თუ არა ევროპაში საქართველოდან ნარკოტიკები

ნანა მიშელაშვილი



**რუსეთის ფედერაციის ნარკოტიკების ბრუნვაზე კონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა განაცხადა, რომ ევროპის ქვეყნებში ნარკოტრაფიკის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს პორტების მეშვეობით ხორციელდება.**

**ვიქტორ ივანოვის განცხადებას საქართველოს საგარეო უწყება და ქართველი დეპუტატები გამოეხმაურნენ. დეპუტატების განცხადებით, რუსეთი საქართველოს მორიგ ბრალდებას უყენებს.**

საქართველოს საგარეო უწყების განცხადებით, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, სხვადასხვა დონეზე, დაჟინებით ეძებენ არარსებულ „ქართულ კვალს" თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ ყველა პრობლემაში.

საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში აღნიშნულია, რომ რუსეთის ხელისუფლებას ვერ მოჰყავს ვერც ერთი ფაქტი და მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მათ ბრალდებებს საქართველოს წინააღმდეგ.

— რეალობა კი საპირისპიროა — ყველა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევები და მონაცემები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებენ, რომ სწორედ რუსეთი წარმოადგენს მთავარ რგოლს ნარკოტიკების მოხმარებისა და ტრანზიტის დანაშაულებრივ ჯაჭვში, — ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი წარმოადგენენ იმ „შავ ხვრელებს", სადაც საოკუპაციო ძალების მხარდაჭერით და კონტროლით ხდება ნარკოტიკული საშუალებების დამზადება და მიწოდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

რუსეთის ფედერაციის ნარკოტიკების ბრუნვაზე კონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორის ვიქტორ ივანოვის განაცხადებას, რომ ევროპის ქვეყნებში ნარკოტრაფიკის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს პორტების მეშვეობით ხორციელდება, პარლამენტის წევრებმა ასე უპასუხეს: რუსეთი თავის თვალში დირეს ვერ ხედავს და სხვის თვალში ბეწვსაც ხედავს.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი რატი მაისურაძე „ახალ თაობასთან" საუბარში აცხადებს, რომ შესაძლოა ნარკოტიკები ჩვენი ტერიტორიებიდან მართლა ხვდება ევროპაში, მაგრამ ეს ხვდება აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ.

— ამაში ჩვენი დადანაშაულება შეუძლებელია, რადგან თავად რუსეთი აკონტროლებს ოკუპირებულ ტერიტორიებს. რუსეთი თუ ჩვენ არ დაგვადანაშაულებს, მაშინ რუსეთმა თავის ხელი უნდა მოიჭრას, ამიტომ სჭირდება „განტევების ვაცი" და ეს ჩვენ ვართ, — აღნიშნა რატი მაისურაძემ.

ოპოზიციონერი დეპუტატი მიუთითებს იმაზეც, რომ სადაც დიდი კორუფციაა, იქ ყვავის ნარკოტიკები და ყველანაირი არალეგალური ბიზნესი. „რუსეთში ყველაფერი შესაძლებელია, ეს ყველამ უნდა გაიგოს", — აღნიშნა რატი მაისურაძემ.

დეპუტატი საუბრობს იმაზეც, რომ თუ ჩვეულებრივი კრიმინალები საქმეებს ბნელ ადგილებში წყვეტენ, ნარკოტიკების მოძრაობის საკითხები რუსეთში წყდება სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა ოთახებში.

— ამ ტრანზიტს ბუმერანგს დავარქმევდი, რომელიც აფხაზეთისკენ გამოისროლეს და ახლა უკან უბრუნდებათ. ჯერ სად არიან, ამ ყველაფერს ისევ თავად მოიმკიან, — აღნიშნა რატი მაისურაძემ.

პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატის გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, სხვის თვალში ბეწვის ძებნას, რუსეთის ფედერაციას ურჩევნია თავის თვალში დირე შენიშნოს.

— რა თქმა უნდა, საქართველოს ნარკოტიკების ტრანზიტთან დაკავშირებით დიდი პრობლემა აქვს, რომელიც წლებია ვერ წყდება და ვფიქრობ, ვერ გადაწყდება მანამ, სანამ ეს ხელისუფლება სათავეში იქნება. თუ ვინმე გამახსენებს, როდის ამოიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლოს ნარკოტიების საშუალებების დიდი პარტია, ჩემ სიტყვებს უკან წავიღებ, მაგრამ ასეთი შემთხვევა არ მახსენდება, არადა, ნარკომომხმარებლების რაოდენობა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს. ქართული ციხეები სავსეა ნარკომანებით, — აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის განცხადებით, გასათვალისწინებელია რომ, დღეს ამ ტრანზიტის მარშრუტზე არსებობს ისეთი შავი ხვრელები, როგორიცა არის ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, საიდანაც მთელ რეგიონში და დანარჩენ ევროპაში ვრცელდება ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი და ასე შემდეგ.

— ის, რომ საქართველოში და მის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნარკოტიკების ტრანზიტთან დაკავშირებით გადაულახავი პრობლემებია, ეს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ერთ-ერთ მოხსენებაში მოხვდა, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

# შალვა ნათელაშვილი დავით კეზერაშვილს ქონების ჩამორთმევით ემუქრება



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შავლა ნათელაშვილ აცხადებს, რომ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი კორუმპირებული ჩინოვნიკია და მას ქონების ჩამორთმევით დაემუქრა.

როგორც გუშინ „ლატარიის კომპანიის" ოფისთან გამართულ აქციაზე ნათელაშვილმა განაცხადა, სავაჭრო ცენტრ „პიქსელის" შენობა და იქ განთავსებული კომპანიები თავდაცვის ყოფილი მინისტრს, ამჟამინდელ „ლატარიის კომპანიის" მფლობელს დავით კეზერაშვილს ეკუთვნის.

— რამდენიმე ხნის წინ ქვეყნისყლაპია პრეზიდენტმა კორუმპირებული ჩინოვნიკების დასახელება ითხოვა. დღეს ჩვენ ვუსახელებთ კორუმპირებულს, მილიარდელს, მის ძმაკაცს, მისი ოჯახის სპონსორს, ნარკომანს, თავდაცვის ექს მინისტრს, იარაღის კონდრაბანდისტს, ნავთობ მაფიოზს დავით ისკარიოტელ კეზერაშვილს, რომელიც არის აი, ამ ქონების მფლობელი და ამ ქონების გარდა საზღვარგარეთ აქვს ოცჯერ მეტი ქონება, — განაცხადა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ კეზერაშვილმა ისრაელის გადარჩენისა და განვითარების ფონდში მილიონები შეიტანა, მაშინ როცა ეს ფული დაღუპული ბიჭების ოჯახებში უნდა შეეტანა, მათი შვილების გასაზრდელად და ფეხზე დასაყენელად.

ლეიბორისტული პარტია ჰპირდება საზოგადოებას, რომ თავდაცვის ყოფილ მინისტრს აღნიშნულ ქონებას ჩამოართმევს.

— ჩვენ გპირდებით, რომ კეზერაშვილს ჩამოვართმევთ ამ ქონებას და დავუბრუნებთ მათ, ვისაც წაართვა— ქართველ ხალხს. დღე ძალიან მალე დადგება, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

**მედიანიუსი**

# სახალხო კრებამ იმერეთში ახალგაზრდული ორგანიზაცია და შეფიცულები დააფუძნა

გუშინ ქუთაისში სახალხო წარმომადგენლობითმა კრებამ ახალგაზრდული ორგანიზაცია და შეფიცულების რაზმი დააფუძნა.

ღონისძიებაში მონაწილეობა „სახალხო კრების" აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ და პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების" ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა მიიღეს. ღონისძიებას ასევე 600-მდე ადამიანი ესწრებოდა.

„შეფიცულთა" ფიცის დადების ცერემონია ქუთაისში გაიმართა. ახალგაზრდული მოძრაობის თავმჯდომარედ ლაშა გიორგობია აირჩიეს, ხოლო „შეფიცულებს" იმერეთის მასშტაბით პლატონ ონიანი უხელმძღვანელებს.

**მედიანიუსი**

# 21 აპრილი უქმე დღედ გამოცხადდა

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 21 აპრილი უქმე დღედ გამოცხადდა.

— 19 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს, პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის შედგა შესაბამისი კომუნიკაცია, რომლის საფუძველზე საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება და სააღდგომო დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით, 2011 წლის 21 აპრილი ერთჯერადად გამოცხადდა დასვენების დღედ", - განაცხადა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

ეს გადაწყვეტილება დღეს სვეტიცხოველში მირონის კურთხევას უკავშირდება. მირონის ხარშვა 18 აპრილს დაიწყო და დღეს სრულდება. მირონი 15-20 წელიწადში ერთხელ იხარშება.

დღეიდან 26 აპრილამდე ყველა დღე ოფიციალურად უქმეა.

**მედიანიუსი**

# ოპოზიციური „რვიანი" დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა

ოპოზიციური „რვიანი" გაეროს თბილისის წარმომადგენლობაში საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ს ელჩი ჯონ ბასიც.

შეხვედრაზე ოპოზიციურ „რვიანს" „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი ირაკლი ჩიქოვანი, რესპუბლიკელი ვახტანგ ხმალაძე და "ახალი მემარჯვენეების" წევრი მამუკა კაციტაძე წარმოადგენდნენ.

მათ უცხოელ დიპლომატებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული საკუთარი წინადადებები გააცნეს და საარჩევნო რეფორმის პროცესში აქტიური ჩართულობისაკენ მოუწოდეს.

შეგახსენებთ, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებათა პროცესი ამ დროისთვის შეჩერებულია. **მედიანიუსი**

# თელავში დაუმორჩილებლობის კომიტეტმა აქცია გამართა

გუშინ წარმომადგენლობითი სახალხო კრების თელავის დაუმორჩილებლობის კომიტეტმა თელავის დრამატული თეატრის წინ საპროტესტო აქცია გამართავს.

აქციის ფარგლებში მოეწყო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და მისი ჩინოვნიკების სასახლეების ფოტოების გამოფენა. „მედიანიუსს" სახალხო კრების რეგიონული ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით ჯორჯაძემ განუცხადა, რომ აქციის მიზანი ხალხის მიერ არჩეული ჩინოვნიკების სასახლეების გამოაშკარავებაა.

— შევიკრიბეთ და ყველას დავანახვეთ, თუ როგორ ცხოვრობენ ხელისუფლების წარმომადგენლები ხალხის ხარჯზე, — ამბობს ჯორჯაძე.

წარმომადგენლობითი სახალხო კრება 21 აპრილს საინფორმაციო აქციას ახმეტის მუნიციპალიტეტშიც მოაწყობს და მოსახლეობას საკუთარი გეგმების და ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის. **მედიანიუსი**

# სოზარ სუბარი და ეროსი კიწმარიშვილი ყვარლის სოფლებში იმყოფებოდნენ



„ქართული პარტიის„ თავმჯდომარე გუშინ, ყვარლის რაიონის სოფლებში - წინწკინაანთსერსა და კუჭატანში ჩავიდნენ და ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებს გაეცნენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" პარტიის პრესსამსახურიდან აცნობეს, ამ სოფლების მცხოვრებლებმა „ქართულ პარტიას„ დახმარებისთვის მიმართეს, იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი თვის წინ, საძოვრების გამოყენება აუკრძალეს და საერთო სარგებლობის მიწებს მავთულხლართები შემოავლეს.

მოსახლეობა აცხადებს, რომ მიწები მათ ზურგს უკან, ჩუმად გაიყიდა და ისინი საძოვრების გარეშე დატოვეს. როგორც ადგილზე ჩასულმა ქართული პარტიის„ ლიდერებმა გაარკვიეს, მიწების ნაწილი ბანკი „რესპუბლიკის„ მმართველმა ლაშა პაპაშვილმა და პარლამენტარმა არჩილ გეგენავამ შეისყიდა, დანარჩენი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სოფელი კი უმიწოდ დარჩა.

პარტიის ლიდერებთან შეხვედრის დროს ასევე აღინიშნა, რომ თავის დროზე მოსახლეობა ეთნიკური ნიშნით დაყვეს, ოსებსა და ავარლებს ნაკლები მიწა მისცეს. მოსახლეობის განცხადებით, ეს უსამართლობა აუცილებლად უნდა გამოსწორდეს - იმ შემთხვევაში, თუ მიწა კანონიერად არის გაყიდული, მაშინ ის სახელმწიფომ უნდა გამოისყიდოს და სოფელს დაუბრუნოს, ან მოსახლეობას კომპენსაცია გადაუხადოს.

„ქართული პარტიის„ ლიდერები მოსახლეობას დაპირდნენ, რომ ეს საკითხი იურიდიული დავის საგანი გახდება და მას შემდეგ, რაც არსებული ხელისუფლება შეიცვლება, სამართლიანობა აღდგება.

მიწის საკითხის გარდა, ადგილობრივებს სხვა პრობლემებიც აწუხებთ. მოსახლეობა ჩივის, რომ სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული თანხები ვითომ წყალგაყვანილობასა და გზის შეკეთებაზე დაიხარჯა, მაგრამ, ფაქტია, რომ დღეს ამ სოფლებს არც წყალი აქვს და არც გზა. გარდა ამისა, წინწკინაანთსერსა და კუჭატანში დღემდე არ მიუღიათ ვაუჩერები.

— დღევანდელ ხელისუფლებასთან ლაპარაკს აზრი არ აქვს. ამათ სახრეებით გავყრით და წელსვე დავამთავრებთ, როგორც ძალით მოვიდნენ ხელისუფლებაში, ასევე ძალით წავლენ, — დაპირდა ეროსი კიწმარიშვილი ადგილობრივ მოსახლეობას.



წინწკანაანთსერისა და კუჭატნის მოსახლეობასთან შეხვედრაზე ასევე იმყოფებოდნენ ქართული პარტიის„ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული ორგანიზაციების კოორდინატორი ლევან ტერაშვილი, პარტიის წარმომადგენელი თეო ტლაშაძე და პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე მალხაზ ხიზანიშვილი.

**ინტერპრესნიუსი**

# ძლიერმა ქარმა ყვარლის სოფლებში სკოლების სპორტულ დარბაზებს სახურავები გადახადა

ძლიერმა ქარმა ყვარლის რაიონის სოფლებში: მთისძირში და ახალსოფელში საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს სახურავები გადახადა.

ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იტყობინება.ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გია ცინცაძის განცხადებით, ზარალის ოდენობა ჯერ უცნობია.

— სპორტული დარბაზები თუთიის თუნუქით იყო გადახურული. ძლიერმა ქარმა მთისძირში სახურავი მთლიანად გადახადა, ახალსოფელში ნახევრად, — აღნიშნა ცინცაძემ.

**პრაიმ-ნიუსი**

# ნიკა გილაური იტალიაში შეხვედრებს მართავს

თბილისსა და რომს შორის, შესაძლოა, პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა დაიწყოს. ამის შესახებ იტალიაში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა იტალიის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრ ჯულიო ტრემონტისთან შეხვედრისას ისაუბრა.



— ეკონომიკის მინისტრთან შეხვედრაზე რამდენიმე ახალი საკითხი წამოიჭრა, მათ შორის ერთ-ერთი თბილისსა და რომს შორის პირდაპირი ფრენების დაწყებას შეეხება, რომლითაც იტალიური მხარეცაა დაინტერებული და იმედი მაქვს, ეს საკითხი უახლოს მომავალში დადებითად გადაწყდება, — განუცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს.

ამასთან, გილაურის ვარაუდით, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, იტალიის დედაქალაქიდან თბილისის მიმართულებით თვითმფრინავები კვირაში მინიმუმ ორ-სამჯერ იფრენენ.

იტალიაში ვიზიტის ფარგლებში გილაური ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარესა და ვიცე-პრემიერსაც შეხვდა. ასევე გაიმართა რამდენიმე დახურული შეხვედრა, რომლებზეც იტალიურმა მხარემ საქართველოს სუვერენიტეტს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. **მედიანიუსი**

# ხელისუფლება იძულებული გახდება, რომ ოპოზიციას დაელაპარაკოს

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

*— ბატონო სოსო, ამ ბოლო პერიოდში საერთაშორისო საზოგადოება შედარებით უფრო ყურადღებიანი გახდა საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ. თუნდაც იგივე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, თუნდაც ორი დღის წინ ჰილარი კლინტონის მიერ გაკეთებული განცხადება, როგორ ფიქრობთ, რამდენად გამოიღებს ეს შედეგს და რამდენად მოახდენს ჩვენი ხელისუფლება ამაზე რეაგირებას?*

— ტენდენცია, რომელზეც ბრძანებთ, ნამდვილად თვალსაჩინოა და ჩემი აზრით, უპირველესი მიზეზი ამ ტენდენციის გახლავთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ობამა საკუთარ სიტყვებს ქარს არ ატანს და რასაც ამბობს, შემდგომ ამის დამადასტურებელ ნაბიჯებსაც დგამს. ვგულისხმობ მის ცნობილ განცხადებას, რომ ამერიკის პარტნიორები არიან არახელისუფალნი, მათი სტრატეგიული პარტნიორების, არამედ ხალხი. ჩვენ უკვე მოწმენი ვართ ამერიკის საკმაოდ აქტიური ქმედებისა არაბულ სამყაროში და მით უმეტეს, მათ უფრო ცივილიზებულ რეგიონად მიაჩნიათ კავკასია და ამ შემთხვევაში ის ადასტურებს, რომ ხალხის ხმა მას ესმის. წყარო ინფორმაციისა, აღარ არის მხოლოდ ის სტრუქტურა, რომელიც ადრე იყო, ვგულისხმობ ამერიკის საელჩოს. თუმცა, საბედნიეროდ, დღეს საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰყავს თავისი საუკეთესო წარმომადგენელი მოყოლებული 1992 წლიდან, როდესაც ასეთი ურთიერთობები დამყარდა.

*— რამდენად გაითვალისწინებს ამ ყველაფერს საქართველოს ხელისუფლება?*

— იცით, პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ძალაუფლების გადაბარება, მით უფრო მტკივნეული პროცესია პიროვნულად ძალაუფლების ოლიმპზე მყოფი ადამიანებისთვის, რაც უფრო ნაკლებად დემოკრატიულია მათ მიერ შექმნილი ატმოსფერო. ჩვენ მოწმენი ვართ, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრი, საფრანგეთის და ამერიკის პრეზიდენტები, ერთობლივი განცხადებითაც გამოვიდნენ და ლამის სკანდირებენ „გადადექი, გადადექი" კადაფის მიმართ. არ უნდა კადაფის გადადგომა, სხვანაირად ვერ წარმოუდგენია საკუთარი თავი ამქვეყნად. ძალიან შეეჩვია იმას, როგორც დილას საუზმეს არის შეჩვეული ადამიანი, აი, ამ დონეზე არის გადაგვარებული ცნობიერება დიქტატორისა, რომელსაც სჯერა, რომ თუ ის დატოვებს საკუთარ სავარძელს, დედამიწაზე უმალ მეორედ მოსვლის მოწმენი გავხდებით. ამ შემთხვევაში არანაკლებ ანტიდემოკრატიული რეჟიმის ფენომენს შევახსენებდი ჩვენს საზოგადოებას, ფიდელ კასტროს, რომელმაც იცოცხლე, 40 წელი კი ინავარდა ქვეყნის პირველ პირად, მაგრამ გადადგა და აცლის თავის ძმას, რომლის მიმართაც ბევრად ნაკლები სიმპათია იყო კიდევ კუბის მოსახლეობაში, რომ მართოს ქვეყანა. ამ დღეებში რაულ კასტრო აირჩიეს კუბის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნადაც, ეს თანამდებობაც დათმო ფიდელ კასტრომ და ეწვია მოულოდნელად ყრილობას როგორც რიგითი კუბელი. არ ვიცი, მაინცდამაინც სიკვდილის პირას უნდა მივიდეს ასეთი ავტორიტარი მმართველი, რომ ცნობიერება ცოტა ადეკვატური გაუხდეს? თუ არსებობს რაიმე რეზერვი იმისა, რომ ადეკვატური იყოს მისი ნაბიჯები. ამ შემთხვევაში ძალიან დიდია ავტორიტარული მმართველის, გინდათ, დიქტატორის გარემოცვის პასუხისმგებლობა და როლი. ჩვენ მოწმენი ვართ, წინა ორი პრეზიდენტის შემთხვევაში რა ნეგატიური როლი ითამაშა მათმა გარემოცვამ, დროზე ადრე თანამდებობიდან წასვლის პროცესში და ანალოგიური პროცესის მოწმენი ვართ დღეს ჩვენს ქვეყანაში კვლავ. ხალხი თუ საკუთარი გარემოცვა, ამ კითხვაზე მკაფიოდ თუ არ იქნა პასუხი გაცემული ნებისმიერი ხელისუფალის მხრიდან, დიდი საფრთხე იქმნება იმისა, რომ იგი დროზე ადრე დაემშვიდობოს საკუთარ თანამდებობას.

*— საკმაოდ მწვავე იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა და ბევრი ფიქრობდა, რომ ამას რაღაც რეაგირება მაინც მოჰყვებოდა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან, მინიმუმ მინისტრ კალმახელიძეს მაინც მოხსნიდა სააკაშვილი, თუმცა, მოლოდინი არ გამართლდა...*

— აბა, რა გითხრათ. ზოგადად მსმენია, რომ დამნაშავე ხელისუფლება ქურდული კანონებით ხელმძღვანელობს და საკუთარი გუნდის წევრს არასოდეს გაწირავს. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება ჩემი ნათქვამი დღევანდელ ქართულ რეალობას, მე მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ის მახასიათებელი ქართული გენისა, რომელიც საკუთარ თავმოყვარეობას ყველაზე უკანასკნელი ფასეულობათ არ მოიაზრებს, ძალას მისცემს დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ ვაი მოღვაწეს, რომ დადგეს საკუთარ თავზე მაღლა და იყოს ობიექტური, როგორც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შეფასებისას, ასევე საკუთარი როლის ანალიზისას და საკუთარი გზის შეფასებისას პოლიტიკაში.



*— ბატონო სოსო, მოდით, ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებიც შევაფასოთ. რვიანი თვლის, რომ ისინი საკმაოდ წარმატებით მიიწევენ წინ. თქვენი აზრით, რამდენად წარმატებულია მათი ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები?*

— აბა, რა გითხრათ, სტაგნაცია არა მგონია იყოს რაიმე წარმატების ნიშანი, ამჟამად სწორედ ამ ვითარებაშია მოლაპარაკების პროცესი. თუმცა, პერსპექტივა რვიანის პოზიციას ნამდვილად აქვს, ვფიქრობ, ხელისუფლება ამა თუ იმ ფორმით მაინც იძულებული გახდება, გააგრძელოს მოლაპარაკება საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. ქალბატონი კლინტონის უკანასკნელი განცხადებაც მარწმუნებს, რომ დაფარული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისთვის ალარაფერია. მათი დიპლომატიური არხი ბოლოს და ბოლოს ამეტყველდა ბევრად მეტი სიზუსტით, ვიდრე ეს წინა წლებში იყო. ამიტომ არსებობს სხვადასხვა ხარისხის პროტესტი არადემოკრატიული რეჟიმების მიმართ, ამ ინსტრუმენტებს ამერიკის შეერთებული შტატები სრულად ფლობს და ვფიქრობ, შეიძლება დადგეს დრო, როცა საქართველოს ხელისუფალთათვის აღარ იყოს რაიმე ხიბლის შემცველი ქვეყნის მმართველობა, რადგან მათი საქმიანობის არეალი შეიძლება შემოიფარგლოს სარფიდან წითელ ხიდამდე.

*— თუმცა, ამ ეტაპზე ხელისუფლება ცდილობს თავისი თამაშის წესებით ათამაშოს რვიანი და საკმაოდ ცინიკურებიც არიან. რვიანის ყველა შეთავაზებაზე მათ ცინიკური პასუხი გასცეს...*

— გეთანხმებით, მაგრამ ჩემზე უკეთესი შეფასება ამ ვითარებისა გააკეთა სწორედ ქალბატონმა კლინტონმა. სწორედ ასეთი ქედმაღლური და არაადეკვატური დამოკიდებულების გამო საარჩევნო გარემოს ცვლილებების მიმართ, რასაც ამჟღავნებს დღეს ხელისუფლება, იყო სრულიად მკაფიო და ცალსახა მინიშნება. თუმცა, ხელისუფლება, რომელიც თვლის, რომ აგვისტოს

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# მეცნიერების კვლევები კვლავ ადასტურებენ ლუდის სამკურნალო თვისებებს

**Ercury News** – ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, უახლესი კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ ანტიკური კულტურები ლუდს თურმე არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებით გამოწვეული სტრესის დასამარცხებლად, არამედ სამედიცინო დანიშნულებითაც იყენებდნენ.

ანთროპოლოგებმა დაადგინეს, რომ პენიცილინის გამოგონებამდე (1928 წელი) ათასწლეულების წინ, უძველესი ნუბიის ხალხები ლუდს როგორც ანტიბიოტიკს ანუ სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის ღრძილების და ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ იყენებდნენ.

ნუბიის სამეფო ეგვიპტის სამხრეთით დღევანდელი სუდანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ამ სამეფოში ლუდის მწარმოებლებს დიდ პატივს სცემდნენ.

80-იან წლებში მეცნიერებმა ეჭვი გამოთქვეს, რომ ნუბიური ლუდი თურმე ალკოჰოლის გარდა სხვა ნივთიერებებსაც შეიცავდა. ეჭვი მას შემდეგ გაჩნდა, რაც არქეოლოგებმა უჩვეულო ფიზიკური მტკიცებულება მოიპოვეს. კერძოდ, 1980 წელს ატლანტის ემორის უნივერსიტეტის პროფესორი ანთროპოლოგი **ჯორჯ არმელაგოსი** ხელმძღვანელობდა ჯგუფს, რომელმაც დაახლოებით 2000 წლის სიძველის ნუბიურ ძვლებში ანტიბიოტიკი ტეტრაციკლინი აღმოაჩინა. ტეტრაციკლინს ბუნებრივად გამოიმუშავებს ნიადაგის ბაქტერია **streptomyces** და მეცნიერებმა წარმოადგინეს თეორია, რომ შესაძლოა **streptomyces** მრავლდებოდა ნუბიური ლუდის კასრებში.

მოგვიანებით, ანტიკური ნუბიური ძვლების გაცილებით ღრმა ანალიზმა გამოავლინა მათში ტეტრაციკლინის მაღალი კონცენტრაციის არსებობა. ახალი მონაცემები მიუთითებენ, რომ ნუბიელები რეგულარულად მოიხმარდნენ ტეტრაციკლინს და დამუშავებული ჰქონდათ ლუდის წარმოების რთული პროცესი, რომელიც აუცილებელი იყო ანტიბიოტიკური ლუდის რუტინული დუღილისათვის.

ეს დასკვნა კი ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ ანტიბიოტიკი თანამედროვე გამოგონებაა.

**„ტეტრაციკლინის აღმოჩენა ეგვიპტური მუმიის სახვევის ახსნას და მის თავზე „რეი ბანის" სათვალის ნახვას ჰგავდა, ეს გასაოცარი იყო,"** – აღნიშნა **არმელაგოსმა.**

თუ როგორ შეძლო **streptomyces** ბაქტერიამ ლუდში მოხვედრა აუცილებელია განისაზღვროს, თუ რით განსხვავდება ლუდის ხარშვის უძველესი პრაქტიკა თანამედროვე მეთოდისგან. ნუბიელები ეგვიპტელების მსგავსად ლუდს პურისგან ამზადებდნენ.

**„პირველი ნაბიჯი უძველესი მცხობელებისა და ლუდის მწარმოებლებისთვის იყო მოწეული მარცვლეულის გაღივება. ეს პროცესი საკმაოდ ჩამოჰგავს მეოთხე კურსზე გაღივების სამეცნიერო პროექტის წარმოებას, სადაც მარცვლეულს ალბობენ წყალში დაახლოებით 24 საათის განმავლობაში, შემდეგ წურავენ და ათავსებენ ქსოვილის შრეებს შორის გაღივებამდე,"** – განმარტავს ანთროპოლოგიის ასპირანტი **მანდა მამერტი,** რომელიც არმელაგოსს კვლევაში ეხმარებოდა.

გაღივების შემდეგ მარცვლებს აშრობენ და ფქვავენ ფქვილად, რომელიც პურის გამოსაცხობად გამოიყენება. ბაქტერია **streptomyces,** სავარაუდოდ ლუდის მომზადების პროცესში ხვდება შენახვის პერიოდის განმავლობაში ან მარცვლების გაშრობისას ან შესაძლოა პურის ცომის ამოსვლის პროცესში.

ნუბიელი ლუდის მხარშავები ცომს აცხობდნენ ვიდრე ის მაგარ ქერქს არ გაიკეთებდა, მაგრამ ტოვებდნენ თითქმის გამოუმცხვარ გულს. შემდეგ წარმოებდა პურის ნატეხების მოთავსება დაუფქვავი მარცვლებისგან დამზადებული ჩაის შემცველ ჭურჭელში. ნარევი განიცდიდა ფერმენტაციას და ხდებოდა ლუდის წარმოქმნა.



**ჩარლი ბამფორტი, UC Davis** -ის ლუდის წარმოების მეცნიერებათა პროფესორი

საბოლოოდ, პროდუქტი არ გამოიყურებოდა, როგორც ქარვისფერი სასმელის პინტა, რომელსაც შეიძლება წრუპავდეთ თქვენს საყვარელ ბარში, თუმცა... **„როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ უძველესი ევიპტური ლუდის შესახებ ჩვენ არ ვგულისხმობთ Pabst Blue Ribbon –ს"** – განაცხადა არმელაგოსმა. **„ის რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ არის მარცვლეულის თხევადი ფაფის სახეობა."**

მამერტმა, რომელმაც ლუდი ხარშვისთვის გამოიყენა რამდენიმე უძველესი მეთოდი, პირველი მიღებული პარტია აღწერა როგორც ალაოსმაგვარი და მჟავე.

გასათვალისწინებელია, რომ სვია, თანამედროვე ლუდის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ხელმისაწვდომი არ იყო ძველ აფრიკაში. სვიის შემადგენლობაში შემავალი მჟავები კი ასრულებდნენ კონსერვანტების როლს, ამიტომ ნუბიელები სავარაუდოდ საკუთარი წარმოების ლუდს დამზადებისთანავე სვამდნენ.



მამერტი მიიზიდა უძველესი ხანის ლუდის ტექნოლოგიის კვლევამ, რადგან ის იძლეოდა შესაძლებლობას კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე გამოყენებული მკურნალობის მეთოდების შესასწავლად. **„ანტიბიოტიკი ხშირად მიიჩნევა თანამედროვე ლაბორატორიების გამოგონებად, თუმცა ადამიანებისთვის ბუნებაში არსებული ანტიბიოტიკების მოქმედება უფრო დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი ვიდრე ეგონათ,"** – აღნიშნა მან.

ლუდის ხარშვის პროცესი და მედიცინა მნიშვნელოვნად განვითარდა ნუბიელთა შემდეგ, მაგრამ გაფანტული ისტორიული ჩანაწერები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ადამიანები განაგრძობდნენ ლუდისთვის სამედიცინო თვისებების მიწერას.

მე-17 საუკუნის მიჯნაზე, როდესაც ინგლისში სვია ნელ–ნელა იმკვიდრებდა ადგილს, ზოგიერთი ამტკიცებდა რომ ახალი ინგრედიენტის წყალობით ლუდი გაცილებით სასარგებლო გახდა. გასული საუკუნის 20-იანი წლების სარეკლამო პოსტერები ირლანდიაში შეიცავდნენ განცხადებას „გინესი სასარგებლოა თქვენთვის". ხოლო აშშ -ში ალკოჰოლის აკრძალვის პერიოდში ექიმების ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა უფლების მოსაპოვებლად (აშშ-ს უზენაეს სასამართლომდეც კი მიაღწიეს) რომ შესაძლებელი ყოფილიყო ლუდის როგორც წამლის დანიშვნა.

დღესდღეობით, ლუდის და მედიცინის გზები იკვეთება კლინიკურ კვლევებში, რომლებიც ადასტურებენ რომ ლუდს შეუძლია მრავალფეროვანი სარგებლის მოტანა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

**„ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება ნებისმიერი ფორმით მნიშვნელოვნად ამცირებს კორონარული სისხლძარღვების დაავადების საშიშროებას,"** – განაცხადა **UC Davis**-ის ლუდის წარმოების მეცნიერებათა პროფესორმა **ჩარლი ბამფორტმა.** მისივე თქმით, ალკოჰოლის გარდა ლუდი შეიცავს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებსაც, როგორიცაა მაგალითად ვიტამინი **B.**

# საქართველოში მხოლოდ ავანტურისტი ინვესტორები შემოდიან

## არ შეი ლება, ყოველ წელს კანონები შეიცვალოს

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ გოგი თოფაძესთან



***— ბატონო გოგი, ალბათ, დამეთანხმებით, რომ დღეს ქვეყანაში სოციალური და ეკონომიკური ფონი საკმაოდ მძიმეა, საუბარია იმის შესახებ, რომ აპრილის ბოლოდან პროდუქტებზე ფასები კვლავ მოიმატებსო. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია ამის შესახებ და ზოგადად როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?***

— აბა, რა გითხრათ, ჩემო კარგო, მე ჩემი პოზიცია მაქვს უკვე 15 წელია. 1995 წლიდან რომ დაიწყო ეს ე.წ. „რეფორმები" ეკონომიკური, იმის მერე ვლაპარაკობ, რომ ეს მიგვიყვანს ძალიან მძიმე მდგომარეობამდე. უკვე ისეთ დღეში ვართ, რომ ძალიან ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ლარმა გაუძლოს ამ ეკონომიკურ კატასტროფას. ეს ასტრონომიული გაზრდა ფასების, რომელიც ამ ბოლო ხანებში ხდება საქართველოში, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრ პრობლემას შეუქმნის მოსახლეობას. როგორ შეიძლება ასლარიანი პენსიის მქონე დამსახურებულ ხალხს, როგორ არ უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ 7-8 კილო ხორცი იყიდოს თავისი პენსიით. წარმოუდგენელია დანარჩენ პროდუქტებზეც ფასების ასეთი კატასტროფული მატება. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ რეალურად რომ შევაფასოთ, ეს უკვე ინფლაციაა, ლარი ვითომ მყარია სხვა ვალუტასთან მიმართებაში, მაგრამ პრაქტიკულად არავითარი მყიდველუნარიანობა ლარს აღარა აქვს. ეს მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს. თუ ჩვენმა ხელისუფლებამ რადიკალური ზომები არ მიიღო, ეროვნული წარმოება და სოფელი არ გადაარჩინა და ესე უცხოელების კარნახით გავანადგურეთ ჩვენი სოფელი და ჩვენი წარმოებები, ეს სიტუაცია უფრო და უფრო დამძიმდება. კიდევ სხვა პრობლემებიც დგას ჩვენ წინაშე, ჩვენ ამ რეგიონში ყველაზე სუსტი ქვეყანა ვართ, აბსოლუტურად ყველაფრით. ეკონომიკით, სოციალური პრობლემების თვალსაზრისით, თუნდაც ჯარი ავიღოთ. არ ვიცი, ვის ვეჯიბრებით ამ შეიარაღებაზე, რომ ამდენი თანხები იხარჯება და არა სოფელზე და მრეწველობის აღორძინებაზე. ძალიან ბევრი რაღაცა შეიძლება დასათმობი გაგვიხდეს ჩვენ. ეს კანონია, სუსტი ხარ, ყველა დააპირებს რაღაცა წაგგლიჯოს. დარწმუნებული ვარ, რომ მძლავრი და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანას ვერც ტერიტორიებს წაართმევენ და ყველანაირად წავლენ მათთან მოლაპარაკებებზე. მე ვეჭვობ, რომ სხვა მეზობლებმაც არ გამოხატონ პრეტენზიები ჩვენს ტერიტორიებთან დაკავშირებით. ჩვენ უნდა დავდგეთ ფეხზე. ეკონომიკური სიძლიერე დღეს არის უმნიშვნელოვანესი, ვიდრე შეიარაღებული ძალების გაძლიერება და სხვა პოპულისტური გეგმები. აი, ეს არის ჩვენი პერსპექტივა, რომელიც ძალიან მაშინებს, როგორც ქართველ კაცს, პატრიოტს და ნამდვილად გული მტკივა, რომ ვუყურებ თუ საით მივდივართ.

***— ხელისუფლება ცდილობს, რომ როგორღაც ლარის კურსი შეინარჩუნოს, როგორ ფიქრობთ, ეს ხელოვნურია და მაინც გაექცევათ კურსი?***

— ამას ვლაპარაკობ უკვე დიდი ხანია. გაზაფხულზე ველარ შეძლებენ ამის დაკავებას. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს ლარის კურსის სიმყარეს, წარმოიდგინეთ, რომ ერთი თვის წინ პენსიონერს ასლარიანი პენსიით შეეძლო ეყიდა 200 კილო პური, დღეს იყიდის 60 კილო პურს და არა ორასს. რა, ეს ინფლაცია არ არის? არ არის ლარის გაუფასურება? ხელოვნურად კურსის შენახვა ეს საბოლოო ჯამში კატასტროფას მოგვიტანს. არ შეიძლება ასე, ეკონომიკას თავის კანონები აქვს, შენ არაფერს არ ქმნი, არაფერს არ აწარმოებ და ყველაფერს ყიდულობ უცხოეთში, ანუ გაგაქვს შენი ვალუტა. არ შეიძლება, რომ ამან არ მოგცეს ასეთი სავალალო შედეგი. ეს ეკონომიკის ძირითადი კანონებია. 20%-ია ექსპორტი და 80% იმპორტი, ეს დამაქცეველია. ან რა არის ექსპორტი, აბა, ვნახოთ, ჯართი და ნედლეული? რა გვაქვს საექსპორტო, ეს არის ჩვენი ტრაგედია, ეს არის ჩვენი ხელისუფლების სასწრაფოდ გადასაწყვეტი ამოცანა. სოფელი და წარმოება, ამას თუ არ მივხედეთ და ამაზე თუ არ გავაკეთეთ აქცენტი, ეკონომიკური კოლაფსი გარდუვალი იქნება.

***— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ბიზნესმენებიც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში არიან ხელისუფლების პოლიტიკით. თუნდაც ინვესტორები, ეს ყველაფერი ალბათ უარყოფითად აისახება ქვეყნის მომავალზე?***

— რა თქმა უნდა. დააკვირდით, რამდენი ინვესტორი მოდიოდა საქართველოში და თუ მეტყვით, რომელმა ინვესტორმა საქართველოში ან სოფლის მეურნეობაში ჩადო ინვესტიციები, ან წარმოების განვითარებაში. ინვესტორი მოდის, აშენებს სასტუმროს, ყიდულობს ნედლეულს, ანუ საბადოებს, რა ვიცი, კაზინოებს და ტოტალიზატორებს და ასე შემდეგ. მე იმასაც ვხედავ, რომ დღეს ინვესტიციების სურვილი საქართველოში ამ სიტუაციის გამო მაინცდამაინც ბევრს აღარა აქვს. იცით, რაშია საქმე? მე კიდევ სხვა აზრი მაქვს, ძალიან ბევრმა ქვეყანამ, მაგალითად, ბრაზილიამ, რომელიც ძალიან სწრაფი ტემპებით ვითარდება, შეზღუდა ძალიან უცხოური ინვესტიციები, ანუ საკუთარ ინვესტიციებს ახორციელებს. მოუწოდა ხალხს, რომ აქ ჩადეთ. ქართველები განა ცოტაა? რამდენმა ქართველმა შეიძლება გააკეთოს ინვესტიცია. შევუქმნათ პირობები, რომ მომხიბლავი იყო მათთვის საკუთარი ქვეყანა საინვესტიციოდ. გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, როცა ჩვენს ფოთის პორტს თუ ჰიდროელექტრო სადგურებს თუ რკინიგზას ქართველი იყიდის. პერსპექტივაში გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება ეს. პირადად მე ამ პოზიციაზე ვდგავარ. არის ამის დიდი საშუალება, ძალიან ბევრი ქართველი გამდიდრდა უცხოეთში, მათ ნამდვილად აქვთ სურვილი, რომ ჩამოიტანოს და თავის ქვეყანაში დააბანდოს ეს თანხა, მაგრამ ჩვენი კანონები და ჩვენი მთავრობის პოლიტიკა აფრთხობს მათ. ძირითადში ჩვენთან მოდიან ავანტიურისტები, რომლებსაც უნდათ სწრაფი მოგება, ნედლეულის ყიდვა, სტრატეგიული ობიექტების ყიდვა, რომ შემდეგ ამით გევაჭროს და შემდეგ გაიძულოს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილებები მიიღო სხვადასხვა საკითხში.

***— ბატონო გოგი, ჩვენი ხელისუფლება და განსაკუთრებით პრეზიდენტი ტურიზმზე აკეთებს აქცენტს...***

— ამაზე არაერთხელ მითქვამს ჩემი აზრი. ტურიზმის ქვეყანა შეიძლება იყო, მაგრამ ერთი მითხარით, ტურიზმი რომელი წარმატებული ქვეყნის ძირითადი ბიუჯეტის შემვსები დარგია. ხანდახან თურქეთი მოჰყავთ მაგალითად. თურქეთს ჯერ ერთი, საოცრად უფრო კარგი პირობები აქვს ზაფხულის ტურიზმისათვის, მეორეც, ერთი ძალიან ბევრი მილიარდი ჩადო იმაში, რომ განავითაროს ეს და მესამეც, კლიმატური პირობები, რომელიც ზაფხულობით თურქეთს აქვს, გაცილებით უკეთესია ჩვენზე, მაგრამ გარდა ამისა, უნდა გითხრათ, რომ თურქეთმა სასწაული ეკონომიკური ნაბიჯი გადადგა 30-40 წლის განმავლობაში. მე მახსენდება წინა საუკუნეების 70-იანი წლების თურქეთი და საქართველო. რამდენიმე თავით მაღლა ვიყავით ჩვენ, მიწურებში ცხოვრობდნენ და სწორმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ თურქეთი აი, ასე ამოწია. თურქეთმა დღეს, გარდა ტურიზმისა, საოცრად განავითარა თავისი სოფლის მეურნეობა, თავისი მანქანათმშენებლობა, ძალიან ბევრი დარგი, ასევე მსუბუქი მრეწველობა. ვის შეატანინებს თურქეთი თავის ქვეყანაში იმას, რასაც თვითონ აწარმოებს. ძალიან კარგი სანატორიუმები აქვთ, ჯერ ერთი, როგორი აშენებულია და იქ ვერ ნახავთ რაიმე უცხოურ პროდუქტს. სტრატეგია აი, ეს არის. ტურიზმი, რა თქმა უნდა, მომხიბლავია და დამატებითი შემოსავალი მოაქვს, მაგრამ ისე, რომ ეს გახდეს ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელი საქართველოში, ნამდვილად ვერ დავეთანხმები ამას. ასევე ვიტყვი კიდევ ერთ რამეს, დღეს რომ ჩვენი პრეზიდენტი და მისი ხელისუფლება აქცენტს აკეთებს ტურიზმზე, ტურიზმის შედეგები გამოჩნდება 15-20 წლის მერე და სოფლის მეურნეობაში და მრეწველობაში ჩადებული თანხები მეორე წელს გაძლევს შედეგს. სამთო ტურიზმი შეიძლება საქართველოსი საინტერესო იყოს, რაღაც ფორმებით, მაგრამ ის, რასაც ჩვენები ცდილობენ, დღეს ნამდვილად არ არის მომგებიანი. ძალიან კარგია, რომ ბათუმი აშენდა, რაღაც გარკვეული ინვესტიციები ჩაიდო აჭარაში, მაგრამ ამდენი რომ ჩავდოთ სოფლის მეურნეობაში, გაცილებით სწრაფად მივიღებთ შედეგს. მრეწველობაში ჩავდოთ ამდენი. შევუწყოთ ხელი ქართველ კაცს, რომ იმედი გაუჩნდეს, რომ კანონებს არ შევუცვლით ყოველ წელს. ის რაღაცას გააკეთებს, რაღაცას შეცვლის და გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნება. როგორ შეიძლება ყოველ წელს კანონები ცვალო. მეწარმე ვერანაირ აზრს ვერ ხედავს იმაში, რომ რაღაცას მოკიდოს ხელი. მოულოდნელად შეიძლება ისე დაუბეგრონ, ისე შეცვალონ კანონი, რომ ყველაფერი წამგებიანი გახდეს.

***— ყველაფერი რომ იქით იყოს, საძოვრებსაც კი უყიდიან გლეხებს...***

— ჩვენდა საუბედუროდ, და ამ ყველაფერს მე თვითონ ვხედავ ძალიან ხშირად, როგორ ვკლავთ სოფლის მეურნეობას. მე ბევრი ქვეყანა მაქვს მოვლილი და თუნდაც ამ უკანასკნელ წლებში და მე ამდენი დაუმუშავებელი მიწა, რასაც საქართველოში ვხედავ, სხვაგან არსად მინახავს. კახეთში, ქართლში, სადაც ყველაფერი შეიძლება მოიყვანოს გლეხმა, რატომ ვაკეთებთ ისე, რომ გლეხი მიწისკენ აღარ იყურება. ასეთი კატასტროფა არსად მინახავს, ასე განზრახ რომ მოვკლათ სოფელი და იმედი არ დავუტოვოთ ქართველ ფერმერს, ქართველ გლეხს, რომ რაღაცა მოიყვანოს, რაღაცის გასაღების საშუალება ჰქონდეს. როცა ყველაფერს უცხოურს შემოუტან ქართველ გლეხს, კიტრს, პომიდორს, ვაშლს თუ ნიორს, იმან რაღა უნდა აკეთოს?! ვაზს ვერ ვლებულობთ, ჩაი მოვკალით, ციტრუსი არ გავატანინეთ, რა ქნას გლეხმა, რა გააკეთოს? აი, ეს არის ჩვენი ტრაგედია და ალბათ ახლა ხვდებიან ჩვენი ხელისუფალნი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. პრეზიდენტმა კი გააკეთა განცხადებები, რომ სოფლის მეურნეობას დაეხმარება, ააყვავებს და ასე შემდეგ, მაგრამ მე არა მჯერა ამის. რადგან ის მრჩეველები, ვინც ჩვენ ამდენი ხნის განმავლობაში გვანგრევდა, არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ საშუალებას, რომ სოფლის მეურნეობა ან აგრარული წარმოება განავითარებინონ.

***— ალბათ, სანამ არ შეიცვლება ეს ხელისუფლება, რეალურად არ შეიცვლება მათ მიერ აღებული კურსიც...***

— უფრო სწორად რომ ვთქვათ, სანამ ხელს არ აუქნევს იმ მრჩეველებს, რომლებთანაც, ძალიან ბევრ მათგანთან მისაუბრია და მიკამათია. ესენი ჩამოდიან საქართველოში და საკუთარ ინტერესებს ახორციელებენ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების კუთხით უყურებენ ჩვენს ქვეყანას, სანამ ასე გაგრძელდება, ჩვენ არაფერი გვეშველება. ეს ხელისუფლება იმდენად არის დავალებული მათგან, რაღაც მონური ურთიერთობა აქვს მათთან, რომ გეთანხმებით, ამას ვერ შეცვლის. თუ ეყოფათ ძალა და პრინციპულობა და შეუდგებიან ამ ეროვნულ საქმეს, მაშინ საქართველოში რამდენიმე წელიწადში რენესანსი დაიწყება, თუმცა, ვეჭვობ, ასე მოხდეს.

# „ტუფლი თუ გავიხადე, ქუსლით თავს გაგიხვრეტ!"

## როგორ ემუქრებიან კახეთში მასწავლებლები მოსწავლეებს

სოფელ ვაზისუბნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ნუნუ ირემაშვილმა მე-5 კლასის მოსწავლე ლუკა იაგანაშვილი ცემა. მასწავლებელმა მოსწავლეს თავი კედელზე და მერხზე არტყმევინა. ლუკას თანაკლასელების თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის. მასწავლებელმა, ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი მათგანი, სერგი ლეგაშვილი ისე ცემა, რომ ბავშვს ცხვირიდან სისხლი წასკდა. მომხდარის შესახებ გუშინ ტელეკომპანიებმა სიუჟეტები გადაიღეს, თუმცა მასალა ეთერში არ გავიდა. მოძალადე მასწავლებელი კახეთის გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის მამიდაშვილია.

გურჯაანის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის წარმომადგენლები ვაზისუბნის საჯარო სკოლაში მას შემდეგ მივიდნენ, რაც მომხდარით კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა.

— ჩვენ შევისწავლეთ ეს საქმე და აღმოჩნდა, რომ ცრუ განგაშია. ინფორმაცია არ დადასტურდა, — განაცხადა რესურს - ცენტრის იურისტმა დარეჯან ბურდიაშვილმა.

***— საქმე როგორ შეისწავლეთ, ვინ გამოკითხეთ, ვის შეხვდით?***

— სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და მასწავლებლებს, რომლებმაც ეს ინფორმაცია არ დაადასტურეს.

***— დაზარალებულ ბავშვს, მის მშობლებს, მე-5 კლასის მოსწავლეებს ან თვითონ ნუნუ ირემაშვილს შეხვდით?***

— არა, მათთან შეხვედრა არ გვქონია.

***— რატომ არ შეხვდით? აბა, რის საფუძველზე ამბობთ, რომ მასწავლებელს მოსწავლე არ უცემია?***

— მათთან შეხვედრა საჭირო არ გახდა, რადგან მასწავლებელს მოსწავლე არ უცემია და არავის პრეტენზია არ აქვს.

ჩვენ გამოვკითხეთ ლუკა იაგანაშვილის 8 თანაკლასელი. ყველა მათგანმა დაგვიდასტურა, რომ მათემატიკის მასწავლებელმა ნუნუ ირემაშვილმა, რომელიც მათი კლასის ხელმძღვანელია, ლუკა ნამდვილად ცემა:

— სკოლასთან ერთი ქალი ცხოვრობს, ნატო. ამბობენ დანა აქვსო და ბავშვებს ძალიან გვეშინია. ლუკამ ის ქალი გააბრაზა. ის ქალი სკოლაში მოვარდა და დირექტორთან ერთად გაკვეთილზე შემოვიდა. ლუკამ ბოდიში მოიხადა, მაგრამ მასწავლებელმა მაინც ცემა. თავი კედელზე არტყმევინა. ხელზე ბეჭედი აქვს და ის ბეჭედი ურტყა თავში და სახში. თან ყვიროდა, როგორ გაბედე ცუდად მოქცევაო. ლუკა ეხვეწებოდა, მასწავლებელო ნუ მცემთ, მაგრამ ის ყვიროდა, ეხლა უარსად არ გამაბრაზო, თორემ ტუფლი თუ გავიხადე, ქუსლით თავს გაგიხვრეტო. სულ გვცემს ხოლმე, რამე რომ არ მოეწონება, გვირტყამს. თან გვემუქრება, სახლში არაფერი თქვათ, თორემ ნიშანს აღარ დაგიწერთო. ცოტა ხნის წინ ჩვენი კლასელი სერგი ლეგაშვილი ისე ცემა, რომ ცხვირიდან სისხლი წასკდა და ძლივს გაუჩერეს".

ბოლო ინციდენტი ორშაბათს, 18 აპრილს მოხდა. მე-5 კლასის ხელმძღვანელი ნუნუ ირემაშვილი სადამრიგებლო კლასში იმ დროს შევიდა, როცა მათ ბუნების გაკვეთილი ჰქონდათ. თვითმხილველების თქმით, ნუნუ ირემაშვილმა ლუკა საკლასო ოთახში, ბუნების მასწავლებლის ციცინო სოლომნიშვილის თანდასწრებით ცემა. ლუკას თანაკლასელები ამბობენ, რომ ბუნების მასწავლებელს ნუნუ ირემაშვილისთვის ბავშვის ცემაში ხელი არ შეუშლია.

**დარეჯან იაგანაშვილი, ლუკა იაგანაშვილის დედა:**

— ლუკას სკოლის გვერდზე მცხოვრები ქალი პარასკევს გაუბრაზებია. იმავე დღეს, საღამოს შემატყობინეს, რომ სკოლაში მიბარებდნენ. ორშაბათს მივედი. მეორე გაკვეთილი იყო დაწყებული. შევხვდი კლასის ხელმძღვანელს ნუნუ ირემაშვილს და როცა ამიხსნა, რომ ბავშვმა იცელქა, ბოდიში მოვუხადე. შევხვდი იმ ქალსაც და სკოლის დირექტორსაც და ორივეს ბოდიში მოვუხადე. თურმე ამ დროს ბავშვი უკვე ნაცემი ჰყავდათ. ლუკა რომ ნაცემი იყო, ამის შესახებ საღამოს, ახლობლისგან გავიგე. ჩემი ოჯახის წევრებმა თქვეს, ამას ეს უკვე აღარ უნდა შერჩესო. სამშაბათს ჟურნალისტებიც მოვიდნენ. იყვნენ „იმედიდან", „რუსთავი 2"-დან და „პირველი არხიდან". სკოლაში გადაიღეს, ვიღაცეები ჩაწერეს, მაგრამ სიუჟეტები ეთერში არ გაუშვეს. ჩემთვის გასაგებია, რატომ არ გავიდა მასალა ეთერში. ჩვენც შემოგვითვალეს, რომ დავას აზრი არ აქვს, ნუნუს ზურგი აქვს და ვერაფერს დააკლებთო. ამიტომ, აღარ ვდაობთ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი ნუნუ ირემაშვილს ვერ დაუკავშირდა. დღეს მთელი დღის განმავლობაში მას მობილური ტელეფონი გამორთული აქვს. ჩვენ მას საცხოვრებელ სახლშიც მივაკითხეთ, თუმცა ვერ ვნახეთ. შევხვდით მის დას, ანიკო ირემაშვილს, რომელიც სოფელ ვაზისუბნის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალისტად მუშაობს. რა ცემა, რის ცემა. მოგონილი ამბავია. მე და ჩემი და ჭიანჭველას არ ვადგამთ ფეხს, ბავშვს როგორ ვცემთ. გიორგის სიცოცხლეს გეფიცებით.

***— ვის გიორგის სიცოცხლეს გეფიცებით?***

— ვითომ არ იცი ეხლა. იმას (გულისხმობს კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე



თეა მარხვაი ე

# ბესარიონ აპლია შეიძლება თანამდებობიდან გადააყენონ

## რატომ გადასცეს აფხაზებმა რუსებს 42 ეკლესია

**15 მაისს აფხაზეთში საეკლესიო-სახალხო კრება გაიმართება, სადაც შესაძლოა აფხაზეთის ეკლესიის წინამძღოლ ბესარიონ აპლიას უნდობლობა გამოუცხადონ. სასულიერო პირების დაპირისპირებაში არ ერევა აფხაზეთის ხელისუფლება. აპლიასთან დაპირისპირებული მღვდლები კი დიდ შეკრებაში მონაწილეობას აფხაზეთის ხელისუფლებასაც სთხოვენ.**

**აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელი ბესარიონ აპლია რუსეთის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. რუსეთის მხარდაჭერა არც მასთან დაპირისპირებულ სასულიერო პირებს აკლიათ. როგორც ირკვევა, მათ შორის დაპირისპირება უკვე წლებია გრძელდება. ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულად ყოველთვის აპლია გამოდიოდა, რომელსაც რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან ერთად კრიმინალური სამყაროც უჭერს მხარს. რუსული კრიმინალური სამყაროს მამას, იაპონჩიკს 2009 წელს სწორედ მან აუგო წესი.**

**წარსულში აპლია თავადაც კრიმინალობდა. საქართველოს და რუსეთის ციხეებში რამდენჯერმეც მოუწია სასჯელის მოხდა. აფხაზეთის ომის დროს მას ახალი „კლიჩკაც“ შეემატა — „მღვდელი მაუზერი“.**



### რას ვერ იყოფენ აფხაზი მღვდლები

დაპირისპირება, რომელიც აფხაზ სასულიერო პირებში ახალი ძალით გაჩაღდა, ათ წელზე მეტს ითვლის. მათ შორის პირველი განხეთქილება 2000 წელს მოხდა. ბესარიონ აპლიას ანდრეი ამპარისა და დოროფეი დბარის ფრთა დაუპირისპირდა. ამჟამინდელ დაპირისპირებაშიც ისინი მონაწილეობენ. დბარი და ამპარი აფხაზეთის ეკლესიის სტატუსის განსაზღვრას ითხოვენ.

როგორც აფხაზურ საინფორმაციო საშუალებებს დოროფეი დბარმა განუცხადა სტატუსი 15 მაისს დაგეგმილმა დიდმა საერო შეკრებამ უნდა გადაწყვტოს. მისი თქმით, ეკლესია ბესარიონ აპლიამ ერთპიროვნულად არ უნდა მართოს.

— 2000 წლის დამდეგისათვის აფხაზ მღვდელმსახურთა შორის სერიოზული დაპირისპირება გაჩაღდა. დოროფეი დბარსა და ანდრეი ამპარს, რომლებიც ღვთისმსახურებას აფხაზურ ენაზე აღავლენდნენ, კონფლიქტი მოუვიდათ ბესარიონ აპლიაასთან, რომელიც საკუთარ თავს აფხაზეთში რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსად თვლის, მაგრამ ამაზე ღიად საუბარი არ შეუძლია. ამ კონფლიქტს პოლიტიკურის გარდა სხვა მოტივებიც გააჩნია. ახალგაზრდა მოძღვრები, რომლებიც გახდნენ კომანისა (დბარი) და ახალი ათონის (ამპარი) მონასტრების წინამძღვრები, განათლებულ ადამიანებს წარმოადგენენ და უფრო მეტად შეესაბამებიან მღვდლის იერსახეს, ვიდრე ეშმაკისეული ბესარიონი, რომელიც თავისი მოუთოკავი ხასიათით, ღრეობის მოყვარულობით, კრიმინალური წარსულითა და დღესაც საეჭვო კავშირებით კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის. ამიტომაც სრულიად გასაგებია აფხაზური „სასულიერო სამყაროს“ ახალგაზრდა ამბიციური ნაციონალისტების პოზიცია —  არ დაემორჩილონ ისეთ პერსონას, როგორიც მღვდელი-მაუზერია. 2005 წლის მაისში კონფლიქტი ღია დაპირისპირებაში გადაიზარდა, რომლის განეიტრალება მაიკოპისა და ადიღეს არქიეპისკოპოსის პანტელეიმონის (კუტოვოის) მეშვეობით მოხერხდა. რუსი კრელიკალის შუამავლობას ე.წ. „მაიკოპის შეთანხმების“ გაფორმება მოჰყვა, რომლის თანახმადაც „აფხაზეთის ეპარქიას“ ორი თანათავმჯდომარე უნდა ჰყოლოდა. ასეთებად განიხილებოდნენ აპლია და ამპარი, მაგრამ ზუსტად ერთი წლის თავზე, 2006 წლის მაისში ამპარი და დბარი კვლავ გამოვიდნენ აპლიას წინააღმდეგ. იგი შეთანხმების დარღვევაში და ძალაუფლების უზურპაციაში დაადანაშაულეს. აპლიამ თავის მხრივ ოპონენტებს „აფხაზური ეკლესიის დამანგრევლები“ უწოდა და კათოლიკებთან ურთიერთობაში დაადანაშაულა, — ამბობს ქართველი ექსპერტი გიორგი წიკლაური.

ქართველი ექსპერტის განმარტებით, იმ პერიოდში აპლიამ არქიეპისკოპოს პანტელეიმონის მეშვეობით თავისი პოზიციების დაცვა შეძლო. რის შედეგადაც აფხაზეთიდან პრაქტიკულად გაძევებულ იქნა მისი მთავარი მოწინააღმდეგე დოროფეი დბარი.

მისი მეგობარი ანდრეი ამპარი აიძულეს, ხელი მოეწერა განცხადებაზე „აფხაზეთის ეპარქიის“ თანათავმჯდომარის თანამდებობაზე უარის თქმის შესახებ, რის სანაცვლოდაც დაუტოვეს მხოლოდ ახალი ათონის მონასტერი, სადაც ბოლო დრომდე მშვიდად ეწეოდა თავის საქმიანობას.

აფხაზი მღვდლების გარდა აპლია რუს სასულიერო პირებსაც დაერია. გიორგი წიკლაურის თქმით, საკუთარი მონოპოლიის განმტკიცების მიზნით, აპლიამ კომანის მონასტრიდან გამოაგდო მის კონტროლს გარეშე მყოფი რუსი ბერები მამა გრიგორის (ხორკინი) მეთაურობით, რომელიც ამ მონასტრის წინამძღოლი იყო და დბარის მემკვიდრედ ითვლებოდა.

გიორგი წიკლაურის განმარტებით მამა გიორგი ახლა ყუბანში აპირებს გალასს, რადგან მისი ადგილი მღვდელი-მაუზერთან და რუსეთის ფსბ-სთან დაახლოებულმა იგნატი კიუტმა დაიკავა.

მართალია აპლია რუს ბერებს დაერია, მაგრამ როგორც გიორგი წიკლაური ამბობს ეს სულაც არ ნიშნავს რუსულ ეკლესიასთან დაპირისპირებას. მისი თქმით, აპლიას რუს ბერებთან დაპირისპირება პერსონალურ ხასიათს ატარებს.

— აპლია აქტიურად შეუდგა მღვდელმსახურების რუსეთიდან აფხაზეთში ჩამოყვანას, რასაც, რა თქმა უნდა, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებს. ვინაიდან რუს ბერებს აფხაზეთში არანაირი კავშირები და მით უმეტეს, ფესვები არ გააჩნიათ, ისინი პირდაპირ არიან დამოკიდებული მღვდელ-მაუზერზე და უპირობოდ აღიარებენ მის თავკაცობას. იმავე მიზეზით რუსეთიდან ჩასული ნებისმიერი მღვდელთმსახური ახლო მომავალშიც კი ვერ გახდება „აფხაზური ეპარქიის თავკაცის“ კონკურენტი. ეს სწორედ იმ ქვეყნის ეკლესიის „საძმოა“, რომლის ნაწილადაც თვლის საკუთარ თავს და საერთოდ აფხაზეთის ტერიტორიას ადგილობრივი ნომერ პირველი მღვდელთმსახური, „ჩამოსულები“ კი მისთვის, მკვეთრი აფხაზური პოზიციის მქონე ახალგაზრდა „სწავლულებისაგან“ განსხვავებით, მენტალურად და სულიერად ახლოს არიან მასთან. ბესარიონმა არ დააყოვნა და საკუთარი ვაჟი ერთ-ერთ გავლენიან მოსკოველი მღვდლის ქალიშვილზე დააქორწინა, რითაც მისთვის და საკუთარი თავისთვისაც „საკუთარი ეპარქიიდან“ მოშორებით მყუდრო ნავსაყუდელი გაიჩინა. როცა მის ტაძრებში რუსეთის პატრიარქის კირილეს სახელზე ლოცვები აღევლინება, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ „აფხაზეთის ეკლესია“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიაში შედის, ან კიდევ ამ უკანასკნელთან სრული ევქარისტული ურთიერთობის დამყარება და ოფიციალური აღიარების მოპოვება უნდათ, — მიიჩნევს ქართველი ექსპერტი.

საქართველოს ხელისუფლება და ეკლესია უკვე კარგა ხანია ჩივიან, რომ რუსეთი აფხაზეთში ხელს ცუდად აფათურებს. რუსი მისიონერების სიარულმა აფხაზეთში სერიოზული სახე მიიღო. ეს პროცესი 2008 წლის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა.

— დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე „მოღვაწე“ სასულიერო წოდების მქონეთა ორ მესამედს საერთოდ არანაირი კავშირი არ გააჩნია აფხაზეთთან. ხოლო სოხუმის საკათედრო ტაძარში მხოლოდ რუსი მღვდლები და დიაკვანები ეწევიან მღვდელმსახურებას. აფხაზურ უძველეს სოფელ ანუხვაშიც კი (წმინდა ადგილი) ღვთისმსახურებას რუსეთიდან მოვლინებული მამა სერგეი ატარებს. რუსულ სამხედრო ბაზებზე იხსნება რუსული საველე ეკლესიები, სადაც წირვა-ლოცვებს რუსი სამხედრო მღვდლები ეწევიან. კერძოდ, გუდაუთაში ჩავიდა მოსკოვის პეტრე-პავლეს ეპარქიის ყოფილი წარმომადგენელი მამა ალექსანდრე (ტერპუგოვი), ხოლო აფხაზეთის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველებაში ლექციებს კითხულობს ფრიად საინტერესო პიროვნება, მისიონერად ცნობილი ანდრეი კურაევი, — აღნიშნავს გიორგი წიკლაური.

ანდრეი კურაევს ჩვენი საზოგადოება თავისი ბლოგებით იცნობს. ინტერნეტის მეშვეობით ის საკმაოდ საინტერესო მასალებს აქვეყნებს ხოლმე. ის აფხაზეთში არსებულ სასულიერო ცხოვრებაზეც ბევრ რამეს წერს.

თავის ბლოგებში მას ახალი ათონიც ბევრჯერ აქვს მოხსენიებული. ანდრეი კურაევი ამტკიცებს, რომ აფხაზეთში სასულიერო ცხოვრება, როგორც ასეთი, არ მიმდინარეობს. ის აპლიას და ამპარის დაპირისპირებასაც შეეხო. დაპირისპირებამ კი ახალი ძალით აპრილის დასაწყისში იფეთქა.

მარტის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ ახალი ათონიის სვიმონ კანანელის ტაძრის წინამძღოლად დაინიშნა იღუმენი ეფრემ ვინოგრადოვი. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვინოგრადოვი წარმოშობით აფხაზი, გვარად ლაკერბაია იყო. აფხაზი სასულიერო პირების ნაწილი ამტკიცებს, რომ ვინოგრადოვს ლაკერბაიების გვართან საერთო არაფერი არა აქვს.

თავიდან ვინოგრადოვის წინამძღოლობას მამა ანდრია ამპარიც დაეთანხმა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მან თავის თანამოაზრეებთან ერთად მონასტრის ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია გამართა. ამ აქციაში რამდენიმე ასეული ადამიანი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ როგორც სასულიერო ასევე საერო პირები.

სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ 15 მაისს გაიმართებოდა დიდი შეკრება, რომელმაც ბევრი რამე უნდა გაარკვიოს. აპლიასთან დაპირისპირებული სასულიერო პირები 15 მაისს არ დაელოდნენ და გადაწყვეტილება აპრილშივე მიიღეს. ახალ ათონში მოღვაწე სასულიერო პირებმა და მორჩილებმა სხვა წინამძღოლი აირჩიეს. ეს ტიტული მათ მამა ანდრია ამპარს მიანიჭეს.

გიორგი წიკლაურის განცხადებით შემთხვევითი არ არის, რომ რუსეთმა იღუმენი ეფრემი მაინცდამაინც სვიმონ კანანელის მონასტერში მიავლინა.

— ეს მონასტერი 1875 წელს საბერძნეთის ახალ ათონში მომსახურე რუსი ბერების მიერ იქნა დაფუძნებული, ხოლო შემდგომ მონასტერი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა, — ამბობს ქართველი ექსპერტი.

იღუმენ ეფრემს აფხაზეთში ჩამოსვლისთანავე საკუთარი პირობები წამოუყენებია.

— პირველივე დღეებში, მოიმიზეზა რა რუსეთის პატრიარქ კირილის (გუნდიაევის) რჩევა-დარიგება, მამა ეფრემმა მოითხოვა ხმარებიდან ამოეღოთ ბიზანტიურ მოკაზმულობასთან და ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ყველა ელემენტი, რომლებსაც ნაციონალისტურად განწყობილი „აფხაზური ეკლესიის“ წარმომადგენლები იყენებდნენ იმისათვის, რათა თანამედროვე აფხაზურ ეთნომითოლოგიის მიხედვით ისტორიულ აფხაზეთის ეპარქიასა და გაერთიანებული ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის რაიმე კავშირის არ არსებობისათვის გაესვათ ხაზი. თუმცა, ბიზანტიურ ყაიდაზე და აფხაზურ ენაზე საეკლესიო გალობების შესრულება მიუღებლად იქნა მიჩნეული, ვინაიდან პირადად მონასტრის ახალი წინამძღვრისათვის და მას ჩამოყოლილი ამალასათვის ეს ენა უცხოა. ხოლო ღვთისმსახურების სლავურ ყაიდაზე გადაყვანა აფხაზებისათვის გახდა გაუგებარი. სამაგიეროდ, აფხაზები მიხვდნენ, თუ რა გადაიტანეს ქართველებმა მე-19 საუკუნეში, როდესაც რუსეთის იმპერატორის ერთი განკარგულებით საქართველოს ეკლესიამ თოთხმეტი საუკუნის ისტორიის მქონე ავტოკეფალია დაკარგა, რომელიც ეგზარქატის უფლებებით რუსეთის ეკლესიას გადასცა, ხოლო რუსეთიდან გამოგზავნილმა ეგზარქებმა გააუქმეს ღვთისმსახურება „ძაღლურ ქართულ ენაზე“ და ტაძრებში არსებული უძველესი ქართული ფრესკები საერთოდ გადაღებეს, — აღნიშნავს ქართველი ექსპერტი.

ქართული ტაძრების რუსულად გადაღებვა ახლაც გრძელდება. ცოტა ხნის წინ რუსებმა ილორის წმინდა გიორგის სახელობის მონასტერიც თეთრად შეღებეს. ამის გამო ქართული მხარე ბევრჯერ შეშფოთდა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა.

### ვინ არის იღუმენი ეფრემი

პატრიარქ კირილის მიერ გამოგზავნილი ეფრემი, რომელიც რატომღაც ლაკერბაიად შეასაღეს აფხაზებს, ძალიან საინტერესო პიროვნებაა. როგორც გიორგი წიკლაური ამბობს, ეფრემ ვინოგრადოვმა ცნობადობა ინკოგნიტოდ მოიპოვა.

— ეს ცნობადოდა მოიპოვა რუსეთში გამოცემული წიგნებით, რომლებსაც აქვეყნებდა ფსევდონიმით „იღუმენი“. ამ მოძღვრის სწავლების შინაარსი მარტივია: — ოკულტური შიშების დანერგვა, ეშმაკების ძიება ყველგან და ყველაფერში, ფსიქიატრიის შეცვლა დემონოლოგიით. ზოგადად ყველაფერი გამოიყურება სწორედ ისე, როგორც ეს ესადაგება სამღვდელოების იმ წარმომადგენელს, რომელიც „ყოველთვის ასწავლიდა თავის მრევლს არა შეეცნო და შეეყვარებინა ღმერთი, არამედ ჰქონოდა მხოლოდ ეშმაკების შიში, რომლებსაც თითონვე ამრავლებდა“. ყველაფერი რიგზე აქვს ეფრემს პოლიტიკური თვალსაზრისითაც: „არ არსებობს ხსნა ეროვნულ ფესვებთან ურთიერთობის გარეშე“, „მსოფლიო თავის ამოცანას ასევე რუსეთის დაპყრობაში ხედავდა, რათა დაუბრკოლებლად განეხორციელებინა მისი ექსპლუატაცია და რესურსების საზღვარგარეთ გატანა“, — ამბობს გიორგი წიკლაური.

### დაკარგავს თუ არა აპლია ეკლესიის წინამძღოლობას

ახალი ათონის მონასტერში მომხდარი დაპირისპირება აფხაზეთის ხელისუფლებამ საგულდაგულოდ დამალა. თუმცა, ამ დაპირისპირებამ მაინც გამოჟონა. თანაც ეს ყველაფერი იმ დროს მოხდა, როცა აფხაზეთში ანტირუსული განწყობა გაჩნდა.

მოგეხსენებათ, რომ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ტერიტორიული დავაა. რუსეთი აფხაზებისთვის საკმაოდ დიდი ტერიტორიის წართმევას აპირებს. ამან აფხაზებში სერიოზული უკმაყოფილება გააჩინა.

ამიტომაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა იმ ფაქტს, რომ რუსეთის პატრიარქმა ახალი ათონის ეკლესიის წინამძღოლად თავისი კაცი დანიშნა. საუბარია ლაკერბაიად წოდებულ ეფრემ ვინოგრადოვზე.

— ამჟამად საქმე არ ეხება თუნდაც აფხაზეთის ყველაზე მსხვილი სასულიერო ცენტრის და მხოლოდ მონასტრის წინამძღვრის ადგილისათვის ბრძოლას. პრაქტიკულად, მღვდელი ბესარიონისათვის მმართველობის ჩამორთმევის მიზნით, სახეზე გვაქვს შიდასაეკლესიო აშლილობა, რომელიც რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობების სივრცეში მიმდინარეობს. აპლიასათვის წაყენებული ბრალდებები აფხაზეთის ტაძრების მოსკოვის საპატრიარქოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით, არ არის საფუძველს მოკლებული, მით უმეტეს, როდესაც, რუსეთის ეკლესია არ ცნობს „აფხაზურ ეკლესიას“. აფხაზეთში არსებული მონასტრების რუსეთიდან გამოგზავნილი მღვდლებით შევსების შემდეგ იგი ჯერ დე ფაქტოდ შეიერთებს მას, როგორც კიდევ ერთ ეპარქიას, ხოლო შემდგომ არც დე იურედ გაფორმებას მოერიდება (სხვისი მიწების მიტაცება რუსეთისათვის ისტორიულ ტრადიციას წარმოადგენს). ცნობისათვის, 2010 წლის დეკემბერში ბაღაფშის რეჟიმმა მღვდელ-მაუზერს „უსასყიდლოდ და უვადო სარგებლობაში“ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული 42 ტაძარი გადასცა. ამის გამო ადგილობრივ ოპოზიციას ეჭვი არ ეპარება, რომ აპლია ყველა თავის ქმედებას ბაღაფშთან ათანხმებს, — ამბობს გიორგი წიკლაური.

აპლიასთან დაპირისპირებული სასულიერო პირები უკვე შეხვდნენ ბაღაფშს და აპლიას გადაყენება მოითხოვეს. ბაღაფშმა მათ უთხრა, რომ ეკლესიის საქმეებში არ ჩაერევა. დაპირისპირებულ მხარეებს კი პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისკენ მოუწოდა.

ბაღაფშის რჩევა, როგორც ჩანს გათვალისწინებული არ იქნება. ამპარის დაჯგუფებამ უკვე გადადგა რადიკალური ნაბიჯები. აპლიას ჯერჯერობით დუმს. ყველაფერი 15 მაისს გაირკვევა. აპლიამ რამდენჯერმე მოახერხა ძალაუფლების შენარჩუნება. საინტერესოა რა იქნება ახლა.

# საქართველოს მილიტარიზაცია არ ემუქრება

ნათია ხურცილავა



რამდენად რეალურია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე განათავსოს?

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ფილიპ გორდონმა განაცხადა, რომ რუსეთს არა აქვს ვეტოს უფლება ამერიკის და ნატოს გადაწყვეტილებებზე, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებას ეხება.

ამერიკელი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რაკეტსაწინააღმდეგო რადარების განთავსების ერთ-ერთი სავარაუდო ადგილი საქართველოც იყოს.

აღნიშნულ საკითხზე ვაშინგტონში, ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ფილიპ გორდონმა გააკეთა კომენტარი.

— რუსეთის ვეტო არ არსებობს. ამერიკის პრეზიდენტი დარწმუნებულია რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საჭიროებაში. ის ოთხივე ფაზის განხორციელებას გეგმავს. ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემა გადასცდება ნატოს წევრ ქვეყნებს, არა მხოლოდ რუსეთს, არამედ არც ერთ სხვა ქვეყანას არა აქვს ვეტოს უფლება ჩვენს გადაწყვეტილებაზე. რაც შეეხება საქართველოს სწრაფვას ალიანსისკენ ნატო-რუსეთის საბჭოზე არა, მაგრამ ნატო-საქართველოს კომისიაზე ეს საკითხი განვიხილეთ და გამოვხატეთ ძლიერი მხარდაჭერა საქართველოს მიმართ, — განაცხადა ფილიპ გორდონმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გორდონის ამ განცხადებებმა რუსი პოლიტიკოსები გაალიზიანა და ცივი ომის პერიოდზე აალაპარაკა.

რუსი პოლიტიკოსები ითხოვენ ვაშინგტონმა მოსკოვთან შეათანხმოს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხი. თუ ამ საკითხზე არ იქნება კომპრომისი, მაშინ გადატვირთვის პოლიტიკა ჩავარდება და ჩვენ იძულებული გავხდებით, რომ ისევ ცივი ომის პერიოდს დავუბრუნდეთ. ასეთი დამოკიდებულება აქვთ აღნიშნულ საკითხზე დუმის დეპუტატებს.

რამდენად რეალურია, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდეს? ამ კითხვით სამხედრო ექსპერტს **ირაკლი სესიაშვილს** მივმართეთ:

— თეორიულად ეს შესაძლებელია, მაგრამ ამას სჭირდება შესაბამისი საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა, ასევე ტექნიკურად შესაძლებელი უნდა იყოს.

***— რას გულისხმობთ?***

— ორი მხარე აქვს: პოლიტიკური და ტექნიკური. პოლიტიკური მხარე მდგომარეობს იმაში, რომ თუ რადარები განთავსდება საქართველოს ტერიტორიაზე, ეს ცხადია და ლოგიკურია, რუსეთის პროტესტს გამოიწვევს. მიუხედავად იმისა, რომ რადარები შეიძლება რუსეთისკენ არ იყოს მიმართული. მეორე, რუსეთი მუდმივად აპელირებს, რატომ უნდა გააკეთოთ ახალი, როდესაც გაბალში არსებობს ასეთი რადარები. რუსეთს აზერბაიჯანისგან არენდით აქვს აღებული და შეერთებულ შტატებს სთავაზობს, რომ ერთობლივად გამოიყენონ. არგუმენტი აქვს. თუ რადარები საქართველოს ტერიტორიაზე განთავსდება, ამას შეიძლება რუსეთის მხრიდან მოყვეს ის, რომ რუსეთმა სტრატეგიული რაკეტები განათავსოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რაც ნაწილობრივ აქვს კიდეც, თუმცა, დამატებით განთავსება კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას და რეგიონს კიდევ უფრო მეტად დატვირთავს სამხედრო კუთხით. ერთი სიტყვით, ეს იქნება რეგიონის მილიტარიზაცია, რაც არავის არ აწყობს. შემდეგ ამ რეგიონის დეესკალაცია, როგორც წესი, რთულია. გარდა ამისა, პოლიტიკურ კონტექსტში ეს გამოიწვევს არაბული სამყაროს იმ ნაწილის, რომელიც შეერთებული შტატების მიმართ აგრესიულად არის განწყობილი, პროტესტს და უარყოფით დამოკიდებულებას, რაც რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაზეც ნაწილობრივ აისახება. თუ ამერიკამ მიიღო ეს გადაწყვეტილება, პირველ რიგში ეს ხელს შეუშლის რუსეთ-ამერიკის გადატვირთვის პოლიტიკას.

***— რაც შეეხება პრაქტიკულ ნაწილს...***

— პრაქტიკული ნაწილი, მე ვიტყოდი, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური ნაწილი იმდენად, რამდენადაც პრაქტიკული თვალსაზრისით, საქართველოში ასეთი სარადარო სისტემების განთავსება არაფერს არ მოგვიტანს პირდაპირი გაგებით, რადგან რადარები არ იქნება რუსეთისკენ მიმართული, ეს იქნება აღმოსავლეთისკენ მიმართული, სავარაუდოდ, ახლო აღმოსავლეთისკენ და არაბული სამყაროსკენ. პრაქტიკული თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მაღალი იქნება რისკი, რომ რუსეთმა ეს რადარები გაანადგუროს. მიმართოს რაკეტები, მაგალითად, ტოჩკა-უ, ისკანდერი. რიგ შემთხვევაში შეიძლება გრადის ტიპის რაკეტაც კი მისწვდეს. ტექნიკური თვალსაზრისით თუ საქართველოში ასეთი ტიპის რადარები განთავსდება, ამას ცალკე საჰაერო ფარი დასჭირდება.

***— ეს რადარები განადგურებადია?***

— დიახ. ანტისარაკეტო სისტემა ორი კომპონენტისგან შედგება: ეს არის რადარი და რაკეტები. საუბარია მხოლოდ სარადარო სისტემაზე, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს რაკეტა. რაკეტას საიდან გაანადგურებ, ეს მეორე საკითხია. შეიძლება შავი ზღვიდან, შეიძლება გადასატანი იყო, შეიძლება დამონტაჟებული. როდესაც რადარს სადმე განათავსებ, რომელიც მყარად უნდა იდგეს, რა თქმა უნდა, ძალიან მაღალი რისკია, რომ ის განადგურებული იქნას მოწინააღმდეგის მიერ, მაგალითად, რუსეთის მიერ. შესაბამისად ამ სარადარო სისტემას სჭირდება ასევე ჰაერსაწინააღმდეგო ან ანტისარაკეტო სისტემა. რაკეტა რომ წამოვიდეს სარაკეტო სისტემის გასანადგურებლად, ეს რაკეტა განადგურებული უნდა იქნას. რამდენადაც ჩვენი ქვეყანა მაღალი რისკების შემცველ გარემოშია, სადაც ოკუპირებულია ტერიტორიები, სადაც რუსეთი ძალიან სიღრმეშია შემოჭრილი, მე ნაკლებად ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყოს. ერთადერთ შესაძლებლობასაც ვუშვებ, ეს არის აჭარაში არსებული გოდერძის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია, ვგულისხმობ სიმაღლეს, რომელიც თურქეთთან ახლოს არის. გარკვეულწილად ყარსის ხელშეკრულებით თურქეთის უსაფრთხოების ზონაში შედის. ამ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში შეიძლება იყოს მომგებიანი. ამას მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით ვამბობ. ტექნიკური თვალსაზრისით სხვაგან რადარების განთავსების მიზანშეწონილობას ბევრი ხარვეზი ექნება.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს საკითხი შეიძლება ვაჭრობის საგანი ყოფილიყო საქართველოსა და ამერიკას შორის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების კუთხით?***

— რა თქმა უნდა, საქართველოში სარადარო სისტემის განთავსება საქართველოს პოლიტიკურად უფრო მეტად გახდის უსაფრთხოს. ეს გარკვეულწილად ჩვენ მოგვიტანს მეტ სტაბილურობას. სტრატეგიულად, გეოპოლიტიკურად, ძლიერი სისტემების არსებობა, რომელიც ერთიან ქსელშია ჩართული, რასაკვირველია, ქვეყანას უფრო მომხიბლავს ხდის, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით, თუ საქართველოში განთავსდება სარადარო სისტემები, ის ჩვენ რამენაირად დაგვიცავს რუსეთისგან ან რუსეთისგან მომავალ რაკეტებს გავაკონტროლებთ. ჩვენ ამ ინფორმაციასთან არ მიგვიშვებენ.

***— სად განთავსდება სარადარო სისტემა, არ გვეცოდინება?***

— ეს ინფორმაცია ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იქნება. ჩვენ მივცემთ ჩვენი ტერიტორიის ხმელეთის რაღაც ნაწილს, სადაც ამ სისტემებს განათავსებენ. შეიძლება ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთმა ლიდერმა დაიწყოს იმაზე საუბარი, რომ ჩვენ ეს მოგვცემს უსაფრთხოების გარანტიებს და ა.შ. მათ ვეუბნები, რომ ეს ასე არ იქნება, რადგან თუ საქართველოში განთავსდება რადარები, ეს არ ჩაერთვება ჩვენს სისტემაში, ეს იქნება დამოუკიდებელი სისტემა, რომელიც მხოლოდ ჩვენს ტერიტორიაზე იქნება განთავსებული. მომავალში, ნატოს წევრი ქვეყანა რომ გავხდებით, რა თქმა უნდა, ეს სისტემა ჩვენთვის მისაღები იქნება. მეორე საკითხია, სად განთავსდება რაკეტები. რადარი არის სისტემა, რომელმაც უნდა აღმოაჩინოს რაკეტა და უნდა გაანადგუროს. თუ სარაკეტო სისტემა ჩვენგან შორს განთავსდა, მაშინ ფაქტობრივად გარკვეულწილად საფრთხეები გვეზრდება. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს ამაზე საუბარი ნაადრევია. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკელმა ექსპერტებმა ტექნიკური თვალსაზრისით შეისწავლონ ეს საკითხი, რომ საჭიროების შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი, საერთაშორისო პოლიტიკური მოცემულობა დადგება, შემდეგ მართლაც იფიქრონ ამერიკელებმა ამ საკითხზე.

## ქარელის მცხოვრებ უხუცესებს ადგილობრივი ხელისუფლება დაასაჩუქრებს

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 11 უხუცესს ადგილობრივი ხელისუფლება დაასაჩუქრებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციიდან აცნობეს, მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თითოეული მათგანისთვის 100 ლარის ოდენობის თანხა გამოიყო. საჩუქარს მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ბურჯანაძე, საკრებულოს თავმჯდომარე პაატა ღვინიაშვილი ტკბილეულთან და ყვავილებთან ერთად ხვალ გადასცემენ. მათი თქმით, ეს მცირედი საჩუქარი ძალიან მნიშვნელოვანია უხუცესების მიმართ ყურადღების გამოჩენის თვალსაზრისით.

ქარელის მუნიციპალიტეტში 100 წელს გადაცილებული 11 უხუცესი ცხოვრობს. მათ შორის ყველაზე ხანდაზმული სოფელ ბრეთში მცხოვრები ერმონა ქელეხსაევია.

**პრაიმ-ნიუსი**

## დედაქალაქში მოსული ტალახიანი წვიმა ჯანმრთელობისთვის საშიში არაა

სპეციალისტების თქმით, დედაქალაქში მოსული ტალახიანი წვიმა ჯანმრთელობისთვის საშიში არაა.

მოყვითალო შეფერილობის ტალახიანი წვიმა თბილისში დღეს დილით მოვიდა. დილიდანვე გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს წვიმა რადიაციული იყო სინოპტიკოსებმა უარყვეს.

მათივე თქმით, ტალახიანი წვიმის მიზეზი სამხრეთ-დასავლეთიდან შემოსული მტვერისა და ქვიშის შემცველი ჰაერის მასებია და ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის.ტალახიანი წვიმა მოვიდა დღეს, ახმეტის, ყვარლის და გურჯაანის რაიონებში., სინოპტიკოსების პროგნოზით, 24 აპრილამდე მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი.

**პრაიმ-ნიუსი**

## კუკავა სამართლიანი კონკურსის ჩატარებას ითხოვს



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემაზე სამართლიანი კონკურსის ჩატარებას სთხოვს.

როგორც კუკავამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კომუნიკაციების კომისიამ სამაუწყებლო ლიცენზიების მაძიებლებისათვის პრიორიტეტები გამოაცხადა. პროცესი 3 წლით შეჩერდა, ამიტომ კონკურსი ღიად და გამჭირვალედ უნდა ჩატარდეს - აცხადებს კუკავა.

**პრაიმ-ნიუსი**

## „ტუფლი თუ გავიხადე, ქუსლით თავს გაგიხვრეტ!“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ვილს. ავტ) ამხელა ჩრდილს როგორ მივაყენებთ? აბა რას ამბობ? კახეთის საინფორმაციო ცენტრი დაინტერესდა, რატომ არ გააშუქეს ტელეკომპანიებმა აღნიშნული ამბავი.

**ზვიად რუაძე, ტელეკომპანია „იმედის“ რეგიონული კორესპონდენტი:**

— გადაღებაზე მე არ ვყოფილვარ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაარკვია, რომ ვაზისუბანში ამ ფაქტზე სიუჟეტის მოსამზადებლად ტელეიმედის ჟურნალისტი თამარ გედევანიშვილი იყო ჩამოსული.

**თეა ალავერდაშვილი, პირველი არხის რეგიონული კორესპონდენტი:**

— ვაზისუბანში ვიყავი, მაგრამ ტელევიზიამ მერე სხვა რამე დამავალა და გადაღებაზე იქ წავედი .ია გულიაშვილი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის რეგიონული კორესპონდენტი: სიუჟეტი არ გადამიღია და ეთერშიც ამიტომ არ გავიდა.

თვითმხილველების თქმით, ჟურნალისტებს ვაზისუბნის სკოლაში გადაღების დროს ნუნუ ირემაშვილის და ანიკო ირემაშვილი მიუვარდა და დაემუქრა: მე გუბერნატორის მამიდაშვილი ვარ და ვინ მოგცათ უფლება რომ იღებთო. ანიკო ირემაშვილი აღნიშნულს უარყოფს. არავის არ მივუვარდი. რაც არ მომხდარა, მისავარდნი რა მაქვს. არავინ არ დაობს და რაში გაინტერესებთ, რა გინდათ?

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ტელეკომპანიების ჟურნალისტებს კახეთის გუბერნატორის პრესმდივანმა ხათუნა გულიაშვილმა დაურეკა და უთხრა, რომ ინციდენტი არ გაეშუქებინათ. ამ ინფორმაციას ხათუნა გულიაშვილი უარყოფს. მე რა საქმე მაქვს ჟურნალისტებთან მაგ კუთხით, რომ მეთქვა გაეშუქებინათ ან არ გაეშუქებინათ. სისულელეა".

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, მთელი დღის განმავლობაში, ამ მასალაზე მუშაობისას გურჯაანის პოლიციის თანამშრომლები დაგვყვებოდნენ.

ოფიციალური ინფორმაციით, შს გურჯაანის სამმართველოში მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ხელისუფლება იძულებული გახდება, რომ ოპოზიციას დაელაპარაკოს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ომი მოიგო, არც ამ შენიშვნას დაუგდებს ყურს.

***— რაც შეეხება ოპოზიციის მეორე ფლანგს, ბატონო სოსო, რვიანი თვლის, რომ არჩევნებამდე უნდა მივიდნენ მშვიდად და უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო, თუმცა, აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია აქვს იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც საპროტესტო აქციებისთვის ემზადებიან. რამდენად არის იმის შანსი, რომ აყვეს ამ მუხტს საზოგადოება?***

— ჩემი აზრით, თუკი რაიმე აერთიანებს დღეს ოპოზიციის ორ ჯგუფსა და ხელისუფლებას, ეს გახლავთ გარკვეული ილუზია საკუთარი გზის გარდუვალი წარმატებისა. დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ხელისუფლება შეძლებს კრიზისის დაძლევას ოპოზიციასთან თანამშრომლობის გარეშე და ვერც ოპოზიცია შეძლებს დასახული მიზნის მიღწევას, თუ არ იქნა მეტი პატივისცემა ერთიანი მიზნის მიმართ.

***— ალბათ, ის პარტიები მაინც უნდა იდგნენ ერთიან პოზიციაზე, რომლებსაც ერთი მიზანი აქვთ და რომლებიც ქუჩის აქციებით და რევოლუციებით იმუქრებიან. სერიოზული დაპირისპირებაა მათ შორის, ალბათ დამეთანხმებით...***

— ეს ჩემი აზრით გარკვეული პერიოდის დროის მახასიათებელია და არა ზოგადად მთლიანი პროცესის, რადგან მე ველარ ვამჩნევ განსხვავებებს მიდგომებში, რომელიც აქვს ქართულ პარტიას და ნინო ბურჯანაძის პარტიას. ისინი მოქმედებენ სრულიად მკაფიო ლოგიკის საფუძველზე და მიკვირს, პიროვნული მიუღებლობა როგორ შეიძლება გახდეს ასეთი სტრატეგიული და პრაქტიკული ნაბიჯების თანხვედრი რეჟიმით განვითარების დამრღვევი. ამიტომ მე ვხედავ რეტროპერსპექტივას იმისას, რომ დიდი ალბათობით, ოპოზიციური რვიანიც და რევოლუციის გარიჟრაჟის მხილველი პოლიტიკური ძალებიც, არცთუ ძნელად მიაგნებენ საერთო მიზნისკენ მიმავალი გზის კონტურებს და იმოქმედებენ თუ ერთიანი არა შეთანხმებული და ჰარმონიზებული ნაბიჯებით.

***— ქართული პარტიის ლიდერებისგან გაკეთდა განცხადებები, რომ მზად არიან სახალხო კრებასთან სათანამშრომლოდ, თუმცა, ოქრუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვითანამშრომლებთ ნინო ბურჯანაძის გარეშეო...***

— იცით, მე მჯერა, რომ საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ოპოზიციას, განურჩევლად მათი განსხვავებული მიდგომებისა კონსენსუსის მიმართ. თავად ქართული პარტიის შემადგენლობა რომ ავიღოთ, ისეთი უზარმაზარი პიროვნული მარაგი აღმოაჩნდა ხუთ ლიდერს კონსენსუსისა, რამაც შესაძლო გახადა სრულიად განსხვავებული ხუთი პირის გუნდად ჩამოყალიბება, რომ მე მიკვირს, რატომ არა დანარჩენნი? თუ ასეთი უნარი გაქვს კონსენსუსისა და კონსოლიდაციის, ასეთი მსგავსება შეიძლება მეტი ვიპოვოთ, ვიდრე განსხვავება ამ ხუთეულის თითოეული წევრის ოპოზიციის სხვა წევრების მიმართ. ვფიქრობ, ხელისუფლება წარმატებით შეასრულებს როლს ოპოზიციის გაერთიანებისათვის.

***— არ დარჩა დიდი დრო დაანონსებულ აქციებამდე და ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება პროცესები...***

— ლოდინს კაცი არ მოუკლავსო, ვერ ვიტყვი, რადგან ცნობილი გამოთქმაა, რომ სამართლიანობა ყოველთვის ზეიმობს, ოღონდ ზოგჯერ სიცოცხლეა ძალიან მოკლე. ამიტომ ლოდინი რასაკვირველია, აუცილებელი ფაქტორია მოვლენათა ადეკვატური განვითარებისთვის, ნაკლებად ადეკვატური მგონია კალენდარს მზერამიპყრობილი პოლიტიკოსების წინასწარ დაანონსებული თარიღები, რადგან თარიღი თავისთავად არ აღაგზნებს ხალხის მასას, თუ ვინმეს რამე სათქმელი აქვს, უნდა თქვას. ერთი და ორი თვის მერე დაპირება რაიმე ინფორმაციის გავრცელებისა ნამდვილად ამცირებს ინტერესს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მოსახლეობის მეორე ნაწილისთვის იმდენად ზრდის მოლოდინს, რომ გულგატეხილობა უფრო მარტივი მოსაპოვებელია ამ განცხადების გაკეთების მერე, ვიდრე რაიმე მზაობა აქტიური ურთიერთობებისა.

## ირაკლი ალასანია ირაკლი ოქრუაშვილთან დისკუსიაში ჩართვას არ აპირებს



„თავისუფალი-დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია „ქართული პარტიის“ თანათავმჯდომარე ირაკლი ოქრუაშვილის მიერ მისი მისამართით გაკეთებულ განცხადებებს იმდენად მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, რომ მასთან დისკუსიაში ჩაერთოს.

როგორც ალასანიამ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით მან თავისი პოზიცია უკვე რამდენჯერმე დააფიქსირა.

— ირაკლი ოქრუაშვილი მე შეურაცხყოფას ვერნაირად ვერ მომაყენებს. არ მგონია, მისი განცხადებები იმდენად მნიშვნელოვანი იყოს, რომ მასთან დისკუსიაში ჩაბმად ღირდეს, - განაცხადა ალასანიამ და დასძინა, რომ იგი აპირებს ითანამშრომლოს ყველა ოპოზიციურ ძალასთან, ვისი შეხედულებებიც „თავისუფალი-დემოკრატების“ მოსაზრებებს დაემთხვევა.

— ვითანამშრომლებთ ყველა იმ ძალასთან, ვისი ქმედბებიც საქართველოს 90-იან წლებში არ დააბრუნებს, — აღნიშნა ალასანიამ.

შეგახსენებთ, რომ ოქრუაშვილმა ალასანია ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ალასანია „უბიწო ქალწულად“ მოიხსენია.

მედიანიუსი

## შამბა აფხაზეთის სომხურ საზოგადოებას ხელშეწყობასა და მხარდაჭერას ჰპირდება



აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის პრემიერ-მინისტრი სერგეი შამბა აფხაზეთის სომხურ საზოგადოებას საქმიანობაში ხელშეწყობასა და მხარდაჭერას ჰპირდება, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „აპსნიპრესი“.

წყაროს ცნობით, მან ამ საზოგადოების ხელმძღვანელი სურენ კერსელიანი მიიღო. ეს შამბასთან საზოგადოების ახალი ხელმძღვანელის პირველი შეხვედრა იყო. მან მარიონეტული რეჟიმის ლიდერს მისი ორგანიზაციის მიზანი და გეგმები გააცნო, რომელთა შორის ერთ-ერთი მიმართულება სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ სომხურ დიასპორასთან ურთიერთობის განმტკიცებაა. შეხვედრაზე ასევე განიხილეს სოხუმის №9 სომხური საშუალო სკოლის რემონტისა და სპორტული სექციების მოწყობის საკითხები.

სერგეი შამბამ შესაბამის უწყებებს ამ პრობლემის მოგვარება დაავალა. საზოგადოების ხელმძღვანელმა შამბას ინფორმაცია საერთაშორისო სატელევიზიო კომპანია „ერკრამასის“ მიერ აფხაზეთის სომხური საზოგადოების ცხოვრებაზე გადაღებულ ფილმზეც გააცნო, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გადაიღეს.

სერგეი შამბა აფხაზეთის სომხური საზოგადოებას საქმიანობაში სრულ მხარდაჭერას ჰპირდება.

მედიანიუსი

## სტეფან კოენის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში განხილვა დღეს განახლდება

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ მოკლული სტეფან კოენის საქმესთან დაკავშირებთი თბილისის საქალაქო სასამართლოში მორიგი განხილვა დღეს გაიმართება.

როგორც „მედიანიუსს“ საქალაქო სასამართლოში განუცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ 21 აპრილი ქვეყანაში ოფიციალურად უქმე დღედ არის გამოცხადებული, შესაძლოა, ჩანიშნული სასამართლო პროცესი არ გადაიდოს.

როგორც „მედიანიუსს“ კოენის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 17 წლის ახალგაზრდის ადვოკატმა ნინო კაკაურიძემ განუცხადა, დღევანდელ პროცესზე კოენის ნდობით აღჭურვილი პირი და სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტთან“ მდებარე სასწავლო ცენტრ

სხივის„ დირექტორი დაკითხეს. არსებული ინფორმაციით, მკვლელმა სასტუმროს დატოვება სწორედ აღნიშნული ცენტრის შენობის გავლით მოახერხა. კაკაურიძის თქმით, მომავალ პროცესზე სასამართლო მოისმენს კოენის მეგობარ ირაკლი ქუთათელაძის მიერ გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებას. როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინ ქუთათელაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მედიანიუსი

## ძლიერმა ქარმა ლაგოდეხის რაიონში სათბურები დააზიანა

ძლიერმა ქარმა ლაგოდეხის რაიონის სოფლებში ჰერეთისკარში, კართუბანსა და ჭიაურში სათბურები დააზიანა. ქარმა სათბურებს ცელოფანი გადახადა. ავარიულად გაითიშა ელექტროენერგიაც. ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები დაზიანდა ყვარლის რაიონის სოფელ ენისელშიც.

ზოგიერთ სოფელში ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები ნაწილობრივ გადახადა.

მედიანიუსი

## 1994 წელს მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის სამხარეო და თერჯოლის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს, 1994 წელს მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი, 58 წლის რეზო იონას ძე ჩიქობავა.

გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 1994 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში რეზო ჩიქობავამ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1972 წელს დაბადებულ ზურაბ ფანჩულიძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ბრალდებულის საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით, რაც მთლიანობაში ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 18 წლამდე.

მედიანიუსი

# ხელისუფლებაზე ზეწოლა საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით უნდა განვახორციელოთ

**სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები დიდი ხანია საუბრობენ საქართველოში ერთპარტიული მართვის სავალალო შედეგებზე, ადამიანის უფლებების მასობრივ რღვევაზე, სიტყვის თავისუფლების და ოპოზიციური საქმიანობის შეზღუდვაზე, კერ ო საკუთრების ხელყოფაზე, ელიტურ კორუფციაზე და შერჩევითი სამართლის მანკიერების დანერგვაზე. ეს ყველაფერი და ის ფაქტი, რომ ხელისუფლება საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების კუთხით არაფრის დათმობას არ აპირებს, ოპოზიციის ნაწილს რევოლუციისკენ უბი გებს.**



შორენა კოწოწაშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები რევოლუციური გზით ხელისუფლების ცვლილების ხიფათის შემცველ ტენდენციებზეც ამახვილებენ ყურადღებას და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით არა მხოლოდ ქართველი საზოგადოების და პოლიტიკური ძალების გააქტიურების აუცილებლობაზე საუბრობნ, არამედ მიაჩნიათ, რომ ამ მხრივ დასავლეთიც უნდა გააქტიურდეს და საერთაშორისო ორგანიზაციებმა სააკაშვილის ხელისუფლებაზე პოლიტიკური და ეკონომიკური წნეხი გააძლიერონ.

უფლებადაცვითი ორგანიზაციები მიმართავენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს დიპლომატიაში მიღებული ყველა მეთოდი და საშუალება გამოიყენონ, რათა საქართველოს ხელისუფლება ძალაუფლების უზურპაციის უპერსპექტივობაში დაარწმუნონ.

რა ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას ხედავენ არასამთავრობოები და რა პერსპექტივა აქვს დაანონსებულ რევოლუციას? — გთავაზობთ ინტერვიუს არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელ **ნანა კაკაბაძესთან.**

***— ქალბატონო ნანა, რამ განაპირობა სამოქალაქო სექტორის გააქტიურება სამართლიანი არჩევნების მოთხოვნით. რა რეალობის წინაშე დგას დღეს ოპოზიცია და სამოქალაქო სექტორი?***

— სამოქალაქო სექტორის შეკრების აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ საზოგადოებაში არსებობს სერიოზული დაკვეთა ხელისუფლების ცვლილების. მაგრამ ჩვენ, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, ვთვლით, რომ ეს ცვლილება უნდა მოხდეს არჩევნების გზით. სხვა შემთხვევაში არის საფრთხე, რომ მივიღოთ ის შედეგი, რაც 2003 წლის რევოლუციით მივიღეთ. ანუ ის რეჟიმი, რომელსაც შვიდ წელიწად-ნახევარია ებრძვის სამოქალაქო საზოგადოება, ცდილობს სიტუაციის გამოსწორებას და ვერ ახერხებს. ძალადობით მოსული ხელისუფლება შემდეგ ისევ ძალადობას ბადებს. ანუ ამ ქვეყანაში უნდა შეიქმნას პრეცედენტი, თუნდაც ერთხელ, რომ ხელისუფლება არჩევნებით შეიცვალოს. ბუნებრივია, თუკი ამის საშუალებას, ამ გზას ხელისუფლება ხალხს აღარ დაუტოვებს, ის მერე რევოლუციაზე უნდა წავიდეს. ამიტომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ვთვლით, რომ აუცილებელია ყველა ძალისხმევა მივმართოთ იმისათვის, რომ ყველა რესურსი ამოვწუროთ და საერთაშორისო ორგანიზაციებს დავანახოთ, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ ეს რეჟიმი წასულიყო. ფაქტია, საზოგადოებას ცვლილებები სურს. თუკი ეს ვერ განხორციელდა, ხალხის ამ პროტესტს და უკმაყოფილებას ვეღარაფერი შეაჩერებს. ჩვენც, ბუნებრივია, ჩვენი ხალხის გვერდით ვიდგებით. მაგრამ მანამდე გვინდა ყველა ნაბიჯი გადავდგათ იმისათვის, რომ ხელისუფლება ვაიძულოთ, ძალაუფლება არჩევნების გზით დათმოს.

***— ხელისუფლების იძულების ფორმებში რას განიხილავთ?***

— ხელისუფლებაზე ზემოქმედების ყველაზე სერიოზული ბერკეტი არის საერთაშორისო ორგანიზაციები; დიპლომატიური კორპუსი და საელჩოების წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან და რომელთა ძირითადი მიზანია დემოგრაფიული პროცესების ხელშეწყობა. ჩვენ გვინდა საერთაშორისო ორგანიზაციებს დავანახოთ, რომ ქართველი საზოგადოების დაკვეთაა ხელისუფლების შეცვლა და მათ მხარი უნდა დაუჭირონ დემოკრატიული გზით ხელისუფლების შეცვლას. მათ ამის სერიოზული ბერკეტები აქვთ, დაწყებული ეკონომიკური ბერკეტებიდან, პოლიტიკური ბერკეტებით დამთავრებული. ჩვენი ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს სწორედ უცხოური ფული შეადგენს. ასე რომ, მათ აქვთ პოლიტიკური ბერკეტი იმისათვის, რომ ჩვენი ხელისუფლება ჭკუაზე მოიყვანონ. ერთიც და მეორეც უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ ხელისუფლება აიძულონ, დათმოს ძალაუფლება არჩევნების გზით.

***— სერიოზული დასკვნა დადო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოში არადემოკრატიული მმართველობის დასტურად. შეიძლება ეს დასკვნა ხელისუფლების წასვლის დაჩქარების საფუძველი გახდეს?***

— მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი, საინტერესო და ობიექტური დასკვნები დაიდო, მაგრამ ეს არის მათი მხრიდან გადადგმული ერთი ნაბიჯი. ამას უნდა მოჰყვეს მეორე, მესამე პოლიტიკური ზეწოლის, ეკონომიკური ზეწოლის და ა.შ. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ორიენტირებულები არიან იმისათვის, რომ ნებისმიერი ძალადობის ფორმით შეინარჩუნონ ხელისუფლება და ძალაუფლება. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც ყველა ბერკეტი უნდა გამოიყენონ, რომელიც აიძულებს ამ ხელისუფლებას და უკან დაახევინებს.

***— ოპოზიციის ნაწილი ფიქრობს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ წავა. პოლიტიკურმა რვიანმაც ფაქტობრივად აღიარა, რომ ამ მხრივ არაფერი გამოდის ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად.***

— სანამ ესენი ჯერ კიდევ სხედან მოლაპარაკების მაგიდასთან, ეს პროცესი გრძელდება. იმედი გვაქვს, სწორედ ასეთი შეხვედრები, როგორსაც ჩვენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ვატარებთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უნდა გაგრძელდეს. უცხოელები უნდა იყვნენ მოტივირებულები იმისათვის, რომ საქართველოში მხარი დაუჭირონ დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ეს ყველაფერი თავის შედეგს გამოიღებს. რა თქმა უნდა, იმ პოზიციას ვიზიარებ, რომ ხელისუფლება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და თუ ხალხს არ დაუტოვებენ სხვა გზას, ბუნებრივია, ის შემდეგ რევოლუციით და გადატრიალებით შეიცვლება.

***— ზოგიერთი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ დღეს რევოლუციაც და ვადამდელი არჩევნებიც სწორედ ხელისუფლებას აწყობს და ამას ოპოზიცია არ უნდა წამოეგოს.***

— ხელისუფლებას ძალაუფლების დათმობა არ აწყობს. შეიძლება მან ამისთვის რევოლუცია გამოიყენოს, შეიძლება — არჩევნები. მაგრამ მას უნდა ძალაუფლების შენარჩუნება. ჩვენ გვაინტერესებს, რომ ხელისუფლების ძალაუფლება მხოლოდ ხალხის არჩევანს ემყარებოდეს.

***— ხელისუფლება ხედავს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს ძალა არ არის ანუ ოპოზიცია ძალად ვერ ჩამოყალიბდა. ამიტომ არაფრის დათმობას არ გეგმავს.***

— აი, ეს არის სერიოზული პრობლემა. ქვეყანაში არ არსებობს ძალა, რომელიც გინდა რევოლუციას, გინდა არჩევნებს მოიგებს. ჩვენ გვინდა ორიენტირება იმაზე, რომ საზოგადოების მობილიზება განვახორციელოთ იმ კუთხით, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალოს. პოზიციური პარტიები უნდა იყოს სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორი და არა პირიქით. ჩვენი პარტნიორები უნდა იყვნენ პოლიტიკური პარტიები იმისათვის, რომ ხალხის ეს დაკვეთა აღსრულდეს.

***— თქვენ კი ამბობთ, რომ რევოლუციურ გზით კი არა, არჩევნების გზით უნდა იარონ ოპოზიციურმა ძალებმა, მაგრამ ასე არ ფიქრობენ ქართულ პარტიაში და სახალხო კრებაში. ისინი ძალას არ წარმოადგენენ?***

— არა, არის, მაგრამ მე არ ვიცი, რომ ისინი უარს ამბობენ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე. ისინი ამბობენ, რომ არჩევნების გზით ხელისუფლება არ იცვლება და იმიტომ მიდიან რევოლუციაზე. ჩვენ სწორედ ეს გვინდა, რომ მთელი საერთაშორისო დიპლომატიური კორპუსები ჩავრთოთ იმაში, რომ ეს ძალა გაჩნდეს; რომ ხელისუფლებამ დათმოს მედია; დათმოს სასამართლო და საარჩევნო კიდექსი, რომელიც უნდა იყოს დემოკრატიული არჩევნების გარანტი. და ასევე ბოროტად არ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ის სტრუქტურები, რომელიც ხალხის ჯიბეებიდან არის დაფინანსებული.

***— იკვეთება დიპლომატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, რომ დასავლეთი ხელისუფლების ცვლილების მოლოდინშია და რომ მხარდაჭერა მათი მხრიდან შემცირდება სააკაშვილის ხელისუფლებისადმი? მათში იკვეთება განწყობა, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი უნდა წავიდეს?***

— რა თქმა უნდა, ეს განწყობა არის. უბრალოდ, ხელისუფლებას ამის გააზრება და დაჯერება არ უნდა. მაგრამ თუ საერთასორისო ორგანიზაციები იქნებიან პრინციპულები, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწევთ იმ პოზიციის გათვალისწინება, რაც დიპლომატიურ საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ.

***— ანუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა უკვე უნდა დაიწყონ მოქმედება სააკაშვილის ხელისუფლების გასაშვებად?***

— სააკაშვილის გასაშვებად ჩვენ უნდა დავიწყოთ მოქმედება, ხალხმა და ისინი უნდა იყვნენ ჩვენი პარტნიორები.

***— რუსული ინტერესები არ იკვეთება ამ ეტაპზე? რატომ დუმს ამაზე ხელისუფლება? ფაქტია, ოპოზიციის წინააღმდეგ შავი პიარისთვის რუსულ ფაქტორს ყოველთვის აპიარებდა.***

— ინტერესები არ შეიძლება, რომ არ იკვეთებოდეს, რუსულიც და დასავლურიც. ჩარევებიც ამიტომ ხდება. მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, მას რა უნდა და ყველა დიდი ქვეყნის ინტერესები უნდა მოარგოს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, საკუთარ ინტერესებს. ამ შემთხვევაში მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ არ დავზარალდებით. მაგრამ თუ გვეცოდინება რა გვინდა და საით მივდივართ, ბუნებრივია, ჩვენ ასეთი ინტერესები დაგვაზარალებს.

# როგორ უნდა დავიცვათ მიგრანტთა უფლებები



შორენა კოწოწაშვილი

**მიგრაციის სერიოზული პრობლემების პარალელურად სულ უფრო აქტიურად დგას დღის წესრიგში სპეციალიზებული ანუ მიგრაციული სამართალწარმოების დანერგვის აუცილებლობა. როგორც ქართველი ემიგრანტები, ისე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე საჭიროებს სამართლებრივი კუთხით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას.**

სწორედ ამ მიზნით ახალი ტიპის მიგრაციული სამართალწარმოების დანერგვასთან დაკავშირებით საქართველოში სპეციალიზებული საადვოკატო ბიურო შეიქმნა, რომელიც მიგრანტთა უფლებებს დაიცავს.

— საქართველოში მიგრციის შესახებ კანონმდებლობას ადვოკატები ძირითადად ეცნობიან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებიდან. მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა რედმისიის შესახებ ხელშეკრულებას და საქართველოში შემოდის ახალი ტიპის მიგრაციული სამართალწარმოება, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრები მზად არიან, იტვირთონ მიგრანტთა უფლებების დაცვა, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ზაზა ხატიაშვილმა.

ხატიაშვილის თქმით, რედმისიის ხელშეკრულებაზე მიერთებით საქართველომ აიღო ვალდებულება მესამე ქვეყნების წინაშე, რომ მათ მიიღონ მოქალაქეები და ასევე მოხდეს ამ მოქალაქეების გაძევება, თუ ისინი უკანონოდ არიან შემოსული საქართველოს ტერიტორიაზე.

— ეს წარმოშობს ძალიან დიდ იურიდიულ პრობლემას. ამისთვის საქართველო მზად უნდა იყოს. ორი კვირის წინ ადვოკატთა ასოციაციაში იმყოფებოდა დანიის მიგრანტთა საბჭო, რომელმაც დახმარება გვთხოვა ამ პრობლემის მოგვარებაში, — აღმიშნა ზაზა ხატიაშვილმა და მაღალკვალიფიციური უწოდა პირველ ასეთ ბიუროს, რომელიც ახლახან შეიქმნა და რომელიც მიგრანტთა საკითხებზე უკვე მუშაობენ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მიგრანტთა საადვოკატო ბიუროს მეშვეობით, პირველად საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ კვალიფიციური იურიდიული მომსახურება უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის, სავიზო, საიმიგრაციო და საქართველოს მოქალაქეობის საკითხებში.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდება საზღვარგარეთ მყოფი ქართველებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა საქართველოდან მიგრანტთა საადვოკატო ბიუროს მიერ, როგორც თავად ბიუროს ხელმძღვანელი ზაალ სარაჯიშვილი აცხადებს, ამის საშუალებას თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა და ინტერნეტით შესაძლებელია, ემიგრანტებმა დისტანციური იურიდიული მომსახურება მიიღონ.

# ინგა გრიგოლია: უახლოეს მომავალში სამი მინისტრი თანამდებობას დატოვებს



ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ინგა გრიგოლია გუშინ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელი უახლოეს მომავალში თანამდებობას დატოვებს, საპარლამენტო დებატებზე „მის მიერ ნაჩვენებ უარყოფით შედეგებს" უკავშირებს და აცხადებს, რომ მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში კვეზერელთან ერთად თანამდებობას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი ხათუნა კალმახელიძე და ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანიც დატოვებენ.

როგორც გრიგოლიამ „მედიანიუსს" განუცხადა, მას ძალიან სანდო წყაროსაგან აქვს ინფორმაცია, რომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ზემოხსენებული მინისტრების და უმრავლესობის წარმომადგენლების საპარლამენტო დებატებზე გამოსვლებით ძალიან უკმაყოფილო დარჩა და ეს ყველაფერი ამ უკანასკნელებს „ჩვეულ სტილშიც გაუპროტესტა".

— მე 15 წლის განმავლობაში, როდესაც ჟურნალისტიკაში ვმუშაობდი, ყოველთვის ვიღებდი ხოლმე ინფორმაციას სხვადასხვა წყაროსგან და ძირითადად, 100-დან 90 პროცენტი ამ ინფორმაციისა სიმართლე იყო. ახლაც მაქვს ინფორმაცია სხვათაშორის, იგივე ძველი წყაროებისაგან, რომ მიშამ თავის ჩვეული სტილში გაუპროტესტა ხელისუფლების და უმრავლესობის წარმომადგენლებს ის დამოკიდებულება, რაც მათი მხრიდან საპარლამენტო დებატებთან დაკავშირებით არსებობდა - ვგულისხმობ, როდესაც ქრისტიან-დემოკრატები მინისტრებთან ფაქტებით და არგუმენტებით დებატობდნენ, ხოლო უმრავლესობის წევრები საპასუხოდ მხოლოდ ქილიკობდნენ და ცინიკურად იღიმებოდნენ. შესაბამისად, მაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან მალე თანამდებობას დატოვებენ ბაკურ კვეზერელი, კობა სუბელიანი და ხათუნა კალმახელიძე, — განაცხადა გრიგოლიამ.

შეგახსენებთ, რომ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, უახლოეს მომავალში ბაკურ კვეზერელი თანამდებობას დატოვებს, თუმცა ამ ინფორმაციას თავად მინისტრმა „მედიანიუსთან" საუბარში ჭორი უწოდა.

**მედიანიუსი**

# წალენჯიხის რაიონში ვაუჩერები არ დაურიგებიათ

„ახალი მემარჯვენეები" წალენჯიხის რაიონში ვაუჩერების დაურიგებლობაზე საუბრობენ. პარტიის წალენჯიხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, წალენჯიხის საკრებულოს წევრის, დავით ბელაქნიას ინფორმაციით, ადგილობრივ მოსახლეობას დღემდე სრულად არც ენერგო არც სასურსათო ვაუჩერებით არ უსარგებლია.

— ვაუჩერები რაიონში მცხოვრები ოჯახების მხოლოდ ნახევარზე ოდნავ მეტს ერგო. მართალია, მეორე ეტაპზე დანაკლისი ვაუჩერები გამოიგზავნა, მაგრამ ისინი ფინანსურად ჯერ უზრუნველყოფილი არ არის და ფარატინა ქაღალდს წარმოადგენს. მოსახლეობას იმედი აქვს, რომ ვაუჩერებით სარგებლობის საშუალება აღდგომამდე მაინც მიეცემათ, — აცხადებს ბელქანია.

მისივე ცნობით, ადგილობრივი ენერგოკომპანია ჯერჯერობით ვითარებას არ ამწვავებს და ელექტროენერგიის მიწოდებას არ უწყვეტს მოსახლეობის ამ ნაწილს, მაგრამ ეს მდგომარეობა როდემდე გაგრძელდება არავინ იცის.

— ეს გაზაფხული ძალიან მძიმე აღმოჩნდა რაიონის მოსახლეობისთვის, ზამთრის მარაგები პრაქტიკულად ყველას ამოეწურა, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ფული არ არის, ხელისუფლებას კი რაიმე ქმედითი ნაბიჯი მათ დასახმარებლად ჯერ არ გადაუდგამს, — აღნიშნავს ბელქანია.

**ინტერპრესნიუსი**

# საბურავის აფეთქებას ახალგაზრდა მამაკაცი ემსხვერპლა

გუშინ დილით თბილისში უბედური შემთხვევა მოხდა. როგორც „მედიანიუსს„ საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან აცნობეს, სტანისლავსკის ქუჩაზე საბურავების შემკეთებელ საწარმოში მომუშავე 29 წლის მამაკაცი საბურავის აფეთქებას ემსხვერპლა. 29 წლის გაგა სახეჩიძე სატვირთო მანქანის საბურავის შეკეთებას ცდილობდა, როდესაც ტრაილერის საბურავი გასკდა. ხაჩიძეს ჭრილობა თავის არეში ჰქონდა მიღებული. მას თავში, სავარაუდოდ, ბლაგვი საგანი მოხვდა. ადგილზე მისულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებულის გადარჩენა ველარ შეძლო.

**მედიანიუსი**

# „საქართველოს რკინიგზა" სააღდგომოდ მატარებლების დამატებით რეისებს დანიშნავს

„საქართველოს რკინიგზამ" აღდგომის დღესასწაულისთვის რამდენიმე მიმართულებით მატარებლების რაოდენობა გაზარდა.

როგორც რკინიგზის სამგზავრო გადაყვანების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხარიტონ შალამბერიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 21 აპრილიდან თბილისი-სენაკის მიმართულებით იმოძრავებს ახალი, 8-ვაგონიანი მატარებელი, ასევე თბილისი-ოზურგეთის მიმართულებით დაინიშნება დილის მატარებელები, ხოლო ზუგდიდის მიმართულებით მოძრავ მატარებელს ვაგონები დაემატება.

შალამბერიძის განცხადებით, სხვა მიმართულებებით მატარებლების რაოდენობა მგზავრების მოთხოვნის მიხედვით გაიზრდება, რაც შეეხება ბილეთების ფასს, ის უცვლელი იქნება.

**მედიანიუსი**

# სააღდგომოდ თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი განსაკუთრებულ რეჟიმში იმუშავებს, — ამის შესახებ „ინტრპრესნიუსს" თბილისის მერიიდან აცნობეს.

აღდგომის ღამეს თბილისის მეტროპოლიტენი ღამის 03:00 საათამდე იმუშავებს და ღამის თორმეტი საათის შემდეგ უფასო იქნება. ასევე, აღდგომის დღეს და ორშაბათს დამატებითი 6 მარშრუტი დაინიშნება, რომლებზეც სულ სასაფლაოების მიმართულებით 80 ავტობუსი იმოძრავებს. სპეციალური მარშრუტების მომსახურება უფასო იქნება.

**ინტერპრესნიუსი**

# აივ ინფექციით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

აივ ინფექციით თბილისში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. წელს შიდსის ვირუსით გარდაცვალების ეს უკვე 40-ე შემთხვევაა.

შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრში აცხადებენ, რომ საქართველოში ვირუსუს მატების ტენდენცია შეინიშნება.

წელს აივ ინფექციის ლაბორატორიულად დადასტურებულ უკვე 106 შემთხვევაა დაფიქსირებული. ლეტალურ შედეგს ხშირად დაგვიანებული მკურნალობა იწვევს.

— პაციენტს აღენიშნებოდა ღვიძლის ციროზი და საყლაპავი ორგანოებიდან სისხლდენა. მამაკაცი იყო საშუალო ასაკის, დაახლოებით 40 წლამდე, — განაცხადა შიდსისა და იმუნოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა თენგიზ ცერცვაძემ და დასძინა, რომ გარდაცვლილთა აბსოლუტური უმრავლესობა 30-დან 50 წლამდე ასაკისაა.

სპეციალისტები მოუწოდებენ ყველას, პირველივე სიმპტომების გამოვლენისთანავე ჩაიტარონ ტესტი, რათა შესაძლებელი გახდეს დაავდების ადრეულ სტადიაზე გამოვლენა და პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივება.

ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით აივ ვირუსზე შემოწმება უფასოა.

**მედიანიუსი**

# არასრულწლოვნებს შორის შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა

თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში არასრულწლოვნებს შორის შელაპარაკება მკვლელობით დასრულდა.

დაპირისპირების შედეგად, ორმა არასრულწლოვანმა ერთმანეთი დაჭრა. ერთ-ერთი მათგანი ადგილზევე დაიღუპა.

გარდაცვლილი ექსპერტიზისათვის პროზექტურაში გადაასვენეს, ხოლო მეორე არასრულწლოვანი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა. რეფერალური ჰოსპიტალის ბავშვთა ქირურგის დავით წაქაძის განცხადებით, პაციენტი 17 წლისაა და მას ჭრილობები, ცივი იარაღით, ფილტვის, წელისა და გულ-მკერდის არეში აქვს მიყენებული.

პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და ამჟამად ის კონტაქტურია.

**მედიანიუსი**

# თომას ჰამარბერგი საქართველოში მართლმსაჯულების წარმოებით დაინტერესდა

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამარბერგი საქართველოში მართლმსაჯულების წარმოებით დაინტერესდა.

როგორც გუშინ გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე ჰამარბერგმა განაცხადა, პირველ რიგში მას აინტერესებდა ინფორმაცია სასამართლოს სამართლიანობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ყველა ქვეყანაში მთავარია სამართლიანი სასამართლო არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც იყოს დანერგილი.

ჰამარბერგის განცხადებით, მიზეზი, რის გამოც ის ამ თემით დაინტერესდა, მასთან მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებით შესული რამდენიმე საჩივარი გახდა. შესაბამისად, ვიზიტის ფარგლებში იგი შეეცადა, უკეთ გაეგო პრობლემის არსი და ამ მიზნით შეხვედრები გამართა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ასევე, ადამიანის უფლებათა კომიტეტის წარმომადგენლებთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან, მოსამართლეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ჰამარბერგის თქმით, ის რუსთავშიც იმყოფებოდა, სადაც რამდენიმე პატიმარს და მათი ოჯახის წევრებს შეხვდა. შესაბამისად, მისი ინფორმაციით, საკმარისი მასალა აქვს, რათა საქართველოს მთავრობისთვის რეკომენდაციები მოამზადოს.

— ჩემთან შემოვიდა საკმაოდ სერიოზული საჩივრები. მაგალითად, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა სასჯელის ზომად წინასწარი პატიმრობის შეფარდება მაშინ, როდესაც ეს სასჯელის უმაღლესი ზომაა. იყო აგრეთვე საჩივრები გამოძიების მიმდინარეობისას პროკურორების ქმედებებზე, სამხილების არასათანადოდ შეგროვებასა და მტკიცებულებების ხელოვნურად შექმნასთან დაკავშირებით. თუ ეს ფაქტები მართლაც დადასტურდა, მაშინ ეჭვქვეშ დგება სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, — განაცხადა ჰამერბერგმა.

მისივე თქმით, საჩივარი მიიღო იმ საკითხთან დაკავშირებითაც, რომ 2007 წლის ნოემბერსა და 2010 წლის გაზაფხულზე პოლიციელების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტები ამ დრომდე გამოუძიებელია. ჰამარბერგის განცხადებით, მასთან შეხვედრისას ხელისუფლების წარმომადგენლებმაც აღიარეს, რომ გამოძიებები სამართალდამრღვევ პოლიციელებთან დაკავშირებით გაჭიანურებულია, თუმცა, ჰამარბერგმა ხელისუფლებისგან მიიღო დაპირება, რომ ამ საქმეების განხილვა დროულად დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

# რუსეთში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

რუსეთში შეკვეთილი მკვლელობის ორგანიზების ბრალდებით საქართველოს მოქალაქე დავით ადეიშვილი (იადგაროვი) დააკავეს.

რუსული მედიის ინფორმაციით, დავით ადეიშვილი (იადგაროვი) რუსეთის სამართალდამცავებმა მაშინ აიყვანეს, როცა იგი ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის დირექტორის მოადგილის მკვლელობისთვის პოტენციურ ქილერს 40 ათას რუბლს უხდიდა.

რუსი სამართალდამცავების ცნობით, 46 წლის დავით ადეიშვილი (იადგაროვი) თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატია, თუმცა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში მას ვერ იხსენებენ.

დავით ადეიშვილი წარმოშობით სამტრედიიდანაა, თუმცა სახლი გაყიდული აქვს და იქ უკვე 20 წელია მისი ოჯახი აღარ ცხოვრობს.

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის კახა გეწაძის განცხადებით, მოჭიდავეები მას არ იცნობდნენ და არც მისი მიღწევების შესახებაა მათთვის ცნობილი.

— არც უფროსი თაობის სპორტსმენები და არც ახალგაზრდები არ იცნობენ ამ ადამიანს და არაფერი იციან მისი მიღწევების შესახებ, მითუმეტეს წერენ, რომ ეს არის სპორტის ოსტატი და თუ სპორტის ოსტატია, გევცოდინებოდა. ეს არის სრული სიცრუე, რადგან მას სპორტთან შეხება არ ჰქონია, — აღნიშნა გეწაძემ.

**მედიანიუსი**

## დღის კალენდარი

### 21 აპრილისთვის



წლის 111-ე დღე,
ახალ წლამდე დარჩა 254 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

ვნების შვიდეული.
დიდი ხუთშაბათი.
ხსენება საიდუმლო სერობისა

ხსენება წმიდა მოციქულთა: იროდიონ, აგაპო, ასინკრიტე, რუფოს, ფლეღონტე და ერმისა, წმიდა მოწამე კელესტინე რომის პაპისა და პავსილიპესი, წმიდა კლემენტე რომის პაპისა.

**დაიბადნენ:**

1729 — ეკატერინე II, რუსეთის იმპერატრიცა 1762 წლიდან. გარდაიცვალა 1796 წელს.

1824 — რაფიელ ერისთავი, მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვალა 1901 წელს.

1843 — ვალტერ ფლემინგი, გერმანელი ანატომი, ციტოგენეტიკის დამფუძნებელი. მან პირველმა აღწერა ქრომოსომების მოქმედება უჯრედის გულის გაყოფისას.

1916 — ენტონი ქვინი, ამერიკელი კინომსახიობი.

1922 — სტანისლავ როსტოცკი, საბჭოთა კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი, ცნობილია ფილმებით: ორშაბათიც გათენდება„, განთიადი კი, აქ მშვიდია„, შავყურა თეთრი ბიმი„ და სხვ.

1958 — ენდი მაკდაუელი, კინომსახიობი, ყოფილი ტოპმოდელი.

**გარდაიცვალნენ:**

1142 — პიერ აბელიარი, ფრანგი ფილოსოფოსი, თეოლოგი, პოეტი.

1509 — ჰენრი VII, ინგლისის მეფე.

1699 — ჟან-ბატისტ რასინი, ფრანგი დრამატურგი, პოეტი, კლასიციზმის წარმომადგენელი.

1714 — თავადი ვასილ გოლიცინი, პეტრე I დის, სოფიო ალექსის ასულის ფავორიტი.

1910 — მარკ ტვენი (სამუელ ლენჰორან კლემენსი), ამერიკელი მწერალი. ავტორი გახმაურებული რომანებისა ტომ სოიერის თავგადასავალი„ და ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი.

**მოვლენები:**

753 ჩვ.წ.აღ-მდე — მეფე რომულუსმა დაარსა რომი.

1886 წელი — დაიწყო სურამის გვირაბის გათხრა (სიგრძე 3.988 მ) ინგლისელი ინჟინრის გაბის მიერ.

1894 წელი — ნიკოლოზ II დაინიშნა ალექსანდრა ფიოდოროვნაზე, რომელთანაც ხუთი შვილი შეეძინა.

1908 წელი — ჯეიმს კუკის ექსპედიციამ მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს.

1945 წელი — 47-ე არმიის მე-3 შემტევი არმიის, მე-9 სატანკო გვარდიის და პირველი მექანიზებული კორპუსის მე-2 სატანკო გვარდიის ჯარები ბერლინის ჩრდილო გარეუბანში შეიჭრნენ.

1946 წელი — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ აღდგა ღვთისმსახურება სერგიევის სამების ლავრაში.

1954 წელი — სსრკ იუნესკოში გაწევრიანდა.

2000 წელი — მიანმის სანაპირო საოკეანო წყლებში მყვინთავებმა იპოვნეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მარგალიტი 845 კარატი (დაახლოებით 169 გრ). მანამდე ყველაზე დიდ მარგალიტად ითვლებოდა ჰოუპის მარგალიტი„ (დაახლოებით 450 კარატი), რომლის სახელწოდებაც მფლობელის ჰენრი ფილიპ ჰოუპის პატივსაცემად ეწოდა. იგი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იპოვნეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

მეცნიერების დღე
უკრაინა — გარემოს დაცვის დღე
ბრაზილია — ტირადენტესის დღე
პაკისტანი — ერის სულიერი მამის, პოეტ იკბალის ხსენების დღე

**მედიანიუსი**

## ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება იზრდება

ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება იზრდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შედის „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ კანონში, რომელიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ კანონში ცვლილებების შეტანის მიზანია ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე მართვასა და კოორდინაციაზე უფლებამოსილი ორგანოს განსაზღვრა.

დღეს არსებული ნორმის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის, ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე, აგრეთვე ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად.

ცვლილებების თანახმად კი უშიშროების საბჭოს განმარტებას ემატება, რომ საბჭო არის ქვეყნის უსაფრთხოების სფეროში და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები.

ასევე, კანონში ემატება, რომ ეროვნული უშიშროების საბჭო საქართველოს პრეზიდენტის დავალებით ხელმძღვანელობს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე. რაც შეეხება ეროვნული საბჭოს მდივანის უფლებამოსილებებს კანონპროექტში ნათქვამია, რომ იგი კოორდინაციას უწევს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე.

ასევე მეოთხე მუხლს ემატება, რომელიც საბჭოს მდივნის უფლებამოსილებებს ეხება ემატება ქვეპუნქტები, რომლის მიხედვითაც აკონტროლებს და კოორდინაციას უწევს ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებს და დავალებების შესრულებას.

ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების შექმნის საფრთხეს ან მის დადგენის შემთხვევაში მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს.

დადგენილი წესით ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის ცალკეულ დავალებებს.

**პრაიმ-ნიუსი**

## *ნინო ჩხობაძე:* თბილისში მოსული ტალახიანი წვიმა გლობალურ დათბობას უკავშირდება

ექსპერტი გარემოს დაცვის საკითხებში, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე მიიჩნევს, რომ თბილისში დღეს მოსული ტალახიანი წვიმა აფრიკის უდაბნოში არსებული ქარბორბალის შედეგია.




როგორც „მედიანიუსს“ ექსპერტმა განუცხადა, ეს მოვლენა გლობალურ დათბობას უკავშირდება.

— ქარბორბალები ცოტა ხნის წინ დასავლეთ საქართველოსა და თურქეთშიც დაფიქსირდა. შესაბამისად, სამხრეთშიც რომ მოხდა, ეს აშკარად კლიმატის ცვლილებაა და გლობალური დათბობათან პირდაპირ კავშირშია,— განაცხადა ჩხობაძემ.

გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოს მთავარი სპეციალისტი გულჩინა კუჭავა „მედიანიუსთან“ საუბარში ამბობს, რომ წვიმის წყალში არსებული შეწონილი ნაწილაკები შესამოწმებლად უკვე ლაბორატორიაშია და მისი ანალიზის პასუხი ორ დღეში იქნება.

— ამ დროისათვის რაც შევამოწმეთ, წყლის ის ნაწილი საფრთხის შემცველი არ არის და მოსახლეობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, — განაცხადა კუჭავამ და დასძინა, რომ მსგავსი მოვლენები დრო და დრო ხდება.

მისი თქმით, წვიმის წყალში ქვიშის ნაწილაკები საჰარის უდაბნოში არსებული ქარბორბალიდან ქარის მეშვეობით მოხვდა და არ უკავშირდება ჩრდილო აფრიკის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს.

სინოპტიკოსების ცნობით, მსგავსი შემთხვევა 2009 წელსაც დაფიქსირდა და მოსახლეობისთვის ზიანი არ მიუყენებია.

**მედიანიუსი**

## სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებები შედის

პირებს, რომლებმაც აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტობის პერიოდში, 2007 - 2008 წლებში, ერთხელ მაინც გაიარეს სამხედრო სარეზერვო შეკრება, სამხედრო



სავალდებულო სამსახური მოხდილად ჩაეთვლებათ, ჩაირიცხებიან რეზერვში და რიგითი სამხედრო წოდება მიენიჭებათ.

შესაბამისი ცვლილება სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონში შედის.მთავრობის საპარლამენტო მდივნის გიორგი ხუროშვილის განმარტებით, ყველა ასეთი სტუდენტი მიიღებს შესაბამის სამხედრო ბილეთს და გათავისუფლდება სამხედრო ვალდებულების მოხდისგან.

2007-2008 წლებში რუსეთთან საომარი მოქმედებების გამო, ეს რეზერვისტები აღმოჩნდნენ საგანგებო ვითარებაში და საქართველოს მთავრობა დღეს იღებს გადაწყვეტილებას გამონაკლისის სახით„, - განაცხადა ხუროშვილმა.

**პრაიმ-ნიუსი**

## საწვავის ხარჯებში ჩამოწერის პროცედურა გამარტივდა

შემოსავლების სამსახურის ახალი ინიციატივა - საწვავის ხარჯებში ჩამოწერის პროცედურის გამარტივების შესახებ, უკვე ძალაშია. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, დღემდე არსებული პროცედურით, საწვავის ხარჯვის აღრიცხვისა და შემდგომ მისი ხარჯებში ჩამოწერის პრინციპი გართულებული იყო, რაც მეწარმეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა.

შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ ახალი პროცედურით საკმარისია სულ რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვა: 1. მეწარმეს უნდა გააჩნდეს საწვავის შეძენის კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია; 2. საწვავი უნდა იქნას გაწერილი საწარმო საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ძირითად საშუალებებზე (როგორც ავტოსატრანსპორტო, ასევე სპეცტექნიკა); 3. მეწარმემ უნდა აღრიცხოს, თუ რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე რომელი ტიპის და რა ოდენობის საწვავი გასცა.საწვავის ხარჯებში ჩამოწერისათვის საკმარისია მეწარმემ თვეში ერთხელ მოახდინოს ოდომეტრის ჩვენების დაფიქსირება. აღარ არის სავალდებულო საწვავის ხარჯვის აღრიცხვის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების წარმოება.

ავტოსატრნსპორტო საშუალების ტექნიკური მახასიათებლებისა და ოდომეტრის ჩვენების მიხედვით იანგარიშება გახარჯული საწვავის ოდენობა 20%-იანი დასაშვები ცდომილებით. ასევე გათვალისწინებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების სიძველე. 5 წელზე უფრო ადრე გამოშვებული ტექნიკისათვის დასაშვები ცდომილებაა 25%.

შემოსავლების სამსახურის განმარტებით, თუ სატრანსპორტო საშუალება ან სპეცტექნიკა, ზემოთ მითითებულ დასაშვებ ნორმებზე მეტ საწვავს მოიხმარს, მაშინ მეწარმემ უნდა აღრიცხოს ფაქტობრივი ხარჯი და შესაბამისი საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მოხდება ამ ხარჯის გათვალისწინება და ჩამოწერა.

**პრაიმ-ნიუსი**

## იმერეთში ბუნების ახალი ძეგლები იქმნება

იმერეთში ბუნების ახალი ძეგლები იქმნება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „იმერეთის დაცული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შედის.

დღეს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიები მოიცავს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს და ყუმისთავის, თეთრ, ხომულის, ცუცხვათის, ნავენახევის, ნაგარევის, იაზონის და საკაჟიის მღვიმეების ბუნების ძეგლებს, ასევე წყალწითელას ხეობის, ოკაცეს კანიონის და ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლებს.

კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში კი შეიქმნება პრომეთეს, საწურბლიას, სოლკოტას, დიდღელეს, მელოურის, ბღერის და ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლები და გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის ფართობი 46.6 ჰა იქნება, გაბზარული ტბის ბუნების ძეგლი სოფელ ყუმისთავის მიმდებარედ შეიქმნება, საწურბლიას მღვიმის ბუნების ძეგლი - სოფელ ყუმისთავის მიმდებარედ, მდინარე სემის ნაპირზე, სოლკოტა მღვიმის ბუნების ძეგლი - სოფელ ყუმისთავის ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5 კმ-ზე; დიდღელეს მღვიმის ბუნების ძეგლი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მელოურის მღვიმის ბუნების ძეგლი - სოფელ ქვილიშორთან; ბღერის მღვიმის ბუნების ძეგლი - სოფელ ქვილიშორთან; ღლიანას მღვიმის ბუნების ძეგლი - სოფელ ქვიშლორის და სოფელ ყუმისთავის საზღვარზე.

პროქტის განმარტებით ბარათში, ახალი დაცული ტერიტორიების შექმნა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობით არის ახსნილი. კანონპროექტის ავტორი საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროა. კანონპროექტი პარლამენტში მიმდინარე კვირას შევიდა და მისი განხილვა ჯერჯერობით არ დაწყებულა.

**ინტერპრესნიუსი**

## რუსეთში „ბორჯომი“ აღმოაჩინეს

ბელორუსიიდან რუსეთში არალეგალურად შეტანილი ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ აღმოაჩინეს. ამის შესახებ „როსპოტრებნადზორის“ ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა. კონტრაბანდულ ბორჯომს სხვადასხვა რეგიონის სასურსათო ბაზრებზე მიაკვლიეს, მათ შორის, იგი მოსკოვშიც აღმოჩნდა. აქციზური მარკის მიხედვით, მისი იმპორტიორი „კლასიკური ღვინოები“ აღმოჩნდა, რომელიც მინსკშია დარეგისტრირებული. „ბორჯომის“ მინერალური წყალი, ქართულ ღვინოსთან ერთად, რუსული ბაზრიდან ჯერ კიდევ 2006 წელს ამოიღეს.

**პრაიმ-ნიუსი**

## ზაალ სამადაშვილმა და გრიგოლ ბაიბურთმა აფხაზეთიდან დევნილებს სააღდგომო საჩუქარი მიუტანეს

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ ბაიბურთი ავლაბრის რაიონში კომპაქტურად დასახლებულ დევნილებს შეხვდნენ და მათ სააღდგომო საჩუქარი მიუტანეს.

ზაალ სამადაშვილმა და გრიგოლ ბაიბურთმა აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით საჩუქრად ღვინო, კვერცხი, ტკბილეული და ხორცის ნაწარმი მიუტანეს.

— ეს გახლავთ თბილისის საკრებულოსა და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების ერთობლივი აქცია. მინდა დიდი მადლობა მოვახსენო სააგენტოს ხელმძღვანელს გრიგოლ ბაიბურთს, რომლის თანადგომითა და დახმარებით ჩვენ შევძელით, რომ ამ ადამიანების სააღდგომო სუფრისთვის ცოტაოდენი ნობათი შეგვემატებინა. ეს არ გახლავთ ერთჯერადი აქცია. მე ამ რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახლავართ და, შესაბამისად, კარგად ვიცნობ ამ ადამიანების პრობლემებს. ჩვენ ხშირად ვხვდებით ერთანეთს და მეც შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ, — განაცხადა ზაალ სამადაშვილმა.კაიშაურის №3 და მეტრომშენის დასახლებაში მდებარე 78-ე ბაგა-ბაღში აფხაზეთიდან დევნილი 28 ოჯახი ცხოვრობს.

**პრაიმ-ნიუსი**

## ბაქოში უბედური შემთხვევის შედეგად საქართველოს მოქალაქე დაიღუპა

ბაქოში უბედური შემთხვევის შედეგად საქართველოს მოქალაქე ნაილ დაშდამიროვი დაიღუპა. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს, დასვენების ცენტრ „აკვა პარკში“ კედელი ჩამოინგრა და საქართველოს მოქალაქეს ნაილ დაშდამიროვს დაეცა.

დაშდამიროვი მიღებული ტრამვებისგან ადგილზე გარდაიცვალა.

**პრაიმ-ნიუსი**

# „შავი ლომის“ გარშემო სკანდალი გრძელდება

ეკა ირემაშვილი

ნიკო ფიროსმანის შედევრის „შავი ლომის“ გარშემო სკანდალი გრძელდება. საქართველოს კულტურის სამინისტრომ უკვე მიიღო ოფიციალური წერილი რუსეთის კულტურის დაცვის სამინისტროსგან, სადაც ნათქვამია, რომ ფიროსმანის „შავი ლომი“ მის ამჟამინდელ მფლობელს წლების წინ სრულიად კანონიერად აქვს შეძენილი და ეს ტილო რუსეთის საკუთრებაა.

ამ სკანდალთან დაკავშირებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ პირველი ოფიციალური კომენტარი გააკეთა.

— მთავარია დადგინდეს, რამდენად კანონიერად მოხდა ფიროსმანის „შავი ლომის“ საქართველოდან გატანა. ის დოკუმენტი, რითაც სურათის ქვეყნიდან გატანა იყო შესაძლებელი, არსებობს, თუმცა ახლა ამ ფურცლის ნამდვილობა დგინდება. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ დადგინდეს, რამდენად კანონიერად მოხდა ფიროსმანის „შავი ლომის“ საქართველოდან გატანა, — განმარტა კულტურის მინისტრმა.

— რა წერია რუსეთის კულტურის დაცვის სამინისტროს მიერ გამოგზავნილ წერილში?

— ჩვენთან მოსულ წერილში ნათქვამია, რომ ფიროსმანის „შავი ლომი“ ნოტარიალური თანხმობით პატრონმა გადასცა მეორე პიროვნებას, რომელმაც ნახატი გასხვისების უფლებით გაიტანა.

მხატვარ ყარამან ქუთათელაძის განცხადებით, ნახატი, რომელიც მოსკოვში იყო გამოფენილი, მისი ოჯახიდან 1993 წელს ყაჩაღურად გაიტაცეს. ამიტომ მხატვარი ამტკიცებს, რომ რუსეთიდან გამოგზავნილი დოკუმენტები გაყალბებულია. ის კატეგორიულად უარყოფს მსგავს დოკუმენტზე ხელის მოწერას და მასზე ექსპერტიზის ჩატარებას ითხოვს.

— ფიროსმანის „შავი ლომის“ შესახებ მოსკოვიდან გამოგზავნილი დოკუმენტი ფალსიფიცირებულია. ხელმოწერის გაყალბება დღეს არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს. დარწმუნებული ვარ, ფალსიფიცირებასთან გვაქვს საქმე. დოკუმენტში წერია, რომ მე ნამუშევარი, რომელიც მილიონებად არის შეფასებული, 2 ათას დოლარად დავთმე. ეს სასაცილოა. ნიკალას ნამუშევარი საქართველოს ფარგლებს გარეთ მხოლოდ არალეგალური გზით შეიძლებოდა გასულიყო, — განუცხადა ყარამან ქუთათელაძემ ჟურნალისტებს.

როგორც მხატვარმა განაცხადა, ის უკვე თანამშრომლობს გამოძიებასთან და საქმესთან დაკავშირებით მის ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას გამოძიებას პირადად მიაწვდის.

ფიროსმანის „შავი ლომი“ რამდენიმე დღის წინ მოსკოვში ერთ-ერთ ანტიკვარულ სალონში გამოფინეს. „შავი ლომი“ რენესანსის პერიოდის ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გვერდით მოხვდა. ნიკალას ტილოსთან ერთად, სალონში უცნობი მხატვრის ნამუშევარი „მადონა ყრმით“, „ქრისტე“ და რაფაელის მოსწავლის ჯულიანუ რომანოს ნამუშევრებია გამოფენილი. მხატვრის სახლში 30-იანი წლების რუსი მხატვრების, მათ შორის მიხაილ ნესტეროვის ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი.

მოსკოვში განმარტეს, რომ ნახატი გასული საუკუნის ბოლოს მართლაც გაიტაცეს და მას შემდეგ იძებნებოდა. ამჟამინდელმა მფლობელმა კი მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მოპარული ნახატი შეიძინა,



თბილისში ჩამოვიდა და ტილოს მფლობელებისგან ნიმუში გამოისყიდა. „როსახრანკულტურის“ ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის ვიქტორ პეტრაკოვის განცხადებით, მათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები აქვთ. ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის მოსკოვში გამოფენის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ტელეარხმა „როსია 24“-მა ანტიკვარული ექსპონატების გამოფენას ვრცელი სიუჟეტი მიუძღვნა. ექსპონატებს შორის „შავი ლომი“ აღმოჩნდა. მოსკოვში ის ნამდვილად ფიროსმანის შედევრად მიაჩნიათ.

ქართველი სპეციალისტები და აპოლონ ქუთათელაძის ოჯახის წევრები კი აცხადებენ, რომ ნახატის ორიგინალობის დასადგენად ნამუშევარი ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა უნდა შეისწავლონ. ფიროსმანის „შავი ლომი“ საქართველოდან 90-იან წლებში გაიტაცეს. შედევრი სამხატვრო აკადემიის ყოფილი რექტორის აპოლონ ქუთათელაძის საკუთრება გახლდათ და მისი ვაჟის ყარამან ქუთათელაძის სახელოსნოში ინახებოდა. ქუთათელაძეების ოჯახის თქმით, ტილო მათ ყაჩაღური გზით 21 წლის წინ წაართვეს. სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ეს ნამუშევარი ორიგინალი არ იყოს და მოსკოვში მისი ასლი ინახებოდეს. ნიკო ფიროსმანის ეს ნამუშევარი ყველაზე ძვირადღირებულია და 60 მილიონადაა შეფასებული. ფიროსმანის ნამუშევარი 1906 წელსაა შესრულებული. „შავ ლომზე“ საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.

ნამუშევრის რუსეთში მოხვედრის შესახებ ვერსიები საკმაოდ ბევრია. ქართველი სპეციალისტები ეჭვობენ, რომ 90-იან წლებში მოპარული ტილო საზღვარზე გაიტანეს და რუსეთში კერძო კოლექციონერს მიყიდეს. ამის შემდეგ კი ნამუშევარმა დღის სინათლე მოსკოვის საგამოფენო ცენტრში გამოფენისას ნახა. სკანდალის აგორების შემდეგ კი ფიროსმანის „შავი ლომი“ მოსკოვის ანტიკვარულ სალონში გამოფენიდან მოხსნეს. როგორც გალერეის მფლობელებმა განაცხადეს, ის თავად მეპატრონემ გაიტანა, თუმცა მისი ვინაობა უცნობი რჩება. გაურკვეველია, არის თუ არა ეს ნამდვილად ნიკო ფიროსმანის მიერ შექმნილი ორიგინალი. ტილო სამი დღის განმავლობაში იყო გამოფენილი, რის შემდეგაც ტილოს მფლობელმა ეს ნამუშევარი უკან წაიღო. არ სახელდება მიზეზი, რატომ მოხსნა გამოფენიდან მფლობელმა ტილო. უცნობია ისიც, თუ საიდან ჩაუვარდა მას ხელში ეს ცნობილი ტილო.

ქართველი სპეციალისტები განმარტავენ, რომ ფიროსმანის შედევრის უტყუარობის დადასტურება მხოლოდ ქართველ ექსპერტებს ხელეწიფებათ. მათ გაცილებით მეტი შესადარებელი მასალა გააჩნიათ, რის საფუძველზეც „შავი ლომის“ ორიგინალთან შედარება მოხდება.

— საერთაშორისო კანონისა და ეთიკური ნორმების თანახმად, გალერეას ნაქურდალი ნივთების მიღების ან გამოფენის უფლება არ აქვს, — ასეთი განცხადება გააკეთა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა გია მარსაგიშვილმა. მისივე თქმით, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას და ნამუშევარი ოჯახს დაუბრუნდეს.

თავად ყარამან ქუთათელაძე უარყოფს „რუსახრანკულტურას“ ხელმძღვანელის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნიკო ფიროსმანის „შავი ლომი“ ამჟამინდელმა მფლობელმა ოფიციალურად ქუთათელაძეებისგან შეიძინა. მხატვრის თქმით, 1993 წელს ნახატის გატაცების შემდეგ, არც ნახატი უნახავს და მათ ოჯახში არავინ მისულა ნახატის ოფიციალურად შეძენის სურვილით.

— ათასგვარი ხალხი მოსულა ჩვენთან ნახატთან დაკავშირებით, მაგრამ გატაცების შემდეგ ნახატი საერთოდ არ მინახავს და სრული აბსურდია იმაზე საუბარი, რომ თითქოს ჩვენთან ვიღაც იყო მოსული და ნახატი ოფიციალურად შეიძინა. თავი დავანებოთ ყველაფერს და ვიკითხოთ, თუ ასეთი პატიოსანი ხალხია, მაშინ რატომ მალავენ საკუთარ ვინაობას, ვის ხელშია ახლა ნახატი?! თუ ასეთი სერიოზული სალონია და ექსპოზიციებსაც ხშირად აწყობს, რატომ არ დაინტერესდა მისი ორგანიზატორი ნახატის წარმომავლობით. ნუთუ ასე გაუჭირდათ იმის გაგება, რომ ნახატი გატაცებამდე აპოლონ ქუთათელაძის ოჯახს ეკუთვნოდა?! — აცხადებს ყარამან ქუთათელაძე.

როგორც კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ განაცხადა, გამოძიება უკვე დაწყებულია და ამ სკანდალთან დაკავშირებული ყველა დეტალი მისი დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

# სტუდენტური კინოფესტივალი იწყება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში სტუდენტურ კინოფესტივალ „ამირანთან“ დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა. კინოფესტივალი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით ტარდება.

პრესკონფერენციაზე კინოფესტივალთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა თამარ ტატიშვილმა, თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ნეკა სებისკვერაძემ, თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის დირექტორმა დათო ჯანელიძემ და თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალის კომუნიკაციების დირექტორმა ჯაბა სიხარულიძემ.

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ წელს 17-21 მაისს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გაიმართება. სელექციის შედეგად ფესტივალის ძირითად საკონკურსო პროგრამაში მოხვდა კინოსკოლების ნამუშევრები შემდეგი ქვეყნებიდან — აშშ, გერმანია, თურქეთი, უკრაინა, ესპანეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, ლატვია, ბულგარეთი, ლიტვა, სომხეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, სამხრეთ აფრიკა, ირანი, პოლონეთი, რუსეთი და საქართველო — ჯამში, 18 ქვეყნის სხვადასხვა კინოსკოლის სტუდენტური ნამუშევრებიდან გამოვლინდებიან გამარჯვებულები.

2011 წლიდან „ამირანით“ მხოლოდ 4 ფილმი დაჯილდოვდება ნომინაციებში: საუკეთესო მხატვრული ფილმი, საუკეთესო დოკუმენტური ფილმი, საუკეთესო ანიმაციური ან ექსპერიმენტული ფილმი და გაიცემა ჟიურის პრიზი. ამ ოთხი ნომინაციის გარდა, სპეციალური დიპლომებით აღინიშნებიან სტუდენტები იმ სპეციალობების მიხედვით, რომელსაც ეუფლებიან მსოფლიოს ყველა კინოსკოლაში.

**დათო ჯანელიძე — რეჟისორი, კინოფესტივალის დირექტორი:**

— ამ ფესტივალში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ყველაფერს თავად სტუდენტები აკეთებენ. ფესტივალის ლოგოც და სლოგანიც თავად სტუდენტებმა მოიფიქრეს. ჩვენ მათ მაქსიმალური თავისუფლება მივეცით. წელს ფესტივალი საკმაოდ მასშტაბურია და იმედი გვაქვს, ჩვენი სტუდენტები თავის სათქმელს აუცილებლად იტყვიან. „ამირანში“ კინოსკოლებია წარმოდგენილი, რაც ყველაზე კარგია. წელს ჩვენს კინოფესტივალში 5 კინოსკოლაა ჩართული.

**ნეკა სებისკვერაძე, მომღერალი, თბილისის მერიის წარმომადგენელი:**

— დედაქალაქის მერიის კულტურის სამსახური ნამდვილად არის დაინტერესებული მხარი დაუჭიროს მსგავს საერთაშორისო დონის ფესტივალებს, რომელიც ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას და ქართული კინოინდუსტრიის განვითარებას ისახავს მიზნად. თბილისის ხელმძღვანელობა მსგავს პროექტებში თანადაფინანსებით ყოველთვის მიიღებს მონაწილეობას.

**ჯაბა სიხარულიძე, სტუდენტური კინოფესტივალის კომუნიკაციების დირექტორი:**

— სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება. წელს ჩვენი ფესტივალი გამარჯვებულებს ოთხ ნომინაციაში გამოავლენს. ჩვენ გვინდა, რომ ამ ფესტივალის საშუალებით საქართველოსა და სხვა მონაწილე ქვეყნების სტუდენტებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ და მომავალში საკუთარი ქვეყნის კინოინდუსტრიის განვითარებას მოახმარონ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უვნებელი მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

# საქართველოს თასის ფინალი პირველლიგელის მოლოდინშია

**ტორპედო — ზესტაფონი 1:0**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 15.999 მაყურებელი**

*1:0 მეგრელაძე (65)*

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, დ.ფოფხაძე, ს.თოდუა, ჩიკვილაძე, სეთურიძე, დოლიძე (თარხნიშვილი 81), მეგრელაძე, ვ.კვარაცხელია (საბანაძე, 63), დიღმელაშვილი, ფარულავა, გ.დათუნაიშვილი.

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, გ.ონიანი, ხიდეშელი, კობახიძე, ალადაშვილი, დაუშვილი, ძარია (გორგიაშვილი 61), გრიგალაშვილი, წინამძღვრიშვილი (ს.ლომია72), დვალი, ბაბუნაშვილი (ბენაშვილი 86)

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ეს გაითვალისწინა და დასწრება უფასო იყო. ადგილობრივებს „ზესტაფონის“ ფანობაც დაემატა და სტადიონი, რომ იტყვიან, გადაიჭედა. ამ სეზონში ამ რაოდენობის მაყურებელი ჯერ არ დასწრებია. წინა რეკოდრიც, 11.000 მაყურებელი, ქუთაისს ეკუთვნოდა, პირველ წრეში თბილისის „დინამოსთან“ მატჩისას.

„ტორპედო“ და „ზესტაფონი“ რამდენიმე დღის წინ ჩემპიონატში შეხვდნენ ერთმანეთს (0:0) და იმ მატჩისგან განსხვავებით, გუშინდელი სათასო დაპირისპირება გაცილებით დაძაბული და კარგი სანახავი გამოდგა. ქუთათურებმა გუშინ სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს და ჩემპიონატის ლიდერი თითქმის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს.

მასპინძელთაგან განსაკუთრებით დოლიძის, სეთურიძის, დიღმელაშვილისა და მეგრელაძის შესანიშნავი თამაშია გამოსარჩევი. პირველმა ორმა ფლანგებზე ინავარდა, დიღმელაშვილმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მეგრელაძეც ძალიან აქტიური იყო და, სხვა რომ არაფერი, გამარჯვების გოლი გაიტანა.

„ტორპედო“ ევროთასებზე მოხვედრას უმიზნებს და თასზე განსაკუთრებულად მოტივირებული თამაშობს. ზესტაფონელთა კართან მალევე შეიქმნა ხიფათი: ქუთაისელთა უწყინარი ჩაწოდებისას ქარმა ბურთს მიმართულება შეუცვალა და კვასხვაძე იძულებული გახდა, კუთხურზე მოეგერიებინა. მორიგი სახიფათო ეპიზოდიც მასპინძლებმა შექმნეს. მე-14 წუთზე სეთურიძის ჩაწოდებული ბურთი მცველებმა თავით გამოიტანეს, დამატებაზე მეგრელაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან დაარტყა, კვასხვაძემ ბურთი ამჯერადაც კუთხურზე მოიგერია.

ზესტაფონელებმა პირველი სახიფათო იერიში მე-20 წუთზე განახორციელეს. გრიგალაშვილისა და წინამძღვრიშვილის კომბინაციის შემდეგ ბურთი დვალს მიუვიდა, მან კი საჯარიმოს მისადგომებიდან არაზუსტად დაარტყა. ტაიმის მიწურულს მასპინძლებს ანგარიშის გახსნის კარგი შანსი ჰქონდათ, სეთურიძის ჩაწოდების შემდეგ კვარაცხელიას თავური კვასხვაძემ მოიგერია.

**ეროვნული თასის ისტორიაში, შესაძლოა, მალე ახალი ფურცელი ჩაიწეროს. 26 მაისს თასის 21-ე ფინალი ჩატარდება და შესაძლოა პირველად ისტორიაში პირველი ლიგის ბინადარმა ითამაშოს. გაგრელთა პირველ ნახევარფინალურ მატჩში გამარჯვება ამის დიდი წინაპირობაა.**



შესვენების შემდეგ „ტორპედო“ უფრო უკეთ ათამაშდა. ქუთათურებმა განსაკუთრებით ფლანგებზე გაილაღეს. დოლიძისა და სეთურიძის სწრაფ გარღვევებს სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. 48-ე წუთზე დოლიძემ ძლიერად ჩააწოდა საჯარიმოში, მეკარეს ბურთი გაუვარდა, მაგრამ დათუნაიშვილმა ვერ დაამატა. 64-ე წუთზე დოლიძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, კობახიძე ჩამოიცილა და გამჭოლი გადაცემა გააკეთა, თუმცა ქუთაისელთაგან იქ არავინ აღმოჩნდა.

ქუთაისელთა აქტიურობამ შედეგი ერთ წუთში მოიტანა: 65-ე წუთზე მასპინძელთა სწრაფი კონტრშეტევა სეთურიძემ ფლანგზე გააგრძელა, მეურვე ჩამოიცილა და ბურთი მეკარის ბაქანთან ჩააწოდა, მეგრელაძემ სიღრმიდან შეეპარა მცველებს და გამარჯვების გოლი გაიტანა — 1:0.

ზესტაფონელებმა მდგომარეობის გამოსწორება სცადეს და სახიფათოდ შეუტიეს. 77-ე წუთზე გრიგალაშვილის პასის შემდეგ დვალმა მცველი ჩამოიცილა და საჯარიმოში შესულმა მეკარესთვის ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა. ორიოდე წუთში კი მან საჯარიმოში ორ ტორპედოელს აჯობა, მაგრამ მიგინეიშვილმა სიტუაცია განმუხტა.

გია გიგატაძის შეგირდებსაც შეეძლოთ საპასუხო შეხვედრას უკეთესი ანგარიშით შეხვედროდნენ. 83-ე წუთზე სეთურიძემ აუტიდან პირდაპირ საჯარიმოში ჩააწოდა ბურთი, ქუთაისელთა ახალგაზრდა ფორვარდმა საბანაძემ შემობრუნებით ძლიერად დაარტყა და მცირედით ააცილა. „ტორპედომ“ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, თუმცა ფინალისტის ვინაობას საპასუხო შეხვედრა გაარკვევს.

**მატჩის შემდეგ:**

**გია გეგუჩაძე, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

— ვულოცავ „ტორპედოს“ გამარჯვებას. ფაქტია, რომ საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ. ვფიქრობ, განმეორებითი შეხვედრა უკეთესი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ უკეთეს მოედანზე ვითამაშებთ. შანსები თანაბარია და ვეცდებით, შინ ეს შანსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ.

**გია გიგატაძე, „ტორპედოს“ მთავარი მწვრთნელი:**

— წინ ძალიან რთული 90 წუთი გველის. მძიმე თამაში იქნება. შანსები თანაბარია და კიდევ ერთხელ ვეცდებით ჩვენი გულშემატკივრების გახარებას.

**გაგრა — ვიტ ჯორჯია 3:0**

**18 აპრილი. მერანის სტადიონი**

*1:0 კვანტალიანი (15), 2:0 ოვონიკოკო (30), 3:0 ოვონიკოკო (78)*

**გაგრა:** სეფიაშვილი, დ.გიგაური (გაბუნია 60), ტყეშელაშვილი, ხუციძე, კალანდაძე, ნ.ჯიშკარიანი, ზ. ჩხეტიანი, შარიქაძე (ქართველიშვილი 69), გაბედავა (მოსიაშვილი 42), შ.კვანტალიანი, ოვონიკოკო.

**ვიტ ჯორჯია:** ა.მიქაბერიძე, ხურცილავა, კასრაძე, ადამაძე, ჭანკვეტაძე, ვასაძე (მაისაშვილი, 79), გურამ გურეშიძე, კორიფაძე, ბეჭვაია, ჯანელიძე, ჩიმაკაძე

მატჩმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა, რომელთა შორის 18 წლის ნიგერიელი ოვონიკოკო გამოირჩეოდა, ხოლო ვეტერინართა დაცვა ხშირად სცოდავდა.

მე-15 წუთზე სეფიაშვილმა საგოლე კომბინაცია დაიწყო — მის მიერ ფეხით თამაშში შეტანილი ბურთი, მიწაზე დავარდნის შემდეგ, საკუთარ საჯარიმოსთან ახლოში მყოფ ვიტელთა მცველებს თავზე გადაახტა, შალვა კვანტალიანი არდალიონ მიქაბერიძესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გაიხსნა — 1:0.

30-ე წუთზე ვიტელების მორიგი უშედეგო შეტევის ბოლოს, საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე გიორგი გაბედავამ საკუთარი საჯარიმოდან გრძელი პასი გააკეთა მეტოქის ნახევარზე, სადაც ოვონიკოკომ საჰაერო დუელი მოუგო გურამ ადამაძეს და ბურთს თავადვე დაეუფლა. ნიგერიელმა, კარიდან წინ გამოსული კიპერი შენიშნა და ბურთი მისგან შორეულ კუთხეში ძლიერი დარტყმით გაგზავნა — 2:0.

78-ე წუთზე შეტევაში გართულ თბილისელებს, ოვონიკოკო კვლავ გაეპარათ — ნიგერიელმა სისწრაფეში დაჯაბნა ლაშა კასრაძე და მიქაბერიძესთან პირისპირ დარჩა, რომლის ეფექტური ფინტით მოტყუება და ბურთიანად ცარიელ კარში შესვლა ამჯობინა - 3:0.

**მატჩის შემდეგ:**

**მერაბ კოჭლაშვილი, „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელი:**

— მეტოქეს ჩვენმა დაცვამ სამივე გოლი, რომ იტყვიან, აჩუქა. ასეთ შეცდომებს ნორმალური გუნდი არ გაპატიებს. კარგ მოედანზე „გაგრა“ ჩვენმა გუნდმა, წესით, უნდა გააგდოს. ვთვლი, რომ პირველი ლიგის თუნდაც ლიდერთან ასეთი შედეგის შემდეგ, ვალდებული ვარ გადავდგე თანამდებობიდან.

**ანატოლი პისკოვეცი, „გაგრას“ მთავარი მწვრთნელი:**

— მეტოქე ძალიან კარგად გვყავდა შესწავლილი. □„ვიტ ჯორჯიას“□ თამაშის არაერთი ვიდეო-კასეტა გვქონდა ნანახი და მათ დღეს არაფერი განსაკუთრებული არ შემოუთავაზებიათ - ბურთის ჩაგდება და საჯარიმოში მაღალი ბურთის მოგების იმედად ყოფნა. ამას დაცვის ორმაგი ეშელონი დავუპირისპირეთ და შედეგი თავადაც ნახეთ - ბიჭებს მადლობა თავდადებისთვის.

# „დინამო“ ლიდერის დევნაშია

**დინამო — ბაია 2:1**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი**

*0:1 ეხვაია (48), 1:1 კოშკაძე (68), 2:1 ხმალაძე (90 პენ)*

**დინამო:** ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, ჰომოლა, ხმალაძე, რობერტინიო, კახელიშვილი, ფირცხალავა (თექთურმანიძე 58), არზიანი (გ.კვარაცხელია 83), კოშკაძე, ტატანაშვილი (ფანცხავა 55)

**ბაია:** სომხიშვილი, აქუბარდია (სვირავა 14), აფაქიძე, შონია, რ.ონიანი, სიხარულია, რიგვავა (აკობია 72), ქობალია, ეხვაია (ქირია 75), ქვარცხავა, სამუშია

ზუგდიდელებმა, სანამ ძალა ეყოთ, მეტოქეს არაფერი დაუთმეს კი არა, უკეთ ითამაშეს და პირველ ტაიმში ორი რეალური საგოლე მომენტი გააცუდეს. თუმცა, მატჩის ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში, გუნდმა ვერც ფიზიკურად გაძლო და გამოცდილებამაც თავისი გაიტანა. „დინამომ“, 3 ქულა ტანჯვა-წვალებით მოიპოვა და ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნა.

„ბაიამ“ მეტოქის კართან პირველი სახიფათო მომენტი 21-ე წუთზე შექმნა, როდესაც გიორგი ქვარცხავამ მარცხენა ფლანგიდან პასი თბილისელთა საჯარიმოში გააკეთა, სადაც ვარდნაში ჯერ ნიკა ფირცხალავამ ვერ მოიგერია ბურთი ხეირიანად, შემდეგ — ირჟი ჰომოლამ, ხოლო ირაკლი ქობალიამ, დაახლოებით 12-13 მეტრიდან, ხელიდან ანგარიშის გახსნის რეალური შანსი გაუშვა. ორ წუთში, გურამ სამუშიამ მარჯვენა ფრთიდან კუთხური შეასრულა, ქობალიამ „დინამოს“ მცველების შეცდომით ვერ ისარგებლა, მაგრამ ბურთი როინ ონიანს მიუვიდა, რომლის დარტყმული, გიორგი ლორიამ ნახტომში მოიგერია და გუნდი გოლის გაშვებისგან გადაარჩინა.

ამის შემდეგ, მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი — 33-ე წუთზე, მარჯვენა ფლანგზე გიორგი კახელიშვილმა ჩაირბინა, ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა და მეტოქის კარის წინ მყოფმა ალექსანდრე კოშკაძემ მცველთან ორთაბრძოლაში არაზუსტად დაარტყა. ორიოდე წუთში, მარჯვენა ფლანგიდან გულვერდ თომაშვილის პასის მერე, იმავე კოშკაძემ მიზანს თავით ააცილა. ტაიმის მიწურულს, ონიანმა საკუთარ საჯარიმოში ბურთი უხეიროდ მოიგერია და კახელიშვილის დარტყმული, გიორგი სომხიშვილმა იოლად მოიგერია.

„ბაიასგან“ ასეთი წინააღმდეგობის გაწევას არავინ მოელოდა, მაგრამ თბილისელებისთვის მატჩის მეორე ნახევარი კიდევ უფრო ცუდად დაიწყო. 48-ე წუთზე, ზუგდიდელთა შეტევის დროს, დათა რიგვავას პასის შემდეგ, ეხვაიამ ლევან კაკუბავას აჯობა და მარჯვენა მახვილი კუთხიდან ლორიას გაუტანა. ვიდრე □„დინამო“□ მიღებული შოკიდან გამოვიდოდა, 54-ე წუთზე ზვიად სიხარულია ერთ მოწინააღმდეგეს გაცდა და დაარტყა და ბურთი ამჯერად ძელს მოხვდა.

კაჭარავამ შეტევის გასაძლიერებლად თამაშში ვახტანგ ფანცხავა ჩართო, რომელმაც „დინამოსთან“ კონტრაქტი იმ დღეს გააფორმა და საბოლოოდ, თბილისელთა მწვრთნელს ცვლილებამ გაუმართლა. მე-60 წუთზე, ონიანი თავისი საჯარიმოდან ბურთის ამოტანას ცდილობდა, მაგრამ ფანცხავამ აართვა და სომხიშვილთან პირისპირ გასულმა მიზანს ააცილა. 63-ე წუთზე ეხვაიამ „დინამოს“ ორ მცველთან ბურთისთვის ბოლომდე იბრძოლა და საბოლოოდ, ეპიზოდი შორი მანძილიდან ქობალიას სახიფათო, თუმცა უზუსტო დარტყმით დასრულდა. 68-ე წუთზე, კოშკაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა შეასრულა და თანაფარდობა აღადგინა — 1:1.

ამის შემდეგ „დინამოს“ ტერიტორიული უპირატესობა აშკარა გახდა და 71-ე წუთზე, ზურაბ არზიანის შორეულმა სახიფათო დარტყმამ ვერ მიაღწია მიზანს, ხოლო ერთ წუთში უკვე გიორგი თექთურმანიძეს უმტყუნა მიზანმა. 76-ე წუთზე არზიანმა მარცხენა ფლანგიდან საჯარიმო შეასრულა და ფანცხავამ თავით კარიდან გამოსულ სომხიშვილს დაასწრო, მაგრამ ბურთი ზედა ძელს გადაცდა.

კაჭარავა ვა-ბანკზე წავიდა და გივი კვარაცხელია ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე შემოიყვანა — გათვლა ძნელი მისახვედრი არ იყო, ტანმაღალ ცენტრალურ მცველს, ზუგდიდელთა საჯარიმოში საჰაერო ორთაბრძოლები უნდა მოეგო. 86-ე წუთზე, მარცხნიდან „სტანდარტული“ შესრულების შემდეგ, ლევან ხმალაძემ გოლი კი გაიტანა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა მასზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. 90-ე წუთზე, კაჭარავას ცვლილებებმა ნაყოფი გამოიღო — თომაშვილმა მაღალი ტრაექტორიით გააკეთა გადაცემა ზუგდიდელთა საჯარიმოში, სადაც ყველას კვარაცხელიამ აჯობა და ბურთი ფანცხავას დაუგდო, რომელმაც ქირია იოლად მოატყუა და მცველიც იძულებული გახდა თამაშის წესი დაერღვია — სილაგავამ პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი ზუსტად ხმალაძემ შეასრულა და „დინამომ“ 3 ქულა მოიპოვა.

**მატჩის შემდეგ:**

**ელგუჯა ქომეთიანი, „ბაიას“ მთავარი მწვრთნელი:**

— დაძაბული თამაში გამოვიდა. სანახაობრივადაც არ იყო ცუდი. ჩვენ ამ თამაშისთვის ფიზიკურად ბოლომდე მზად არ ვიყავით. არ გვაქვს ის პირობები, რომ ერთ ტემპში ვითამაშოთ და ამიტომ წავაგეთ. ვიდეოფირს ვნახავ და პენალტის შესახებ კომენტარს ამის შემდეგ გავაკეთებ.

**კახა კაჭარავა, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი:**

— პირველ ტაიმში, ზუგდიდელებმა ორგანიზებულად ითამაშეს. მეორე ტაიმი განსხვავებული იყო. პროფესიონალი ფეხბურთელი საქმეს ყოველთვის სერიოზულად უდგება. პირველ ტაიმში, ჩვენი ფეხბურთელების მხრიდან არასერიოზული მიდგომა იყო. ეგონათ გაისეირნებდნენ და ისე მოიგებდნენ. მეორე ტაიმში, როდესაც გონს მოეგნენ — ითამაშეს. „ბაია“ საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე კარგი გუნდია. ფანცხავამ გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. ჩვენთვის ნებისმიერი თამაშის ფრედ დასრულება ჩემპიონობისთვის ბრძოლისთვის შანსის დაკარგვის ტოლფასია. ამიტომ, ფეხბურთელები დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებიან. ყოველთვის ასე არ არის, რომ გახვიდე და მოიგო.

**სატურნირო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზესტაფონი | 30 | 19 | 6 | 5 | 55:15 | 63 |
| 2.ოლიმპი | 30 | 17 | 6 | 7 | 42:24 | 57 |
| 3.დინამო | 29 | 16 | 8 | 5 | 42:15 | 56 |
| 4.ტორპედო | 30 | 10 | 11 | 9 | 21:18 | 41 |
| 5.ვიტ ჯორჯია | 29 | 12 | 3 | 14 | 29:33 | 39 |
| 6.ბაია | 30 | 11 | 5 | 14 | 27:39 | 38 |
| 7.სიონი | 30 | 9 | 8 | 13 | 23:34 | 35 |
| 8.კოლხეთი | 30 | 8 | 8 | 14 | 18:37 | 32 |
| 9.ცხინვალი | 30 | 8 | 8 | 16 | 27:37 | 26 |
| 10.სამტრედია | 30 | 6 | 7 | 17 | 23:55 | 25 |

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 15 ბურთი, გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 13, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი), რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) — 12-12, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-მანჩესტერი ........................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 20 | 10 | 3 | 70:32 | 70 |
| 2.არსენალი | 32 | 18 | 9 | 5 | 63:31 | 63 |
| 3.ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 58:26 | 61 |
| 4.სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50:30 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:36 | 53 |
| 6.ლივერპული | 33 | 14 | 7 | 12 | 46:39 | 49 |
| 7.ევერტონი | 34 | 11 | 14 | 8 | 47:41 | 47 |
| 8.ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46:43 | 43 |
| 9.ნიუკასლი | 33 | 10 | 10 | 13 | 48:47 | 40 |
| 10.ას. ვილა | 33 | 10 | 10 | 13 | 42:54 | 40 |
| 11.ვესტ ბრომ. | 33 | 10 | 9 | 14 | 47:62 | 39 |
| 12.ფულემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36:36 | 38 |
| 13.სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39:42 | 38 |
| 14.ბირმინგემი | 31 | 8 | 14 | 9 | 32:41 | 38 |
| 15.სანდერლ. | 34 | 9 | 11 | 14 | 37:50 | 38 |
| 16.ბლექბერნი | 33 | 9 | 8 | 16 | 40:54 | 35 |
| 17.უიგანი | 32 | 7 | 13 | 12 | 32:50 | 34 |
| 18.ბლექპული | 33 | 9 | 6 | 18 | 47:69 | 33 |
| 19.ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 39:58 | 32 |
| 20.ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:56 | 32 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-მიდლსბრო ........................ 3:1

**იტალია. თასი**

რომა-ინტერი ........................ 0:1

**საფრანგეთი. თასი**

ნიცა-ლილი ........................ 0:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დანდი-რეინჯერსი ........................ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეინჯერსი | 33 | 26 | 2 | 5 | 72:28 | 80 |
| 2.სელტიკი | 31 | 24 | 4 | 3 | 66:18 | 76 |
| 3.ჰართსი | 33 | 18 | 7 | 8 | 47:31 | 61 |
| 4.დანდი | 33 | 14 | 10 | 9 | 44:41 | 52 |
| 5.კილმანროკი | 32 | 13 | 8 | 11 | 47:37 | 47 |
| 6.მოზერველი | 33 | 13 | 5 | 15 | 36:43 | 44 |
| 7.ინვერნესი | 32 | 9 | 11 | 12 | 41:40 | 38 |
| 8.ჰიბერნიანი | 33 | 10 | 6 | 17 | 36:52 | 36 |
| 9.სტ.ჯონსონი | 33 | 8 | 10 | 15 | 18:39 | 34 |
| 10.აბერდინი | 33 | 9 | 4 | 20 | 34:54 | 31 |
| 11.სტ.მირენი | 33 | 7 | 7 | 19 | 31:54 | 28 |
| 12.ჰამილტონი | 33 | 3 | 10 | 20 | 20:55 | 19 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-იანგ ბოიზი ........................ 2:2
ბელინცონა-სიონი ........................ 2:2

**პოლონეთი. თასი**

პოდბესკიდჟე-ლეხი ........................ 2:3

**შვედეთი. ალსვენსკა**

გაისი-დიურგარდენი ........................ 2:1

**კალათბურთი**

**ნბა. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

დალასი-პორტლენდი ........................ 101:89
სერიის ანგარიში ........................ 2:0
ბოსტონი-ნიუ იორკი ........................ 96:93
სერიის ანგარიში ........................ 2:0
ორლანდო-ატლანტა ........................ 88:82

*ზაზა ფაჩულია: 2 ქულა, 8 მოხსნა*

სერიის ანგარიში ........................ 1:1

**წყალბურთი**

**მსოფლიო ლიგა**

ხორვატია-იტალია ........................ 6:6(4:2პ)
თურქეთი-რუმინეთი ........................ 5:11
მაკედონია-გერმანია ........................ 9:9(5:3პ)
ჰოლანდია-საბერძნეთი ........................ 3:7
სერბეთი-ესპანეთი ........................ 10:10(4:2პ)
ჩერნოგორია-რუსეთი ........................ 14:3

**ჩოგბურთი**

**ატპ. ბარსელონა. თიხა**

ალმაგრო-ანდუჰარი ........................ 2:0
მონფილსი-ჰაასე ........................ 3:6;7:6;6:2
რაონიჩი-შტეპანეკი ........................ 6:4;6:2
დოლგოპოლოვი-დავიდენკო ........................ 4:6;6:7
ნიშიკორი-მაშადუ ........................ 6:1;6:4
ფერერო-ზვერევი ........................ 6:4;7:5
მონაკო-ვაონიცი ........................ 3:6;2:6

**ვტა. შტუტგარტი. თიხა**

პეტკოვიჩი-პაჩეკი ........................ 3:6;6:2;6:2
ზვონარევა-პავლუჩენკოვა ........................ 3:6;6:4;6:2
ბარტოლი-ბარუა ........................ 4:6;2:6
სკიავონე-რადვანსკა ა. ........................ 1:6;3:6

**ჰოკეი**

**ნჰლ. პლეი-ოფი 4 მოგებამდე**

ჩიკაგო-ვანკუვერი ........................ 7:2
სერიის ანგარიში ........................ 1:3
ლოს ანჯელესი-სან ხოსე ........................ 5:6(ოტ)
სერიის ანგარიში 1:2

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ლადო აღნიაშვილის შემოქმედებას წიგნი მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცნობილი ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგვოდიდაქტიკოსისა და ლექსიკოგრაფის ლადო აღნიაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოცემული წიგნის პრეზენტაცია გაიმართა. მკვლევარ ციური ბერიძის წიგნი მიეძღვნა გამოჩენილი ეთნოგრაფის, ფოლკლორისტისა და პუბლიცისტის ლადო აღნიაშვილის დაბადებიდან 150, ქართული ხოროს დაარსების 125 და იოსებ რატილის დაბადებიდან 170 წლისთავს.

აღნიაშვილების გვარის მკვლევარმა ციური ბერიძემ შეისწავლა ამ გვარის გენეალოგიის მეორე შტო, საიდანაც ჩანს, რომ დიმიტრი აღნიაშვილს 9 შვილი ჰყავდა. საზოგადო საქმეებით გატაცებული ლადო აღნიაშვილს არ შეუქმნია ოჯახი. მათ გვარში ბევრი იყო სასულიერო პირი, პედადგოგი, საზოგადო მოღვაწე, დიდად განათლებული პიროვნებები. ლადო აღნიაშვილის პირველი ლექსიკოლოგიური მცდელობები დაკავშირებულია რუსული ენის სახელმძღვანელოსა და რუსულ-ქართული უბის ლექსიკონის გამოცემასთან. გამოიცა მისი რუსულ-ქართული „ნამცეცა“ უბის ლექსიკონი.

ლადო აღნიაშვილმა შექმნა ქართული ხალხური სიმღერების ეთნოგრაფიული გუნდი, შემდგომში ცნობილი სახელწოდებით „ქართული ხორო“. პირველი კონცერტი გაიმართა ქართულ თეატრში. მან განახორციელა ორი წარმოდგენა-ფეერია ქართულ ხალხურ თქმულებებზე დაყრდნობით — „ყარამანიან“ და „ტარიელი“. ლადო აღნიაშვილი ქართული თეატრის ზედმხედველიც იყო. მან შეკრიბა ხალხური ზღაპრები (სულ 15 ზღაპარი), რომელიც „ქართველთა წიგნების გამომცემელმა ამხანაგობამ“ წიგნად გამოსცა. მის სახელთან არის დაკავშირებული ოჯახში საკითხავი „ახალი ანბანის“ 8 წიგნის გამოცემაც. ის სპარსეთშიც კი წავიდა იმ მიზნით, რომ შეესწავლა სპარსეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე ქართველების მიერ შემონახული ქართული ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. ამ მოგზაურობას მან ორი ნაშრომი მიუძღვნა.

დაუღალავმა ხანგრძლივმა შრომამ წელში გაწყვიტა ლადო აღნიაშვილი და სულიერად მოქანცა. იგი სულიერად დასნეულდა, დაემართა ტვინის სიმდაბლე. მისმა ძმამ ილიამ იგი მოათავსა მიხეილის საავადმყოფოში, სადაც 1904 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა კიდეც.

როგორც კულტურის სამინისტროში განმარტეს, ნაშრომში ასახულია ლადო აღნიაშვილის, როგორც პირველი „ქართული ხოროს“ დამაარსებლის, გამოჩენილი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, ლინგოვდიდაქტიკოსის, ლექსიკოგრაფის, ფოლკლორისტის, ეთნოგრაფისა და პუბლიცისტის ცხოვრება და მოღვაწეობა. წიგნი დაიბეჭდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს“ მიერ. ლადო აღნიაშვილის შესახებ ეს პირველი სრულყოფილი გამოცემაა.

კულტურის სამინისტროს უშუალო ინიციატივით „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა რეგიონული შეხვედრა, რომელსაც მასპინძლობდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. შეხვედრას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო პროგრამებისა დეპარტამენტის დირექტორი მანანა მუსხელიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში არჩილ ყარაულაშვილი, ევროინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი. რეგიონული სემინარი ჩატარდა ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოსთან პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმის ფარგლებში. მასზე განიხილებოდა აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობა კულტურის სფეროში. სემინარში მონაწილეობდნენ ევროკომისიისა და აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონის ქვეყნების დელეგაციები. რეგიონულ სემინარზე განიხილებოდა კულტურის სფეროში საერთო რეგიონული პრიორიტეტები და მიმართულებები, ასევე მიმდინარეობდა მსჯელობა ევროკავშირთან კულტურის სფეროში უფრო ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმების შემუშავებაზე.

# ვალერიან შიუკაშვილმა საუკეთესოები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

ცნობილმა ქართველმა პიანისტმა, „არტ აკადემიის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა ვალერიან შიუკაშვილმა ანაკლიაში დაგეგმილ ხელოვნების სინთეზურ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. ორდღიანი პროექტის ორგანიზატორი გალერეა „პორტ არტია“.



ანაკლიაში წარმოდგენილი იყო თანამედროვე კონცეპტუალური მხატვრობისა და კლასიკური მუსიკის სინთეზი. ღონისძიება გაიმართა სასტუმრო „ანაკლიაში“. საღამოს გახსნაზე ვალერიან შიუკაშვილმა შეკრებილი საზოგადოებისთვის დაუკრა, რის შემდეგაც დაინტერესებულმა მაყურებელმა პერფორმანსი „ტრანსი“ იხილა. მოხდა მისი კონცეფციის წარდგენა და ტრანსფორმაცია. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საგამოფენო ექსპოზიციის თავისუფალი დათვალიერება. პირველი დღის დასასრულს კი „არტ აკადემიამ“ თავისი ჯილდოთი თემურ ჯავახიშვილი დააჯილდოვა.

პროექტის მეორე და დასკვნით დღეს ვალერიან შიუკაშვილი შეხვდა და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა ახალგაზრდა მონაწილეებსა და მათ პედაგოგებს. ღონისძიების პროგრამის ფარგლებში შედგა „არტ აკადემიის“ მიერ ღონისძიებაზე მოწვეული 2 ახალგაზრდა მუსიკოსის გამოსვლა, მასტერ კლასზე მიწვეული ახალგაზრდა მონაწილეების გამოსვლა. ვალერიან შიუკაშვილმა კი თითოეულ მონაწილეს მასტერ-კლასი ჩაუტარა.

ანაკლიაში გამართული ორდღიანი ღონისძიება მონაწილეთა დაჯილდოებითა და საზეიმო გალაკონცერტით დასრულდა.

# ეკვადორის დელეგაცია საქართველოში

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ ეკვადორის დელეგაციასთან შეხვედრა გამართა და სამომავლო გეგმები განიხილა. უკვე გადაწყდა, რომ მაისის თვეში საქართველოში ეკვადორის კულტურის დღეები ჩატარდება.

სამინისტროში გამართული შეხვედრის მიზანი ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარებაა. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები დაათვალიერებენ ეროვნულ გალერეას, ეწვევიან რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებს, შეხვედრა შედგება ეროვნულ კინოცენტრში, გადაწყდება სამომავლოდ ეკვადორელი არტისტების ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მიღება. სტუმრები ასევე იმოგზაურებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის ეწვევიან სვანეთს, სიღნაღს და მცხეთას.

**ნიკოლოზ რურუა, კულტურის მინისტრი:**

— ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ მაისში ჩვენთან ეკვადორის კულტურის დღეები ჩატარდება. ჩვენს ქვეყანაში მათი კულტურა მრავალფეროვნად იქნება წარმოდგენილი. ეკვადორი კულტურული კუთხით ნამდვილად საინტერესო სახელმწიფოა, ამიტომ მათი ფოლკლორი, კინო და ხელოვნების სხვა მიმართულებები ქართველი საზოგადოების დიდ ინტერესს გამოიწვევს. უკვე შევთანხმდით, რომ ქართული ფოლკლორის ფესტივალში ეკვადორელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

— ეკვადორში არ გაიმართება საქართველოს კულტურის დღეები?

— რა თქმა უნდა, საუბარი ამაზეც გვქონდა. ეკვადორის დელეგაცია საქართველოში პირველად ჩამოვიდა. ჩვენ მათ ვიზიტის ფარგლებში ყველა იმ ღირსშესანიშნაობას დავათვალიერებინებთ, რომელიც ქართულ კულტურას და სულიერებას უსვამს ხაზს. ჩვენ უკვე თითქმის მივაღწიეთ შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული კულტურის დღეები ეკვადორშიც ჩატარდეს.

# დავით მაღრაძე კულტურის ელჩია

ეკა ირემაშვილი



ქართველი პოეტი დავით მაღრაძეს საქართველოში შვეიცარიის კულტურის საერთაშორისო საზოგადოების „უნივერსუმის“ კულტურის ელჩის წოდებით დაჯილდოვდა. როგორც შვეიცარიის კულტურის საერთაშორისო საზოგადოების „უნივერსუმის“ საპრეზიდენტო საბჭოს სპეციალურ სიგელშია აღნიშნული, საპატიო ტიტული დავით მაღრაძეს ამავე საზოგადოების პრეზიდენტის აკადემიკოს ვალერიო ჯოვანი რუბერტოს წარდგინების საფუძველზე მიანიჭეს.

საერთაშორისო საზოგადოების მიერ გაცემულ საპატიო სიგელში ნათქვამია:

„წინამდებარე სიგელი განიჭებთ სრულ უფლებამოსილებას შვეიცარიის კულტურის საერთაშორისო საზოგადოების „უნივერსუმის“ სახელით იმოქმედოთ საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, რამეთუ ამავე სიგელით ამიერიდან გენიჭებათ „უნივერსუმის“ ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსი ნებისმიერ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ღონისძიებაზე, სადაც კი მიწვეულ იქნებით“.

ეს მანდატი უვადოა, ამიტომ დავით მაღრაძე ამ წოდებით სასურველ დრომდე ისარგებლებს. ქართველი პოეტის საქმიანობა ამ წოდების მინიჭების შემდეგ კი მჭიდრო კავშირში იქნება შვეიცარიის კულტურის საერთაშორისო საზოგადოების „უნივერსუმის“ საპრეზიდენტო საბჭოსთან.

# გორში ახალგაზრდა ქალი მე-3 სართულიდან გადმოხტა

გორის ცენტრში, სტალინის ქ. №17-ში მდებარე კორპუსის მე-3 სართულიდან ახალგაზრდა ქალი გადმოხტა.

ნათია ნიკუჭაძე სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანა, თუმცა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. ექიმების განცხადებით, დაზარალებულის სიცოცხლის გადარჩენის შანსი პრაქტიკულად არ არსებობს.

ინციდენტის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ხართ თუ არა დესპოტი




1. ხანდახან ცოლს უცხოსავით უნდა მოექცე.
2. თანაგრძნობა გულგრილობის აღმატებული ხარისხია.
3. ზარალს სამარცხვინო შემოსავალი სჯობია.
4. მორცხვ ადამიანს ყველგან ჩაგრავენ, ბაზარშიც და სამოთხეშიც.
5. საკუთარი თავის შეცნობა საჭირო არ არის, შეიძლება გული აგერიოს.
6. ყველა ახლობელზე ერთად ცუდად ნუ იფიქრებ, სათითაოდ სჯობს.
7. მაშველ რგოლს თუ აგდებ, დასახრჩობად განწირულს თავში უნდა მოარტყა.
8. ღორს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, თავის მოკატუნების გარდა.
9. მთავარია, სინდისს ხმა ჩააწყვეტინო, დანარჩენებმა, რამდენიც სურთ, იმდენი ილაპარაკონ.

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**პასუხები**

**0-3 ქულა:** ფრთაშესხმული ანგელოზი ხართ.

**4-6 ქულა:** თანაბრად შეგიძლიათ სხვისი აზრის გათვალისწინებაც და საკუთარის გატანაც, თუმცა ოდნავ მაინც გძლევთ თქვენი დესპოტური ხასიათი.

**7-9 ქულა:** თქვენ ტიპური დესპოტი ხართ. სხვის აზრს ჩანასახშივე ახშობთ.

გ.თ.

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. სინათლის ნაწილაკი, კვანტი; 2. ესპანური წესით დამზადებული ღორის ლორი; 3. საკონდიტრო ნაწარმი; 4. ტვირთის შესანახი სათავსო გემზე; 6. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 8. სქელი, ტყავისებრი ფოთლების მქონე ოთახის დეკორატიული მცენარე; 11. ჩინური ფაიფური; 12. თოკზე მოსიარულე ჯამბაზი; 16. სახელმწიფო ევროპაში; 17. შიკრიკი, ამბის მომტანი; 18. ბარიტის საბადო რაჭაში.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ცეკვა, რომელიც ახალი წლის პირველ დღეს სრულდებოდა; 5. შოკოლადის ხე; 7. ცხენოსნობის ერთ-ერთი სახეობა; 9. ფრინველთა კვერცხების შემსწავლელი; 10. მსუბუქი, აივნიანი სახლი ინდოეთში; 13. საზაფხულო ფეხსაცმელი; 14. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი; 15. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საღამოს სადილი; 20. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 21. „ფორმულა 1“-ში მონაწილე ავტომრბოლელთა გუნდი; 22. მქრქალი, ცისფერი ძვირფასი ქვა.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სუმო; 2. ხიხვი; 3. ეზოპე; 4. ფაცხა; 5. სუმიდა; 6. ჯავახეთი; 8. ენტომოლოგი; 10. ტელეფერიკი; 11. როზარიუმი; 14. როზეტი; 15. გუთანი; 16. მაგმა.

**თარაზულად:** 1. საჩხერე; 4. ფასკუნჯი; 7. მესხი; 9. ჰერტა; 12. კაბარე; 14. რუტერი; 17. გლორია; 18. კრიპტოგრამა; 19. ვიოლინო; 20. ქაშაყი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჯულელი; 2. ჯულეპი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. მიანმა; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. აჭარა; 17. ვისლა; 18. ფერმა.

**თარაზულად:** 1. ჯორჯაძე; 5. წალკა; 7. რეზიუმე; 9. ეკლესია; 10. ლამარია; 13. მუხიანი; 14. ბოინგი; 15. ვაჩა; 19. ბაბაჭუა; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 22. ციცაგი.

# იტალიამ ჩვენი ადგილი მოგვიჩინა

დასაწყისი მე-16 გვერდზე

მეტოქეს ბრძოლა გაუმართეს. ანგარიშში სხვაობა მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე ხუციშვილის ჯარიმით შემცირდა. რასაც ლომთაძის კარგი გარღვევა და იტალიელთა ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში შერკინება მოჰყვა. რამდენიმე მიძალების შედეგად, შარიქაძემ ლელო გაიტანა, მაგრამ რეალიზაცია არაზუსტი იყო — 11:29. ქართველები კიდევ უკეთ ათამაშდნენ, მოინდომეს და 54-ე წუთზე, სორდიამ მეორე ლელო გაიტანა, თუმცა რეალიზაცია ახლაც არაზუსტი აღმოჩნდა — 16:29. იმედი გაჩნდა და საქართველოს ნაკრებმა გაიბრძოლა, მაგრამ იტალიელებმა თავი კარგად დაიცვეს, მერე შეტევისთვისაც მოიცალეს, 65-ე წუთზე თავისი მეხუთე ლელო გაიტანეს და ზუსტი რეალიზაციით, საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს — 16:36.

ამრიგად, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს იმედად, შარშანდელი მიღწევის გამეორება და მესამე ადგილის დაკავება დარჩა. ამისათვის, მათ გერმანიის დამარცხება მართებთ, რომელიც შოტლანდიამ გაანადგურა და ფინალში იტალიას დაუპირისპირდება.

მესამე ადგილისთვის: საქართველო-გერმანია; ფინალი: შოტლანდია-იტალია.

მ. ჟ.

# სირიაში ნახევარსაუკუნოვანი საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა

სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ასადის მმართველობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო გამოსვლების მიუხედავად, ქვეყნის მთავრობამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობა გააუქმა.

დემონსტრანტების ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას სწორედ საგანგებო მდგომარეობის გაუქმება წარმოადგენდა.

ორშაბათს კვლავ სროლა ისმოდა და სამთავრობო ჯარები კვლავ გამოსვლების ალკვეთას ცდილობდნენ.

საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მოედანს, რომელიც ალ საას (საათის მოედნის) სახელწოდებით არის ცნობილი, ოპოზიციამ ტაჰრირი დაარქვა, კაიროს მოედნის მიხედვით, რომელიც ჰოსნი მუბარაქის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლების ეპიცენტრად იქცა.



გარდა ამისა, გაუქმდა უშიშროების სახელმწიფო სასამართლო, რომელიც პოლიტიკური პატიმრების პროცესებს უძღვებოდა. მიღებულია კანონი, რომელიც მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების უფლებას იძლევა.

იმავდროულად, ქვეყნის შს მინისტრმა მოჰამედ იბრაჰიმმა მოსახლეობას არაორაზროვნად მოუწოდა, რომ მასობრივი გამოსვლები არ ღირდა.

მიმომხილველების თქმით, ეს ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებები მიანიშნებს, რომ სირიის მთავრობის მაღალ ეშელონებში ცხარე დებატები მიმდინარეობს.

იმავდროულად, სირიის სიდიდით მესამე ქალაქ ხომსში დაძაბული ვითარება რჩება. 5 ათასამდე დემონსტრანტმა ცენტრალური მოედანი დაიკავა. ისინი აცხადებენ, რომ აქციას გააგრძელებენ მანამ, სანამ ასადი პრეზიდენტის პოსტს არ დატოვებს.

დემონსტრანტები ბლოკპოსტების ორგანიზებას ცდილობდნენ, რათა მოედანზე მხოლოდ უიარაღო ადამიანების შესვლა ყოფილიყო შესაძლებელი.

თვითმხილველების თქმით, სირიის უშიშროების ძალებმა დემონსტრანტებს დაშლისაკენ მოუწოდეს, შემდეგ კი მათ წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და საბრძოლო ტყვიები გამოიყენეს.

შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა.

ჰომსის მოსახლეობის თქმით, სირიაში რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარე არეულობის შედეგად 200-დე ადამიანი დაიღუპა. სირიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მასობრივმა მღელვარებამ ქვეყანაში შეიარაღებული ამბოხების მასშტაბებს მიაღწია. სამინისტრომ განაცხადა, რომ წესრიგის აღსადგენად გადამჭრელი ზომების მიღებას არ მოერიდება.

სამინისტროს განცხადების თანახმად, ქალაქებში ხომსსა და ბანიასში დაწყებული გამოსვლები სალაფისტური ორგანიზაციების მიერ არის ორგანიზებული.

სალაფიზმი სუნიტური ისლამის რადიკალური მიმდინარეობაა. მრავალი არაბული სახელმწიფო სალაფისტებს ფუნდამენტალისტებად მიიჩნევს და ალ კაიდას უკავშირებენ.

სირიის ოფიციალური საინფორმაციო საშუალებების თანახმად, ქალაქ ხომსში მაღალი რანგის რამდენიმე სამხედრო პირი და მათი ოჯახის წევრები მანიფესტანტებმა დახოცეს. ქალაქში კვირას მომხდარი არეულობის შედეგად რვა ადამიანი დაიღუპა. მღელვარება წინასწარ პატიმრობაში აყვანილი ადგილობრივი უხუცესის საკანში გარდაცვალებას მოჰყვა.

ბაშარ ასადი, რომელმაც პრეზიდენტის სავარძელი მამის, ჰაფეზ ასადისაგან მემკვიდრეობით მიიღო, ხელისუფლების სათავეში უკვე 11 წელია რაც იმყოფება.

# ბარსელონას ცნობილ ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს



ესპანეთში, ქალაქ ბარსელონაში წმინდა ოჯახის ტაძარში გაჩენილი ხანძრის შედეგად 1500-მდე ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო.

ეს ტაძარი ბარსელონას მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს და სავარაუდოდ ცეცხლი მას განგებ წაუკიდეს.

ოთხი ადამიანი სასუნთქი გზების დამწვრობით საავადმყოფოში მოხვდა.

ხანძრის გაჩენის ეჭვით ერთი ადამიანია დაკავებული. სავარაუდოდ, მან ცეცხლი მღვდელმსახურების ტანისამოსს წაუკიდა. პოლიციელების თქმით, დაკავებული 55 წლისაა, იგი არაადეკვატურად იქცეოდა და ჯიბეში რამდენიმე სანთებელა უნახეს.

წმინდა ოჯახის ტაძარს ბარსელონაში ცოდვების მონანიების ტაძარსაც უწოდებენ. იგი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი.

მომხდარი ინციდენტიდან რამდენიმე საათის შემდეგ მორწმუნეებსა და მრავალრიცხოვან ტურისტებს ტაძარში შესვლის ნება დართეს.

ბარსელონას მერი ხორდი ხეროუ თითქმის მაშინვე გაჩნდა შემთხვევის ადგილას.

წმინდა ოჯახის ტაძარი ბარსელონას სავიზიტო ბარათი და ესპანელი თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვრები ქრისტიანი მლოცველების მასობრივი პილიგრიმობის ადგილია.

ყოველწლიურად ამ ტაძარში ორ მილიონამდე ადამიანი სტუმრობს.

ქალაქის მერის თქმით, ცეცხლის შედეგად ტაძარი არ დაზარალებულა, თუმცა ავეჯი გამოსაცვლელი გახდა.

ტაძრის მშენებლობა კატალონიელი არქიტექტორის ანტონიო გაუდის ხელმძღვანელობით 1882 წელს დაიწყო. რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იგი მშენებლობას ხელმძღვანელობდა.

თუმცა 1926 წელს მისი გარდაცვალების შემდეგ სამშენებლო სამუშაოების ტემპი ძალიან შენელდა.

შენობა, რომლის აგებასაც გაუდი ვარაუდობდა, ჯერ არ დასრულებულა. თანამედროვე არქიტექტორების შეფასებით, მის დასრულებას კიდევ 15 წელი დასჭირდება.

# მიშელ ობამას თვითმფრინავი ავარიულ სიტუაციაში აღმოჩნდა

ბოინგ 737 ტიპის ავიალაინერი, რომელშიც აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა იმყოფებოდა, იძულებული გახდა ვაშინტონის აეროპორტში დაშვება შეეჩერებინა. სავარაუდოდ, მიზეზი დისპეტჩერის შეცდომა იყო.





აეროპოტში დაშვების დროს მიშელ ობამას თვითმფრინავი დასაშვებზე უფრო მეტად მიუახლოვდა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავს სი-17-ს. აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის ნორმატივების თანახმად, ერთი და იგივე აეროპორტზე დაშვების დროს თვითმფრინავები ერმანეთისაგან 8 კილომეტრით უნდა იყვნენ დაშორებული.

პირველი ლედის თვითმფრინავის ეკიპაჟს მეორე წრეზე წასვლა უბრძანეს, რომლის შემდეგაც თვითმფრინავი ვაშინგტონის აეროპორტში უპრობლემოდ დაესვა.

სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ დისპეტჩერის შეცდომის ვერსიის გამოძიება დაიწყო. ამ შეცდომას მეტად სამწუხარო შედეგები შეიძლება გამოეწვია.

სპეციალისტების თქმით, მსგავს სიტუაციაში თვითმფრინავების შეჯახება არ ხდება, მაგრამ ერთი თვითმფრინავის მეორესთან მიახლოების შემდეგ თვითმფრინავების მიერ შექმნილმა ჰაერის ტურბულენტურმა ნაკადებმა მგზავრებში ტრავმები შეიძლება გამოიწვიოს.

ბოლო დროს რამდენიმე მსგავსი შეხვედრა დაფიქსირდა. მიმდინარე წლის მარტის ბოლოს რამდენიმე დისპეტჩერი და მათი უფროსი დაითხოვეს იმიტომ, რომ თანამშრომლებს, უპირატესად ღამის ცვლის დროს, სამუშაო ადგილებზე დაეძინათ.

ერთი კვირის წინ კი ერთ-ერთი კონტროლიორი იმიტომ დაითხოვეს, რომ ოჰაიოს შტატში თვითმფრინავების ფრენისათვის თვალყურის დევნების მაგიერ კინოს უყურებდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# რიყის რეაბილიტაციის პროგრამა 2012 წელს დასრულდება

რიყის რეაბილიტაციის პროგრამა 2012 წელს დასრულდება. პროექტის ფარგლებში მუსიკისა და დრამის თეატრისა და საგამოფენო დარბაზის მშენებლობა იგეგმება.

თბილისის მერიის ინფორმაციით, აღნიშნული ნაგებობის ასაშენებლად უკვე არსებობს პროექტი, რომელიც იტალიელ ატქიტექტორს მასიმილიანო ფუქსას ეკუთვნის. მათივე ცნობით, ცნობილი არქიტექტორი პირადად ჩამოვიდა თბილისში, რათა რიყის ტერიტორია უკეთ შეესწავლა და დაეთვალიერებინა, რათა პროექტი რიყის განაშენიანების გეგმაში სრულყოფილად ჩამჯდარიყო.

ამჟამად თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში არქიტექტორებისა და ექსპერტების მიერ, პროექტის განხილვა მიმდინარეობს.

რიყეზე დაგეგმილია და უკვე მიმდინარეობს პირველი ეტაპის სამუშაოები ერთდონიანი, 320 ავტომობილზე გათვლილი ავტოსადგომის მოსაწყობად, რომელიც მოძრაობას განტვირთავს და ავტომობილების პარკირების პრობლემას მოაგვარებს, როგორც რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე ძველი თბილისის უდიდეს ნაწილში.თბილისის მერიამ რიყის, როგორც ქალაქის ძველი, ისტორიული ნაწილის კომპლექსური განვითარებისა და განაშენიანების კონცეფციაზე მუშაობა 2009 წელს დაიწყო პროგრამა რამდენიმე მასშტაბურ პროექტს მოიცავს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი რიყის პარკის ლანდშაფტური არქიტექტურისა და მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობაა, რომელიც სივრცის ძირითად (95%) ნაწილს მოიცავს და ტერიტორიისათვის რეკრეაციული ფუნქციის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

პარკის მთავარი განმსაზღვრელი და მახასიათებელია: მწვანე არქიტექტურა, დამაკავშირებელი საფეხმავლო ბილიკები, მცირე წყლის არხები და ტბები. პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მცირე ატრაქციონებით საბავშვო და სპორტული მოედნების, უფროსი თაობისთვის დასასვენებელი ადგილისა და ამფითეატრის მოწყობა, სადაც სხვადასხვა მუსიკალური და გასართობი ღონისძიებების გაიმართება. პარკი სხვადასხა ტიპისა და ზომის სანათი საშუალებებით განათდება, რომელიც პარკს განსაკუთრებულ სასიამოვნო ატმოსფეროს შესძენს. ტურისტებისათვისა და დაინტერესებული პირებისთვის საინფორმაციო ცენტრი იფუნქციონირებს. პარკში დამსვენებლისთვის მაქსიმალურად კომფორტული და სასიამოვნო გარემო შეიქმნება.



რიყის პარკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი აქცენტი სამგამზომილებიანი გამოსახულებების მოძრავი მუსიკალური შადრევანია, რომელიც მთავარი საფეხმავლო მოედნით „მშვიდობის ხიდსა“ და ავლაბრის გვირაბის ახალი სეგმენტის სახურავზე მოწყობილ პრომენადეს უკავშირდება. გვირაბის სახურავი გამოყენებულია პარკის ერთ-ერთ ელემენტად და ინტეგრირებულია მთლიან სივრცესთან. რიყის სივრცითი გეგმარების კონცეფციის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „მშვიდობის ხიდი“, რომელიც რიყის პარკს მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან — ერეკლე II -ს, შავთელის, ჩახრუხაძის, ლესელიძის ქუჩებთან, მეიდანთან, კალასთან და აბანოთუბანთან აკავშირებს. მითითებული ქუჩები და უბნები წარმოადგენს ძველი თბილისში ერთ-ერთ ძირითადი ტურისტულ მარშუტს, შესაბამისად ნებისმიერი ტურისტისათვის და დაინტერესებული პირისთვის შესაძლებელია დროის მცირე მონაკვეთში, ავლაბრის მოედნიდან ბარათაშვილის აღმართის გავლით ავლაბრის ტურისტული გადმოსახედთან კიბით ჩასვლა რიყის პარკში და „მშვიდობის ხიდის“ გადაკვეთით აღნიშნულ ქუჩებთან დაკავშირება.

**პრაიმ-ნიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სასახლის ყოფილი დირექტორის

**შოთა დევდარიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი**
**21 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **18.40** სატელევიზიო ოთხთავი – მარკოზის სახარება **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფ. **"შვიდი წელი ტიბეტში"** **04.40** მხ. ფილმი **"პასიონადა"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"საბრალონი"** **01.00** მხ. ფ. **"მატყუარა იაკობი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმფყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** "ახალი გადაცემა" **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოტო **00.00** სერ. **"მეზობლები"** (გან.) **01.00** მხ. ფ. **"ნათლია 3"** (18) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **00.00** **შეგირდი** **00.30** მხ. ფ. **"კერეტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.) **03.10** მხ. ფილმი **"24 საათი ტყვეობაში"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"წყნარი ოკეანის მარგალიტი"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი". **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი. **10.35** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე". **11.00** სუფთა დაფა. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი. **12.15** დოკ. ფილმი "სინა, ადგი ლი უფლისა და ადამიანის შეხ ვედრისა". **13.10** კონცერტი – თ. ამირეჯი ბი. **14.15** დოკ. ფილმი "ვნების კვირა წმინდა მიწაზე". **15.05** ახალი აღთქმის განმარტე ბანი. **15.30** დოკ. ფილმი "წმინდა ოთხ თავი" მე-3ნ. **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუ ნება". **17.30** "განთიადის" არქივიდან. **18.05** საღვთისმეტყველო საუბრები. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.15** დიდმარხვის საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება. **19.30** დოკ. ფილმი "დავით გარეჯი" **1**-ლი ნ. **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** სერობისა და ფეხთბანვის განმარტება. **21.40** წარმატების ფორმულა. **22.20** დოკ. ფილმი "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან". **23.00** საღამოს ლოცვა. **23.30** დიდი მარხვა. **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები. **01.00** პორტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**21 აპრილი**

აშშ დოლარი — 1,6454

ევრო — 2,3806

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6917

რუსული რუბლი — 0,0588

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-17, ღამით — 2-8

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-14, ღამით — 3-6

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-12, ღამით — -2-5

### ამინდის პროგნოზი 21 აპრილისთვის








## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი" შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ფერდი დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა ,აგზნებულობა,შიში,ნერვული აშლილობა,დაძაბულობა)-დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის-,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

**შემადგენლობა:**

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI'') – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი''-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

წამალი **„ფერდი“** იკითხეთ აფთიაქებში.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**


## იტალიამ ჩვენი ადგილი მოგვიჩინა

**18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ნათლად ჩანს, რომ „ექვსი ერის" წარმომადგენელი ქვეყნების გუნდებთან სხვა ევროპულ ქვეყნებს ჯერ კიდევ ბევრი უკლიათ.**



იტალიელებთან ნახევარფინალური მატჩის პირველივე ტაიმში ნათელი გახდა, რომ ქართველები მეტოქესთან ვერაფერს გააწყობდნენ. აპენინელები დომინირებდნენ შერკინებაში, დერეფანში და ბურთს განუწყვეტლივ აკონტროლებდნენ. იტალიელებმა ხაზი მეორე წუთზევე გაჭრეს და ძელებშუა ლელო გაიტანეს, რასაც ზუსტი რეალიზაცია მოჰყვა. მეხუთე წუთზე, ხუციშვილმა მეტოქეს 30 მეტრიდან გატანილი ჯარიმით უპასუხა და მორჩა... მერე მეტოქემ გაილაღა და ჩვენები მათ მასირებულ შეტევებს ველარ აკავებდნენ. მე-14 წუთზე ძელებშუა მეორე ლელო გავიდა, რეალიზაცია კი, ამჯერადაც ზუსტი აღმოჩნდა.

იტალიელებმა შეტევები განაგრძეს და ქართველებს ხშირი დაჯარიმება აიძულეს, შედეგად, ბასილაიამ სინბინი დაიმსახურა, მეტოქემ კი, ჯარიმა გაიტანა. 28-ე წუთზე აპენინელებმა ალამთან თავისი მესამე ლელო მიითვალეს და რეალიზაცია გაუცუდდათ, მერე კი, საქართველოს ნაკრებმა პირველად მოახერხა მეტოქის 22-ში შესვლა, თუმცა, იქ ბურთი დაკარგეს, 80 მეტრიან კონტრშეტევას კი, კვლავ ლელო და ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. ამრიგად, ტაიმი 29:3 დასრულდა და მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყდა.

ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლომდე იბრძოლეს და ერთი ხანობა, ქართველ გულშემატკივარს მატჩის გადარჩენის იმედი დაუბრუნეს. ლევან მგელაძის შეგირდებმა ბურთზე კონტროლი დაამყარეს და

გაგრძელება მე-14 გვერდზე

## იუმორი



— პესიმისტის ჭიქა სანახევროდ ცარიელია, ოპტიმისტისა — სანახევროდ სავსე, რეალისტის ჭიქა კი ჩვეულებრივზე ორჯერ დიდია...

* * *

— ადამიანებთან ცოცხალი ურთიერთბის ფასს ინტერნეტ-პროვაიდერის მომსახურების ღირებულების გადახდისას ხვდები...

* * *

— ვერ ვიტან თანამედროვე ქიმიას, შხაპში თმის კონდინციონერს უფრო გემრიელი სუნი აქვს, ვიდრე კვების პროდუქტებს მაცივარში...

* * *

— არ გაღიზიანებს, რომ შენი ქმარი ყველგან თავის სასიყვარულო თავგადასავლებით ტრაბახობს.

— ილაპარაკოს ინვალიდმა ომზე...

* * *

— ძვირფასო, ეს კაბა მიხდება?

— აბა, გაიხადე... არა, არ გიხდება.

* * *

ოქროს ქორწილში ქმარს გულახდილობის ბუშტი გაუსკდა.

— ეჰ, რომ იცოდეთ, რამდენ ქმარს დავადგი რქები...

ცოლი პასუხობს:

— მე კი მხოლოდ ერთს...

გ. თ.






## ასტროპროგნოზი 21 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, ყველა საქმე გამოგივათ. **ლომი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ქალწული** — არ გადაიღალოთ, ყველა საქმეს დღეს ნუ გააკეთებთ. **სასწორი** — საკუთარ თავზე იზრუნეთ, გადაიხალისეთ გარდერობი. **ღრიანკალი** — ნუ ენდობით უცხო პირებს, ნურც გადაუმოწმებელ ინფორმაციას. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, ყური მიუგდეთ გულისთქმას. **მერწყული** — დღეს დაჯილდოვდებით, თქვენი მცდელობა ფუჭი არ აღმოჩნდება. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გაწყალებული ღვინო; 2. ალპინისტთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 3. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში პოპულარული საკურორტო ზონა; 4. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 5. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 6. გარკვეული წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ნაწილი; 10. ქართველი მოჭიდავე ოლიმპიური ჩემპიონი; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. თავისმომჭრელი, შესარცხვენი საქმე, მოქმედება; 15. ჯინის გასაზავებელი, გაზიანი, უალკოჰოლო სასმელი; 16. ავღანეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა.

**თარაზულად:** 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში გავრცელებული ბალახოვანი სამკურნალო მცენარე; 4. ისტორიული სასტუმრო ნიცაში; 7. ეგვიპტის დედაქალაქი; 9. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 12. მორის რაველის საორკესტრო ნაწარმოები; 13. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 14. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 17. ლითონზე შესრულებული გრავიურა; 18. საქართველოს ეროვნული გმირი; 19. მინერალი, ალუმინის მადანი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

